

29  
974



# חיינו היום



1974

3

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

# მოამბე

№ 3 (79)

მბისი—იზისი

საქართველოს  
ბიბლიოთეკა  
საქართველოს  
ბიბლიოთეკა  
საქართველოს  
ბიბლიოთეკა

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

**რესპუბლიკის თეატრალურ აზრისათვის**

ვაჟა ძიგვა — აღუქვებელი საწყაული . . . . .	3
მირა ფიჩხაძე — ყვარყვარე მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე . . . . .	5
ნანა კობეზაძე — „პლატონი“ ქუთაისის თეატრში . . . . .	8
არჩილ დავითიანი — „ტაქსი“... „ტაქსი“... . . . . .	10
პავლე ჭორბენაძე — დიდი გზის დასაწყისი . . . . .	12
ვახილ კიკნაძე — სანდრო ახმეტელი ახალგაზრდობის შესახებ . . . . .	14
ნინო შვანგირაძე — ვლადიმერ მესხიშვილის წერილები . . . . .	18
შალვა კვასხვაძე — მიხეილ ჩიქოვანის მხატვრობა . . . . .	21
ვილენ მარდაღიშვილი — ერთი საათი შექსპირის სამყაროში . . . . .	23
ოლექსა ნოვიცკი — დედა და შვილი (ლექსი) . . . . .	25

**სახალხო თეატრები**

ვანო მჭედლიშვილი — ორი სახალხო თეატრი . . . . .	26
ნუნუ გომელაური — თოჯინების თეატრი თბილისელი მაცურებლის სამსჯავროზე . . . . .	27
დევიან შენგელია — კარგია, კარგი! . . . . .	28
ბაბუნა წერეთელი — ტიტა რუფოს მოგონება ალექსი წერეთელზე . . . . .	30

**ჩვენი იუბილარები**

აკაკი გეწაძე — მრავალმხრივი შემოქმედი . . . . .	31
გაიოზ იაკაშვილი — სახალხო თეატრის ამეადარი . . . . .	33
ვანტანგ კასრაძე — უანგარო მუშაკი . . . . .	34
მარგო გოგოლაშვილი, მიხეილ გოლიაძე — ნახევარი საუკუნე ხალხის სამსახურში . . . . .	35
ანა ღვინიაშვილი — ანა ვარდიშვილი . . . . .	36
გიორგი დარისხანაშვილი — მოგონების ერთი ფურცელი . . . . .	39

**ჩვენი პუბლიკაციები**

ლამარა ხელაძე — შალვა დადიანის უცნობი წერილები . . . . .	40
დავით შულღიაშვილი — იოსებ გრიშაშვილის უცნობი წერილები . . . . .	41

**ბამოთხროვება**

სიკო ვანჩაძის ხსოვნას . . . . .	44
---------------------------------	----

**წიგნის თარო**

გურამ ბათიაშვილი — „ფიქრიანი გეზები“ . . . . .	45
--	----

რედაქტორი — **მამია ძარეღვიანი**  
 პასუხისმგებელი მდივანი — **გურამ ბათიაშვილი**

**სარედაქციო  
 კოლეგია:**

ნოდარ გურაბანიძე, ოთარ ეგაძე, ვასილ კიკნაძე,  
 ბაღრი კობახიძე, ლილი ლომთათიძე, ბასარიონ ქლენტი,  
 ვახტანგ ძარეღვიანი, ნინო შვანგირაძე,  
 გიორგი ციციშვილი, დიმიტრი ჯანაშია.



# ალექსეი სენეალი

ვაჟა ძიგუა

მსახიობს, რომლის მოღვაწეობა სცენაზე ათ წელს გადაცილებდა, ახალბედა აღარ ეთქმის; „ალექსებელი საწყაულის“ ავტორი გახლავთ გამოცდილი მსახიობი და დამწეები დრამატურგი ჭემალ მონიავა, რომელიც საინტერესო სათქმელით შემოვიდა ქართულ მწერლობაში. მისი პირველი პიესა — „კორპუსი 5, ოთახი 55“ ამ რამდენიმე წლის წინათ წარმატებით დადგა თემურ ჩხეიძემ ზუგდიდის თეატრის სცენაზე. სარეცენო სპექტაკლით კი ჯ. მონიავამ კიდევ უფრო გაიმტკიცა დრამატურგის რეპუტაცია.

რა ვაწილავს ჯ. მონიავას ახალ პიესაში? — თემისა და დასმული პრობლემების აქტუალობა, ხასიათში წვდომის უნარი, რწმენა და მისწრაფება, ბრძოლა დასახული მიზნის ნისალწევად, დაბრკოლებების გადალახვა, ლტოლვა ხიანთლისაკენ, სიყვითისაკენ.

პიესას ახლავს ცალკეული ხარვეზებიც. თუკი დრამატურგმა შეძლო საპირბოროტო პრობლემების მწვევედ წარმოჩენა, თავი გაართვა დადებითი გმირის დახატვის რთულ ამოცანას, უარყოფითი, ხელისშემშლელი მოვლენების აშკარად დაალო საღებავები, მაშინ როდესაც სპექტაკლის გმირის ბრძოლა და ძიება, დაბრკოლებების გადალახვა ლოგიკურად უნდა გამოიძინარეობდეს სწორედ ცხოვრებისეულ სირთულეებთან ჰიდლიში. ფაქტურად, ეს სირთულეები არ ჩანს ნაწარმოებში, იგი მხოლოდ ორიოდ წამოსროლილი ფრაზით ვეხსახება.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ამავე თეატრის ახალგაზრდა მსახიობს გიორგი თოღაძეს, რომლისთვისაც სარეცენო სპექტაკლი საერთო სახელი დებულა. გ. თოღაძემ კარგად ჩააბარა პირველი გამოცდა. რეჟისორი ჩასწვდა ნაწარმოების დედაარსს, სწორი პოზიციიდან აწვდის მაყურებელს მწერლის ჩანაფიქრს, ხაზს უსვამს და განსაკუთრებულად წარმოაჩენს სწორედ იმ საკვანძოდ და პრობლემატურ ადგილებს, რაც თანაბრად აღელვებს როგორც თვით მწერალს, ისე თითოეულ ჩვენგანს. ახალგაზრდა გეოლოგების დაუცხრომელი სული, ენერჯია და მათ მიერ არჩეულ პროფესიაში მწვერვალების დაპყრობის დაუოკებელი სურვილი, იმედი და რწმენა, რომ ისინი დათრგუნავენ მათ წინაშე აღმართულ ყოველგვარ წინააღმდეგობას და გაორკეცებულ რწმენითა და ძალებით შეეჭიდებიან ცხოვრების გზაზე შემხვედრ ახალ სირთულეებს — აი, სპექტაკლის რეჟისორული ჩანაფიქრის მაგისტრალური ხაზი. ამ ხაზს მიჰყვებიან და ავითარებენ მსახიობები. რეჟისორმა მსახიობებთან მუშაობის კარგი თვისებები გამოავლინა. იგი გმირის შინაგანი განწყობილებიდან ამოღის, მიჰყვება მის ფსიქოლოგიურ ზვეულებს, აზრობრივ მონახაზს. არცერთი მიზანსცენა თუ ეპიზოდი გარეგნული ეფექტისათვის, ამა თუ იმ ფორმის საგანგებოდ შესაქმნელად არ არის აგებული და გათამაშებული. გ. თოღაძის ნამუშევარი გამოირჩევა სისადავით, რეალისტური თვალთახედვით.

სპექტაკლის გმირი ბადრი ღრმა და მრავალმხრივი პიროვნებაა. იგი ერთგვარი გზამკვლევა მოვლენათა განვითარების; ამ სახესთან იურის თავს პიესის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი. უთუოდ სწორი იყო გადაწყვეტილება, როდესაც რეჟისორმა ეს რთული სახე თვით ავტორს ჭემალ მონიავას მიანდო. ჯ. მონიავას არაერთი აქტიორული ნამუშევრით მიუპყრია მაყურებლის ყურადღება. ბადრის განსახიერებით მან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა როლის ბუნების ფსიქოლოგიურად დამუშავების უნარში. ჯ. მონიავა თავის გმირს მრავალ ასპექტში წარმოგიდგენს — იგი ხან აბოზოქრებულ ქარიშხალს ემსგავსება, როდესაც დაიწვებით მოითხოვს მხარია აუბან მის წამოწყებას; ამ დროს ბადრი — ჯ. მონიავა დაუნდობელია, შეუპოვარი, მიუვალი და მიუკარებელი, იგი ღრტვიანვს, მოითხოვს და გრძნობთ, რომ თავისას გაიტანს. მოვლენათა განვითარება იცვლება, ვენებათაღლევა ცხრება, თავის მეგობარი ოთარი გამოუტყდება, რომ თუ უყვარს. ჯ. მონიავა — ბადრის თვალები ამჭრად ემშაქურად უციმიციმებს, გულდაიდ იცინის და შეგნებულად „აღიზიანებს“ მეგობარს. იუმორით აღზავსე ეს ლირიკული სცენა ერთ-ერთი დასამახსოვრებელი სპექტაკლი.

სულ სხვა განწყობილებაა ნაპოვნი თეასთან ურთიერთობის სცენებში. აქ ნათლად შევიგრძნობთ ბადრის ჯანსაღ მორალურ თვისებებს, მეგობრობის წმინდათაწმიდა მოვალეობის გამახვილებულ გრძნობას. თეა კარგი გოგონაა, ბადრი ბედნიერად იგრძნობდა თავს მის გვერდით, მაგრამ მეგობრის თავმოყვარეობას იგი არასოდეს არ შებღალავს — ეს ხაზი განავითარა ჭემალ მონიავამ ბადრისა და თეას ურთი-



ერთდამოკიდებულებაში. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჯ. მონიავას გმირი მაინც უფრო მიმწიდელო და დამაჭრებელია ლირიკულ ადგილებში, ვიდრე ფსიქოლოგიურ-დრამატულ სცენებში.

მღელვარე განცდით ანახიერებს თეას ნანა ხარხელი რომელიც, საერთოდ, სახასიათო როლების კარგი შესრულებით უფრო გამოირჩევა. თეას როლი ნ. ხარხელმა დრამატულ პლანის მსახიობის რეპუტაცია განიმტკიცა. თეა ერთადერთი ქალია გეოლოგ მამაკაცთა შორის, იგი თითქმის ორი წელია მეგობრებთან მხარდამხარ მიიღობის მიზნის მისაღწევად. სტიმულს ამგვარი თავგანწირვისთვის მას ბადრის სიყვარული აძლევს, მაგრამ დავამწვევტ მომენტში თეა მწარე სინამდვილის წინაშე დგება — ბადრი იძულებულია უარყოს მისი სიყვარული. ბადრისთან აღსარების და მომდევნო სცენებს დიდი შინაგანი ტემპერამენტითა და ემოციით ატარებს ნანა ხარხელი, როგორც ღრმა და მრავალმეტყველია თეა — ნ. ხარხელის თვლები, როდესაც მას საშუალება ეძლევა გულისხნადები გაანდლოს საყვარელ ადამიანს, როგორც შეუფოთება და მოულოდნელი სასოწარკვეთა ისადაგურებს მის არსებობაში, როდესაც ხელს კრავენ მის წმინდა გრძნობას. შინაგანი ექსპრესიის გარდა, ნ. ხარხელის შესრულება ყურადღებას იპყრობს პლასტიკით.

დრამატურგიულად საინტერესოა წარმოდგენის ოთარის სახე. ოთარი მალაღი მორალური თვისებებითაა დაჯილდოებული, პრინციპულია და საოცრად თავმოყვარე, რის გამოც, თითქოს ზედმეტი სიამაყითაც კი გამოირჩევა. ბადრის მსგავსად, მეგობრული თვისებები ოთარის პიროვნებასაც ამჟღავნებს. გურამ სურცილავას შესრულებაში ოთარის ბუნების ეს თავისებურებანი თვალშესავლება, მაგრამ სახის გახსნის ზოგიერთ მომენტს ჩვენ ვერ დავეთანხმებით. კერძოდ, მსახიობს უნდა ვურჩიოთ, რომ განთავისუფლდეს ყალბი მოზორობისა და მანერულობისაგან. გ. სურცილავას შესრულებით ოთარი წარმოგვიდგება ცინიკურ, ირონიულ პიროვნებად, რომელიც თითქოს მოკლებულია ნამდვილ ემოციებს, წმინდა ადამიანურ განცდებს, სინამდვილეში კი ოთარი შინაგანად საკმაოდ ძლიერი და მეტყველი პიროვნებაა. მისი სიყვარული თეასადმი ყველაზე ძლიერად უნდა იყოს გამოვლენილი სპექტაკლში, მაგრამ რატომღაც პირიქით მოხდა (ამ შემთხვევაში წარუმატებლობის თანამოწაწილედ რეჟისორიც გვასახება); თეასთან ურთიერთობაში ჩვენ ვერ შევიგარქმენით, რომ ოთარს თავდავიწყებით უყვარს იგი.

სპექტაკლის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა გრიშკა, რომელსაც გროტესკულ პლანში

ავითარებს შოთა გაბელია. რუსული ლებისთვის დამახასიათებელი კილო, ცალკეულ ფრაზების ზედმეტად მკვეთრად წარმოთქმა, ზოგჯერ წამოყვარება, სწრაფი მოძრაობები — აი წარმოსახვის ის საშუალებები, რომელსაც იყენებს შ. გაბელია. შესანიშნავია მსახიობი სიმთრალის სცენაში: ზუსტად მიგნებული განწყობილება, ხასიათი, ცრემლნარევი, ისტერიული გაჟინიანი მაღალი ხმით შესრულებული სიმღერა დიდხანს დამახსოვრება მასურებელი.

ასეთივე კოლორიტული ფერებით შემოსა გივი ციციშვილია ალი. ამ შემთხვევაშიც მიკვლეულია ხასიათის მამოძრავებელი მარცვლი. ციციშვილიც გროტესკულ მონასმებს მიმართავს, თუმცა უფრო უმთავრებულ ფორმებში წარმოგვიდგენს თავისი გმირის სულიერ „ძებრებს“. ჩვენი აზრით, ალის ენობრივ ლექსიკონს ზედმეტი ხელოვნურობა დალი აზის. ეს დრამატურგიული ნაკლი ერთგვარ ფონად გასდევს გ. ციციშვილის მთელ შესრულებას.

მხოლოდ ორიოდ ფრაზით შემოიფარგლება დანელიას როლი, მაგრამ დაკვირვებული მსახიობი გიორგი გოცირელი ახერხებს შექმნას ერთგული, პრინციპული, საქმისადმი თავდადებული ადამიანის დასრულებული სახე. აქ უნდა ვუსაყვედუროთ სპექტაკლის ავტორებს, რომლებიც სასიკვდილოდ იმეტებენ დანელიას, რაც აუცილებლობით არ არის გამოწვეული. იგი მხოლოდ კონფლიქტის ხელოვნური დამწვევების შთაბეჭდილებას ქმნის.

სქემატურია გიორგი რაზმაძის როლი. არ იგრძნობა ამ სახის ორგანული კონტაქტი დანარჩენ მოქმედ პირებთან. მისი მოქმედება სცენაზე ზერეულ ელუსტრაციად გვეკვლინება. მსახიობ იფანე რსაძის პროფესიული კეთილსინდისიერების მიუხედავად, დრამატურგიული ხარვეზი ხარვეზად დარჩა.

სქემატურობას ვერ ასცდნენ აგრეთვე გიგოლის და კალენ სახეები, თუმცა მსახიობები ბონდო გოგინავა და ვაჟა თერცხალაიშვილი ნიჟსა და მონდომებას არ აკლებენ თავიანთი გმირების სცენური სიცოცხლის დამაჭრებლად წარმოსახვის ცდას და ზოგიერთ სცენებში მიზანს აღწევენ კიდევ. ბ. გოგინავამ თავის გმირს შობერა საოცარი შინაგანი სითბო და მომხიბვლელობა. „თავგასიბუღი“ კალე მეგობართა კერპია. გულდია და ალაღმართალი, ბავშვივით ბუზღუნა და ბრაზიანი, მაგრამ უზომოდ კეთილი, — ასეთად დაგვიხატა კალე ვ. ფირცხალაიშვილი.

სატირული ფერებით შემოსა გოვენ ჭივილიძე ნესტორი. მსახიობმა გააშინებლა თავისი გმირის ანგარებანი, ფუქსავატი ბუნება, ამხილა მისი სისარბე და გაუტანლობა, მაგრამ თავისი



შესრულებით გ. ჭიჭიშვილი ზინდა და უარყოფას არ იწვევს, პირიქით, მაყურებელი მასთან ერთად მსუბუქი, ირონიული განწყობილებით მიჰყვება ნესტორის მიერ ჩადენილი „ოინების“ ჩამოფრქვებელ შედეგს და ყოველგვარი აღშფოთების გარეშე გამოაქვს მისთვის შესაფერის განაჩენს.

ვფიქრობთ, სპექტაკლიდან რომ ამოვიღოთ დალი რაზმაძისა (ლ. კაპანაძე) და ტიტე კალმხელიძის (აკაკი მესხბლიშვილი) სახეები, არსებობდა და მნიშვნელოვანი აზარები იზნებდა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს სახეები არაორგანული დანამატია პიესისა და, მამასადაძე, სპექტაკლისაც. დალისა და ბადრის სასიყვარულო ხაზი საქმოდ არადამაჩვენებლადაა წარმოდგენილი.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაზე, რომელიც ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საქმოდ ცნობილ მხატვარს თემურ სუმბათაშვილს ეკუთვნის. სისადავე, სცენური სივრცის დაპყრობა და მისი რაციონა-

ლურად გამოყენება, მსახიობისთვის მაქსიმალური სამოქმედო სარბიელი — აი ის ძირითად რითაც გამოირჩევა სუმბათაშვილისეული გაფორმება, მუქი რუხ-თეთრი ფერები. სცენის სიღრმეში შეტრილი გვირაბის ყელი უკვე ქმნის სათანადო განწყობილებას, სპექტაკლის ერთ მთლიან ფონს.

შესატყვისი მუსიკალური გაფორმება შეურჩევია დალი გურგენიძეს. მუსიკა ხან მღელვარედ ბობოქრობს, ხან ლირიკული ინტონაციებით იპყრობს უფრადლებას, რაც ორგანულად ერწყმის დადგმის მთლიანობას.

„მღუსებელი საწყაული“ ახალგაზრდული სპექტაკლია. ამიტომ, ბუნებრივია დადგმას ახლავს ცალკეული ხარვეზი, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი. ახალგაზრდობა მუდმივ ძიებაშია, ამიტომაც სრულ იმედს გამოვთქვამთ, რომ დროთა განმავლობაში მარჯანიშვილელთა ეს საინტერესო ნაშეშევარი დაიხვეწება, მეტ სიღრმესა და სიმანვილეს შეიქნენ და დიდხანს შემორჩება თეატრის რეპერტუარს.

## ყვარყვარე მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე

### მირა ფიჩხაძე

შპარპშპარპ დიდხანს ელოდა საოპერეტო სცენაზე გამოვლას. გამოვიდა თუ არა, მიხედვით მიხედდა და დარწმუნდა, რომ მშვენივრად გრძობს თავს მუსიკალური კომედიის უნარში. უველაფერი — მუსიკა, ცეკვა, ფერება ხელს უწყობდა მას კიდევ უფრო თამამად, გაკანებით, თავბედურად განეხორციელებინა თავისი გეგმები.

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში დიდხანს არ დადგმულა ასეთი მწვავე, მახვილი, მასშტაბური სპექტაკლი, რომელიც მეთნაყლებად ორგანულად არის შერწყმული ერთმანეთთან ამ რთული, მაგრამ მომხიბვლელი უნარის უველა კომპონენტის. ეს აღიარა უველამ, იმათაც კი ვისაც ეკვი ეპარებოდა იმაში, თუ რამდენად მართებული იყო პ. კაკაპაძის პიესის განსახიერება მუსიკალური კომედიის უნარში.

დღეს, როდესაც ჩაიარა პრემიერის პირველმა დღეებმა, როდესაც სპექტაკლი ჩადგა თავის ჩვეულებრივ ჩარჩოებში და შევიდა თეატრის მორიგ რეპერტუარში, ვფიქრობთ შესაძლოა მისი უკომპრომისო შეფასება.

სპექტაკლი უნაკლო არ არის, მას გააჩნია როგორც წმინდა მუსიკალურ-დრამატურგიული, ასევე სადადგმო ხასიათის ხარვეზები. მაგრამ ისინი არ არღვევენ ნაწარმოების მთლიანობას, მუსიკალური კომედიის შინაგან სიღრმეს, მის მწვავე სატირულობას, და პრობლემა-

ტურობას, არ ასუსტებენ მის ზემოქმედებით ძალას მაყურებელზე.

ყველა კომპონენტის სინთეტურობაში ვხედავთ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ამ პრემიერის მხატვრულ ღირსებას. პიესის ავტორი, კომპოზიტორი, რეჟისორი, მხატვარი იმდენად მიზანსწრაფნი აღმოჩნდნენ, რომ მიაღწიეს შემოქმედებით თანაზროვნებას. სწორედ ეს გვაწმინდა საოპერეტო შტამების, იმ სცენური პირობითობის გადალახვის გზა, უნდა გახდეს ამ თეატრისათვის მთავარი და პოტენციურად ქმედითი.

„ყვარყვარე თუთაბერი“ არ უარყოფს მუსიკალური კომედიის უნარობრივ ბუნებას, ამავე დროს არც დაკანონებული, დოგმატური ფორმების ტყვეობაშია მოქცეული. ის თამამად, და საქმოდ დამაჩვენებლად, აფარბოებს ფორმის საზღვრებს. ტრადიციული თვისებების და თანამედროვე ელემენტებისა და ხერხების ამ შერწყვაში გვესახება ჩვენ ეროვნულ უნარის განვითარების ერთერთი პერსპექტიული გზა.

დღეს მუსიკალური, ხშირად კი დრამატული თეატრების სცენებზედაც კი მტკიცედ მოიკიდა ფეხი ახალმა მოდურმა უნარმა — მიუზიკლამ. თუმცა, ახალი მას პირობითად უნდა ვუწოდოთ, მხოლოდ ჩვენი ხელოვნების მიმართ, რადგანაც უცხოურ მუსიკალური შემოქმედებაში მას აქვს საქმოდ დიდი ისტორია.



მოდურისაკენ, მისი სიახლის გამო, ყოველთვის განსაკუთრებულად მიისწრაფიან ხოლმე. ყოველ უნარს, რომელსაც კავშირი აქვს კომედიასთან მუსიკის დღეს მუიზიკლს უწოდებენ. დიას, მიუზიკლი მუსიკალური კომედიად იდონდ სახელწოდება ყოველთვის როდი შეესატყვისება ამ უნარის ბუნებას, მის სპეციფიურობას, დამახასიათებელ თვისებებს. უ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის ახალმა სექტაკლმა წამოაყენა მისი უნარული თავისებურების საკითხი. ბევრი მას მიუზიკლს უწოდებს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უნარის სწორ განსაზღვრასთან, რადგანაც, ჩვენის აზრით, ამ თეატრის სცენაზე დადგმული არც ერთი ქართული ნაწარმოები არ გამოირჩეოდა მიუზიკლისათვის დამახასიათებელ ისეთ აშკარად გამოკვეთილი თვისებებით, როგორც „უვარუვარე თუთაბერი“. ეს არის მწვევე-სატირული მუსიკალური კომედია, აგებული კარგ ლიტერატურულ მასალაზე, ნიჭიერად დაწერილი მუსიკით.

სწორედ პიესის ღირსებების აღნიშვნით მინდა დავაწყოთ თეატრის ახალი ნაშუშვების გარჩევა.

ლიტერატურული პირველწაროს მაღალმხატვრულობა ნამდვილი მიუზიკლის პირველი და უცილებელი პირობაა. დრამატურგმა პეტრე გრუზინსკიმ, რომელსაც ამ უნარში მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს, სიფრთხილით მოჰკიდა ხელი პ. კაკაბაძის თეატრს. ლიბრეტოში შენარჩუნებულია არა მარტო მთავარი საკვანძო კონფლიქტური ეპიზოდები, არამედ სატირული სიმბახილე და პამფლეტურობის სიმწვავეც. ლიბრეტისტი ითვალისწინებს უნარის სპეციფიკურობას, მაყურებელს თავაზობს სწორედ მუსიკალურ კომედიას, რაც საშუალებას აძლევს მსმენელს აღიქვას მოქმედების განვითარება, მისი იდეა სახეებისა და სიტუაციების მუსიკალური დახასიათებების საშუალებით.

მუსიკის ავტორი ნოდარ გაბუნია პირველად მოვიდა უ. აბაშიძის სახელობის თეატრში. მისი დებიუტი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ნოდარ გაბუნიას მკაფიო კომედიური ნიჭი და თანამედროვეობის მწვევე შეგრძნება გააჩნია. ეს თვისებები ნათლად გამოვლინდა ჭერ კიდევ მის ოსტატურად დაწერილ „იგავ-არაკში“. სულხან საბას მიხედვით. „უვარუვარე“ აგრძელებს სწორედ „იგავის“ ხაზს.

გაბუნია ამფლავნებს ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის საუცხოო ცოდნას. ეს ფოლკლორი მისი მუსიკალური კომედიის ერთ-ერთი ძირითადი ინტონაციური წყაროა, რომელსაც კომპოზიტორი უხვად და მოხერხებულად იყენებს.

არა იმდენად თემატური მასალის მრავალ-

ფეროვნება და სიუჟე, რამდენადაც უკვე ნაპოვნის ოსტატური გამოყენება, აძლევს საშუალებას კომპოზიტორს ზუსტად და ხატოვნად ასახოს დროისა და გარემოცვის კოლორიტი. ის ეფექტურად ხმარობს მუსიკალური რემინისცენციის, მუსიკალური თემების ტრანსფორმაციის, სახეების ლეიტმოტივური დახასიათების ხერხებს.

ნ. გაბუნია მოკლე, ხსარტი, მახვილი მუსიკალური დახასიათებების ოსტატია. ის ნიჭიერი მუსიკალური პორტრეტისტია. მას უნარი შესწევს იპოვოს საზოგადოების ამა თუ იმ ფენისათვის დამახასიათებელი ინტონაციები და შემდეგ მოხერხებულად განავითაროს და გაამდიროს ისინი. მეფის უანდრმათა ოფიცერთა ჭკუფურ პორტრეტს კომპოზიტორი ძველწესს საეკლესიო საგალობლების ინტონაციების, ძველებური სალონური მელიოდებისა და ტიპური საოპერეტო მოდური ცეკვების რიტმების სინთეზის საშუალებით. ხერხი გამართლებულია ჩანაფიქრით. ის იწვევს მსმენელის სწრაფ რეაქციას და მოზანს ზუსტად აღწევს — დარბაზში გაისმის დაუსრულებელი სიცილი და ხარხარი. დამაჩრებელია ზუსტად ნაპოვნი უვარუვარი მუსიკალური პორტრეტი — მის ორ ზონგში „ნაცარზე“ და „სავარძელზე“. ეს უკანასკნელი ზონგი „სავარძელზე“ მთელი მუსიკალური კომედიის ერთ-ერთი დრამატურგიული კულმინაციაა. მისი შემოქმედებითი ძალა მსმენელზე ფორმის ორიგინალურობაშია. ეს არის მუსიკალური მონოლოგი, რომელსაც განსაკუთრებულ სიმწვავეს ანიჭებს ხან მელიოდური, მღერადი, ხან კი რეჩიტატიული ხასიათის კონტრასტული მონაკვეთების სწრაფი შენაცვლება და მუსიკის რიტმული სიმკვეთრე. აქვე მინდა შევეხო „უვარუვარე თუთაბერის“ რიტმულ მხარეს. რიტმის მრავალფეროვნება და სიმდიდრე ახალი ნაწარმოების ერთ-ერთი დიდი ღირსება და ერთ-ერთი ძირითადი გამომსახველი საშუალებაა ეპოქის კოლორიტის ასახვისას. ნ. გაბუნიას ნიჭიერად აქვს ნაპოვნი იმ დროის საყოფაცხოვრებო ფორმების ინტონაციური წყობა და უანარული თავისებურებანი.

კომპოზიტორის ოსტატობა და წმინდა კომედიური ნიჭი, რომელიც უოველგვარი ექვის გარეშეა, არ გამოისიხიდან ნაწარმოების ხარვეზებს.

ჩვენის აზრით, ნ. გაბუნიაშეუღლდა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. მუსიკალური კომედიის დიდი ფორმა, როგორც „უვარუვარე თუთაბერი“, კომპოზიტორისაგან მოითხოვდა უფრო მეტი გაშლილი მუსიკალური მონაკვეთების, მუსიკალური ნომრების შექმნას. ნაწარმოების მთელი რიგი ეპიზოდები და პერსონაჟები დარჩენილია მუსიკალური დახასიათებების გა-

რეშე. ზოგ შემთხვევაში მუსიკალური კომედიის ყველა კომპონენტის ორგანული სინთეზის ნაცვალად მსმენელს სთავაზობენ მშრალ სიტყვიერ მასალას, რაც აღარ იბეჭდს ამა თუ იმ სცენური სიტუაციის შემოქმედებით ძალას. ამგვარი ნაკლავანებით უფრო სცოდავს პირველი მოქმედება. ამიტომაც, ისეთი სცენები, როგორცაა, მაგალითად, ყვარყვარესა და მეწისქვილეს დიპლომატიკური მოქმედების დასაწყისში გაიპიანურებულად გვეჩვენება და მოსაწყენიც არის. მოწყენილობა კი კომედიური ჟანრისათვის განსაკუთრებით სახიფათოა. მაგრამ, როგორც საუკვედიც არ უნდა წავუყუენოთ კომპოზიტორს, ერთის თქმა დაბეჭითებით შეიძლება — „ყვარყვარე თუთაბერის“ მუსიკა არცაა არ არის ბანალური, ტრადიციულად ოპერეტული, კომპოზიტორს არსად არ ღალატობს გემოვნება. ამ კომედიის მუსიკა ახლებური, ორიგინალურია და ორგანულად არის დაკავშირებული მოქმედებასთან. სცენური სიტუაციის შინაგანი მოქმედებისაგან გამომდინარეობს, მაგალითად, ნაწარმოების ერთ-ერთი საუკეთესო მუსიკალური ნომერი — ყვარყვარესა და ტიტის დუეტი — „წონგი ნაცარზე“. ამგვარი მაგალითი არა ერთი მოიპოვება „ყვარყვარე თუთაბერის“.

ფეტიკობთ, „ყვარყვარე თუთაბერის“ მუსიკალური ინტერპრეტატორი ყველაზე გამოცდილი დირიჟორიც რომ ყოფილიყო, ალბათ ისიც, უკეთ ვერ ჩაწვდებოდა კომპოზიტორის ჩანაფიქრს და მთელი ნაწარმოების მუსიკალური დიქტორ კონცეპციას, როგორც მას ახალგაზრდა ა. მამაცაშვილი ჩაწვდა. ის საუცხოვოდ იცნობს მუსიკის ყოველ ტაქტს, რადგანაც მთელი სექტაკლი, მთელი პარტიტურა იბადებოდა მის თვალწინ, მისი უშუალო შემოქმედებითი მონაწილეობით. მთელი მუსიკა მას იმდენად შეისისხლბორცებული აქვს, რომ დირიჟორობის დროს კიდევ უფრო ამდიდრებს კომპოზიტორს. ა. მამაცაშვილი სთავაზობს მსმენელს ახალ ნაწარმოებს განსაკუთრებით ეფექტურად; მრავალფეროვნად, ის კომპოზიტორის რქიერთი „თანავტორია“.

„ყვარყვარე თუთაბერის“ დამდგმელმა თ. ბაშიძემ და მხატვარმა მ. მურვანიძემ შექმნეს მხიარული, ხასხასა, ნაირფეროვანი და ამავე დროს მწვავედ სატირული სექტაკლი. ამას კი, იმით მაილწეის, რომ მტკიცედ სჭეროდათ იმისა, რომ კავბაძის პიესა ორიგინალურად და ახლებურად აუღერდებოდა მუსიკალური კომედიის ჟანრში. ისინი სწორი აღმოჩნდნენ. მათ შექმნეს ნამდვილად თანამედროვე წარმოდგენა. დღეს „ყვარყვარე თუთაბერი“ თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო და სარეპერტუარო სექტაკლია — მას სიამოვნებით ესწრება მაყურებელი. რეჟისორი და მხატვარი აქ ძალიან ახლოს

აღმოჩნდნენ ერთმანეთთან თავისი შემოქმედებითი მისწრაფებებით. მათ თანაზროვნებამ დაბადა მთლიანი, ლოგიკურად გამართლებული სექტაკლი.

ორიგინალური და ბევრის მთქმელია ამ მუსიკალური კომედიის თვით დასაწყისი. უზარმაზარი კალათიდან ამომძვრალი ყვარყვარე უკვლას თვალწინ თავხედურად აკვარახენებდა თავის საქმეებს, მაგრამ არაფერია არ უშველა მას, მისი ადგილი იქაა, კალათის ფსკერზე, სადაც მას სექტაკლის ბოლოს კვლავ ჩაამწყვდევენ თვალდახედილიად ადამიანები. ყვარყვარეს სამყარო საბოლოოდ იმსხვრევა...

ის ნაირფეროვნება და სიმდიდრე, რომელიც ასე ხიბლავს მაყურებლებს ამ სექტაკლში, ბევრად მიანიჭა მას ბ. მონავარდისაშვილის მიერ ლამაზად დადგმულმა ტექსტმა.

და ბოლოს მსახიობები — სექტაკლის მთავარი შემქმნელები. ისინი ვატაცებით ანსახიერებენ კარგად ნაცნობ პერსონაჟებს, დღეს მათ გმირები სულ სხვა პირობებში მოქმედებენ. მაყურებელი მწვავედ ჰკიცხავს მათ.

სექტაკლში ორი ყვარყვარეა — ერთნაირად დამაჭერებელი, მაგრამ სხვადასხვა ხასიათის. ი. ვასაძის ყვარყვარე აქტიური, მოუსუსენარი, ენერგიული და საოცრად თავხედილია. ჯ. თალაკვაძე უფრო მეოცნებე, ფლეგმატური, და თითქოს გულუბრყვილოც კია; მაგრამ არა ნაკლებად შემზარავი თავისი გულგრილობით. სხვადასხვა ხერხებით, მაგრამ ერთნაირად ნიჭიერად შექმნეს მათ ეს რთული მუსიკალურ-დრამატული სახე.

ახალი მუსიკალური კომედიის ყოველი პერსონაჟი, დაწყებული მთავარით და დამთავრებული ეპიზოდური, მატარებელია მნიშვნელოვანი შინაგანი აზრისა. აქ არიან სასოგადოების სულ სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები. ოფიცერთა და ჟანდარმთა ჯგუფი: ნ. შიპინაშვილი, ა. გოგორიშვილი, დ. მაქავარიანი, ი. დათუკაშვილი, ბ. ნებიერიძე, რევოლუციონერები: ნ. მინდიაშვილი და ე. ჩხენკელი, ყვარყვარეს თანასოფლელები: შ. ხაჭაძე, ნ. პეტრიაშვილი, ა. დაშინანი. პერსონაჟთა მრავალფეროვანი გალერეა წარსდგება მაყურებლის წინაშე. მათ შორის თავისი ხალხი ნიჭით და შინაგანი ტემპერამენტით განსაკუთრებულ ყურადღებებს იპყრობს კომედიური ჟანრის ოსტატი ბ. ბეგალიშვილი.

„ყვარყვარე თუთაბერის“ შემსრულებლები ძირითადად საშუალო თაობის მსახიობები არიან. ისინი თითქმის ერთ და იგივე პერიოდში მიმდინარე ნაკადად შეემარტნენ მუსიკალური კომედიის თეატრის დასს. მაგრამ ჰყავს თუ არა ამ თაობას ღირსეული შემცვლელი, რომელიც დღეს თუ არა, ხვალ მაინც ამოუღებება მას გვერდით.



ახალგაზრდათა საკითხი, რომელიც შესძლებს იმოდევანოს მუსიკალური კომედიის უაღრესად რთულ ჟანრში, დღეისდღეობით ერთნაირად საქართველოსა, როგორც თეატრისათვის, ისე იმთავისავე, ვინც უშუალოდ აშაადებს ამ კადრებს.

ევარყვარე დიდხანს ელოდა საოპერეტო სცენაზე გამოხვლას გამოვიდა და მომავალში მხიარულად იცხოვრებს მუსიკალური კომედიის ჟანრში...

## „პლატონი“ ქუთაისის თეატრში

ენა კოხეზაშვილი

ხალხის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანის დანახვა, თანამედროვეობისათვის მეტად საყურადღებო საკითხების და თემის წარმოყენება, — აი საითკენ იღწევის დაკინებით ლაღო მესხინშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრი, რომელმაც მაყურებელს მორიგ პრემიერად წარმოუდგინა კიტა ბუაჩიძის ორ მოქმედებიანი კომედია „პლატონი“; პიესა სცენურია და კომპოზიციურად მწყობრად არის შეკრული. ცალკეული სცენები და კომიკური სიტუაციები ლოგიკური თანმიმდევრობით უკავშირდებიან ნაწარმოების ძირითად სიუჟეტურ ხაზს.

პიესაში მინიშნებულია წარსულის ზოგიერთ იდეურ გადმონაშთზე. ესაა ანგარებიანი ქორწინება, მექრთამეობა, პირმოთნეობა, რაც უცხო მოვლენას წარმოადგენს კომუნისტური საზოგადოებისათვის.

რეჟისორის ღირსება იმის მიხედვით შეიცნობა თუ როგორ კითხულობს იგი პიესას, როგორ ამჩნევს მთავარს და როგორ სწვდება ნაწარმოების სიღრმეს. ჩვენი აზრით, დამდგმელ რეჟისორს მურმან ფურცხვანიძეს სწორად ამოუკითხავს პიესის დედააზრი და დასმულ კითხვაზეც სწორად უპასუხია.

ახალგაზრდა ინჟინერ-მელიორატორს არველოდის ინსტიტუტი კოლხეთში გაწაწილებას უპირებს. ამის გამო შეწუხებული მშობლები ყველა ზომას მიმართავენ რათა ერთადერთი — ძე „შპორიანი ჭაობისაგან“ გადაარჩინონ.

ფარდის ახდისთანავე თვალში გეცემათ, მარცხნივ — ხის პოსტამენტზე ბრინჯაოს პლატონის წვერგაბურძენული ჩაფიქრებული სახე. სცენის ფონი გადატივრთულია სხვადასხვა ზომის ფილოსოფიური პლაკატებით, პლატონის აფორიზმებით. ხელმარცხნივ კედლიდან შედიულად შემოვცქქერის მამაკაცის მონუმენტური ფოტო-სურათი. ცენტრში

მდგომ ორ მაგიდაზე უწყსრივობაა. „ახლავე დაურეკე ნესტორს, სტუდენტობისას ხომ კარგი მეგობრები იყავით, — მივარდება ცუცა ქმარს და ტელეფონის ნომრებს უკრეფს; (— „ახლაც მეგობრები ვართ, ოღონდ ის ცხენზე ზის, მე კი ფეხით მივდე“, ასეთი ამხანაგობა შეიძლება იყოს ტოლფარდი?“, — ხმას დაუწევს და ნელა წაიდუღუნებს. — „სავარძელი ადამიანს ხასიათს უცვლისოს სთქვა ჩემმა სხენიამ — ამ სიტყვებზე ინტერესით გადახედავს პლატონის ბრინჯაოს ქანდაკებას.

„— პლატონ, ნესტორ აბაიძეს სტადიონზე ინფარქტი დამართნია“, — გაზეთის ფრიალით არხეინად შემოაბიჯებს ოთახში, თხელ-თხელი შუახნის ქალი. პლატონი წამით ჩაფიქრდება; — „რა იქნებოდა ასე, რომ არ გავეძალღებოთ, რამდენჯერ შევახსენე, ყოველთვის „კი კაცოთი“ მკვებავდა, — ამ სიტყვებზე მტრულად შეავლბს თვალს მამაკაცის სურათს და იფეთქებს, — ჩამოსხენი! არაა ეს იმის ღირსი, რომ ჩვენს ოჯახში ზვიდან დაგვეყურებდეს. — უბრძანებს შვილს და უკმაყოფილოდ მოყვება ნესტორ აბაიძის ძაგებას. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც იგივე მეზობელი ნესტორის გადარჩენის ამბავს აუწყებს, პლატონი აუჩქარებლად და რამდენადმე შეუმჩნეველად ისევ თავის ადგილზე კიდებს ფოტოსურათს და მიუღლითურთ „მეგობრის“ სანახავად მიდის.

პიესის მიხედვით პლატონი, ფილოსოფიური მეცნიერებათა კანდიდატი, სალექციო ბიუროს ხელმძღვანელი, ახალგაზრდებს საინტერესოდ უკითხავს ლექციებს თემაზე: — „როგორ ვისწავლოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად“. უყვარს ლაპარაკი ანტიკური პლატონის აფორიზმებით, (და თავისადაც იჩემებს, რაც წიცხნადაც გამოსცა).

პლატონის როლის შემსრულებელი მსახიობი, საქ. სსრ სახალხო არტისტი

შოთა პირველი, სცენურად შთამბეჭდავი საშუალებებით ახერხებს გმირის გრძობებისა და განცდების მაყურებელამდე მიტანას. ჩვენ გვჯერა მისი, რადგან იგი ნამდვილად ცხოვრობს სცენაზე და გმირის ყოველ მოქმედებაში გარკვეულ შინაარსს აქვს.

სცენაზე მოისმის მანქანის სიგნალის ხმა და სწრაფი დამუხრუჭებით გამოწვეული ხრჭიალი. საშუალო ზომის აქორჩილი ხე და დიდი, მწვანედ შეღებილი სკამი, გზის პირა სკვერის შთაბეჭდილებას გვიქმნის. შეგვგრემანი, სიმბატორი გარეგნობის, საშუალო სიმაღლის ახალგაზრდა ვაჟი კოჭლობით მოაბიჯებს, მას მხარში გულისა (მსახიობი ნ. ეჯიბია) უხსდგომია. — „სასწრაფოს გამოვიძახებ და საავადმყოფოში მე თავად წავიყვანთ“ — შეწუხებული სახით შესციინებს გოგონა ვაჟს. — „ალბათ, მეუღლე საუქს არ განდობთ? — რა გვარი ბრძანდებით? — კითხულობს არველოდი და პასუხის მოლოდინში გაიტრუნება.

— თვარაძე ვახლავართ, მეუღლე კი ჯერ არა მყავს“ — ასეთი შეკითხვა გამომწვევ სიცილს მოჰგვრის გულისას. — მამათქვენი ნიკოლოზ ივანეს ძე ტურიზმის სამინისტროში მუშაობს? — „არველოდის სწრაფად აღუდგება მებსხილებში შინ წაკითხული გაზეთის სტრიქონები: — „ამინდის, ტურიზმისა და ნადირობის მინისტრად დაინიშნოს ნიკოლოზ ივანეს ძე თვარაძე“, ამ დიდი სიხარულის დასაფარავად არველოდი ფეხზე ხელს იტაცებს, ვითომ ტკივილისაგან, და ხმამაღლა წამოიკნესებს; — „ან აქვე გამათავებთ, ან დღესვე გამომყევით ცოლად, — მუსლმოდრეკილი გეუდარება გოგონას და დაშნის წვერს გულთან ვაჟკაცურად ისწორებს. სჩანს არველოდისათვის პირველი არ უნდა იყოს „ვოლგიან“ ქალიშვილებზე ნადირობა, აშჯერად კი ცდას ამაოდ არ ჩაუვლია, „გააზა მწყერი“ მახეში.

არველოდი ოჯახში მინისტრის ქალიშვილად აცნობს გულისას, ამის გამო მშობლები უსაზღვროდ გულთბილად ხედებიან მომავალ სარძლოს და იმ დღესვე ნიშნავენ მიკროქორწილს, რომელსაც შეუძლია არველოდის კოლხეთში გამგზავრებისაგან გადარჩენა.

პიესის მიხედვით არველოდი მოხდენილი გარეგნობის ჭბაუკია, ნაფერებად გაზრდილს მშობლების ხასიათები გამოჰყოლია, უყვარს სიმდიდრე და უზ-

რუნველობა, რომლისაგანაც შორსაა ნამდვილი სიყვარულის გრძნობა.

მსახიობმა (დ. დვალისვილი) შეძლო ეპოვნა თავისი გმირისათვის შესაფერისი ტონი და ფერები. თამაშობს ზომიერად და დახვეწილი აქტიორული ხერხებით, თანმიმდევრულად და მკაფიოდ სწვდება გმირის შინაგან ბუნებას.

მოისმის მხიარული მუსიკა. საჭორწილო სუფრას თავში უზის სიმბატორი გარეგნობის თამადა, ბეჭირბ ჟამეტაშივლი (მსახიობი ა. ხერხაძე), რომელიც უხვად აფრქვევს „ლაპაზი“ სიტყვების კორიანტებს, ლაპარაკობს ერთ ტონში, თითქოს ტრიბუნაზე იდგეს. თანდათანობით ჩქარობს და ხმას უმაღლებს, დროდადრო აზრებს ვერ ალაგებს, მაგრამ მინც იხტიბარს არ იტებს და ისევ განაგრძობს, მისთვის მთავარია ილაპარაკოს. — მე მახარებს ფაქტი, რომ გულისა უბრწყინვალესი დედოფალია, თქვენ კი, ამხანაგო ნიკო, მისი მამა, — დიდი სახელმწიფო მოღვაწე, — ჩვენი კოლოსალური სიხარულის თანამონაწილე“ — მიმართავს ნიკოს ყანწით ხელში.

— მადლობა მომიხსენებია, მაგრამ მე არავითარი სახელმწიფო მოღვაწე არ ვარ, ახალგაზრდობიდან სულმნათ შოთას გამოცემებს ვეგროვებ, ხოლო ფრონტზე დაიხვალდებიან შემდეგ სულ კარისკაცად ვმუშაობ“. — უხსნის თამადას ზღმეტი ქებისაგან ოდნავ დამორცხვებული ნიკო (მსახიობი გ. ბერძენი); წამიერი სიჩუმე, პლატონის ოჯახის წევრები შეცუბუნდებიან. — რა ვქნა, ერთი უხიაგი ნაკლი მაქვს, — არღვევს სიჩუმეს პლატონი — შენიღბული ადამიანების გამომზეურება მიყვარს“ — ამ სიტყვებზე გაზთის სწვდება და ყველას გასალონად ხმამაღლა კითხულობს: — „ამინდის, ტურიზმისა და ნადირობის მინისტრად დაინიშნოს ნიკოლოზ ივანეს ძე თვარაძე“. — „ო, ნიკო მთვარაძე, ჩემი მინისტრია, ის სავარჯიშო მთვარაძეა, მე კი ლეჩხუმელი თვარაძე“ — მოვიპატიქე, ალბათ, მოვა კიდევ“. გასაგებად უხსნის ნიკო.

პლატონს, თითქოს ცევა წყალი გადაასხესო, ღმილი შეეყინება სახეზე, არველოდი კი ნერვიულად წამოვრდება ზეზე და ავანსცენაზე გამორბის, — „მე გვარმა მთვარაძემ მომიხილა, თვარაძეს კი... კატეგორიულად არ ვითხოვდი“, — პირში მიახლის მამა-შვილს და საქორ-



წინო სუფრისაგან ზურგშექცეული მოწყვეტით ჩაესვენება სავარძელში.

პლატონი გიჟად მონათლავს პატარა ძალს, რათა ქორწინება ჩაშალოს. დამცირებული მამა-შვილი გულნატკენი ბრუნდება შინ, ხოლო პლატონის ოჯახში სასწრაფოდ მომზადდება ყველაფერი იმისათვის, რათა არველოდი მინისტრის ქალიშვილზე — გურანდაზე დაინიშნოს, რომლებმაც ის არის შემოადღეს კარი.

ნაწარბოების ამ ცენტრალურ სცენაში ნათლად გამოვლინდა პლატონისა და მისი ოჯახის წევრების ხასიათები, რომელთათვისაც ადამიანი არაფერს ნიშნავს, თუ კი ის ცხოვრების მაღალ საფეხურზე არ დგას.

ამ სცენაში რეჟისორს პიესის თითქმის ყველა მოქმედი პირი რაღაცით „დაუსაქმებია“, მაგრამ ამ სცენას მაინც აკლია მთლიანობა, მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი თუნდაც ის „სიყალბე“, რაც ასეთ სუფრას უნდა ახასიათებდეს.

საინტერესოა ფინალური სცენა, როდესაც გაირკვევა, რომ პლატონის მიერ საჩილოსათვის, — გულსასათვის. — ნაჩუქარ, „სამ მანეთიან თეთრი ღამე-

ბის“ სუნამოს კოლოფში „იმ ქალის“ „მცირე ძღვნად“, ოთხმოცი ასმანეთიანი ჩაულავებია, შვილის უმაღლესში მოწყობისათვის.

შესანიშნავია მსახიობი შ. პირველი როდესაც უნებლიედ წარმოიდგენს თურა ჩაიღინა, თავზარდაცემული და დამწუხრებული ხელს მაგრად იჭერს გულზე და ძლიერს მილასლასდება სავარძელამდე, „—დამტოვეთ შვილთან მარტო —“, არაქათვაშოლეული ამოიკენებს.

ძლიერი კომედიური ხერხებით თამაშობს მსახიობი ამ სცენას და მხიარულ სიცილსაც იწვევს მაყურებელში.

დამაჯერებლად წარმოგვიდგინეს თავიანთი როლები და საქმეცაქალის წარმატებას ხელი შეუწყეს მსახიობებმა: ქ. კობინაძემ (ცუცა), ე. ხუტუნაშვილმა (გურანდა), თ. კიკნაძემ (ანგელინა), ი. მიქიაშვილმა (ნიკო მთვარაძე), ვ. გვენცაძემ (კალისტრატე), ნ. საღარაძემ (რუსუდანი), მ. ფხაკაძემ (ნინო), პ. ცაგარეიშვილმა (მილიციელი).

საექვთავში მსაფორმა (ა. ჭელიძის) და მუსიკალური გაფორმება (ნ. ძნელაძისა) მაღალ პროფესიულ დონეზე დგას.

## „გაქსი... გაქსი...“

არჩილ ღვინთიანი

თბილისის სტ. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხურმა თეატრმა მაცურებელს მორიგ პრემიერად წარმოუდგინა ახალგაზრდა დრამატურგის ჟირარ ანანიანის ორ ნაწილიანი კომედია — „ტაქსი, ტაქსი...“

მაცურებელმა გულთბილად მიიღო ახალი საქმეცაქალი, პრემიერის დღეებში დარბაზი პირთამდე იყო სავსე, არც მომდევნო დღეებში დაჰკლებია მაცურებელი. ასეთი ცხოველმყოფელი ინტერესი საქმეცაქალისადმი იმით აიხსნება, რომ სცენაზე გათამაშებული კონფლიქტი ცხოვრებისეულია და სინამდვილიდან აღებული ამბავზე იშლება. პიესის მთავარი გმირი კნიაზი ტაქსის ერთი უბრალო რიგითი მძღოლი, პატროსანი და კარგი მუშაკია. იგი ბევრი მოულოდნელობის მოწმე ყოფილა. ერთ-ერთ ასეთ მოულოდნელობად გაიქვებებს მის ცხოვრებაში უცნობი მგზავრის მიერ მანქანაში მოზრდილი ჩემოდნის დატოვება. სწორედ ეს ჩემოდანია პიესაში გათამაშებული კონფლიქტის მთავარ წყაროდ, კნიაზი შეეცდება, რომ

ჩემოდანი დაკარგული ნივთების საწყობს ჩააბაროს, მაგრამ საწყობი დაკეტული აღმოჩნდება, შემდეგ დისპეტჩერის მიმართავს, ეს უკანასკნელიც არ იბარებს, იმის გამო, რომ ჩემოდანი გაღებულია, ვაითუ, რაიმე აკლდეს და მერე მე დამბრალდესო. მომდევნო ამბები ისე წარმართება, რომ, ბოლოსდაბოლოს, ჩემოდანი შოფრის ბინაში აღმოჩნდება, აქ კი ოჯახის წევრები ჩემოდანში აღმოჩენილ ნივთების ერთ ნაწილს ერთმანეთში გაინაწილებენ, მეორე ნაწილს კი თავიანთი დასაწინაშის ვაყის საპატარძლოს და მის მშობლებს მიართმევენ და ქალ-ვაყის დაქორწინების საქმესაც მოაჭახრაკებენ. მაგრამ, როცა ქორწილი მოახლოვდება, შოფრის ოჯახს მიღრციიდან ურეკავენ ჩემოდანი დაბრუნეთ, პატრონი გამოჩნდაო. კნიაზი აწრიალდება, ფაციფუცით ავროგებს ნივთებს, ჯერ თავისიანებს ვახდის კაბებს, ხალათებს, კოსტუმს, საცვლებს, მერე მძახლებს ეახლება და უკან იბრუნებს მირთმეულ საჩუქრებს, ყველაფერს უკლებლივ ჩაალავებს ჩემოდანში და

ბრნათლად აბარებს პატრონს... ავტორი გვეუბნება, რომ პატიოსნება ბოლომდე სუფთა ხელებით, საკუთარი გულის კარნახით უნდა კეთდებოდეს, და არა სხვების (ამ შემთხვევაში მილიციის) ჩარევით. მაშასადამე, კნიაზმა შეცდომა დაუშვა, უნებურად ნივთების მამთვისებლის როლში აღმოჩნდა, შეილახა მისი მოქალაქეობრივი ღირსება. კნიაზი შეცდომას ასწორებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მაყურებელი სცენაზე ვერ ხედავს, რომ შეცდომას ეს პატიოსანი კაცი მისთვის უფოოდ დამახასიათებელი სინანულითა და შინაგანი სულიერი ტკივილით ასწორებს, სპექტაკლში ეს ხახვასმით არ იგრძნობა, ამიტომ სპექტაკლის იდეურ-აღმზრდელი ფუნქცია რამდენადმე გაფერმკრთალებულია. მაგრამ ვინაიდან ეს ნაკლი თანაბრად დამახასიათებელია როგორც პიესისათვის, ისე სპექტაკლისათვის — ავტორსაც უნდა მიეთითოს და რეჟისორსაც. მათ, ეტყობა, ეს ხარვეზი მხედველობიდან გამორჩათ, რაც არსებით შეცდომად მიგვაჩნია. შოფრის როლის შემსრულებელ მსახიობ ა. სანოსიანს ვერ ვკადრებთ საყვედურს, მან კეთილსინდისიერად გააკეთა ის, რაც პიესის ავტორმა და რეჟისორმა დაუსახეს მიზნად.

რეჟისორსაც ვგინდა მივუთითოთ, რომ ამ სპექტაკლში შეინიშნება ადრინდელი სპექტაკლების, კერძოდ, არამაშობ პაპიანის კომედიის — „დიახ, ქვეყანა გადაბრუნდა“ — ს მიზანსცენებთან და პერსონაჟებთან მავაგსების ცდა. მავალითად, „ტაქსი, ტაქსი...“ ზეგართი (ა. ჟამკოჩიანი) გროტესკული მანერებით უნებურად მოგვაგონებს ა. პაპიანის კომედიის პერსონაჟს ვიქტორია ნაზაროვას, ხოლო ფილოიანის (ს. სოსიანი) თამაშში ამავე კომედიის მოქმედი პირის შმაგონ გალუსტროვიჩის ორეული დავინახებთ. არც როლის როლი (ე.მ. სტეფანიანი) გამორჩევა სიახლით. ა. ჟამკოჩიანი, ს. სოსიანი და ე. სტეფანიანი — სამივე არტისტული ნიჭით უხვად მომადლებული მსახიობია, სამივეს შეეძლო სრულიად ახალი სახეებით გაცხარებინა მაყურებელი, მაგრამ რაკი რეჟისორმა პიესის კონფლიქტის გახსნისას მსახიობებს ახალი სცენური სარბიელი არ გადაუშალა, შედეგმაც არ დაავიანა — ახალი სპექტაკლის პერსონაჟები მეტნაკლებად დაეშავასენ სხვა სპექტაკლის ნაკნობ სახეებს, და თავი იჩინა შტამპის სიმპტომ-

ებში, რაც ახლის ძიების დაუძინებელი მტერია.

3. უმიკიანი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი) გუშინდელი რეჟისორი არ არის, იგი ბევრი კარგი სპექტაკლის ავტორია, ამის დასტურად, თუნდაც არამაშობ პაპიანის კომედია „დიახ, ქვეყანა გადაბრუნდა“ კმარა. ეს კომედია წლების მანძილზე დიდი წარმატებით იდგებოდა სომხური თეატრის სცენაზე და მაყურებლის დიდი მოწონებითაც სარგებლობდა. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს, რეჟისორის ნამუშევრებში შეინიშნება ერთგვარი შემოქმედებითი მოდუნება. დღეს 3. უმიკიანი სომხური თეატრის წამყვანი რეჟისორია, ე. ი. დღეს ის არის თეატრის ბელის გამრიგე, თეატრი კი საერთო სახალხო საკრებულოა, სადაც მუდამ ნამდვილი შემოქმედების ცოცონი უნდა ენთოს და ახალ-ახალ სიამოვნებას ანიჭებდეს მაყურებელს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ 3. უმიკიანი კვლავ საინტერესო სპექტაკლებით გაახარებს თეატრის მაყურებელს.

სპექტაკლში საერთო მოწონება ხვდა ახალბედა ლ. პეტროსიანის ადელაიდას. ახალგაზრდა მსახიობს კარგი სცენური მონაცემები აქვს. მას კარგ პარტნიორობას უწევდა მსახიობი რ. ალაჯანიანი. მეტნაკლებად მოწოდების სიმძლავრე იდგენენ ა. ალაიანის პაიწარი და ს. ჯანიკიანის ნუნუფარი.

ს. ალავერდიანის მხატვრული გაფორმება, რომელიც ორი ოთახის ვარშემო იყრის თავს, მოხერხებულად ესიტყვება სპექტაკლის სცენოგრაფიულ გადაწყვეტას. მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის გ. მერგელოვას.

სომხურმა თეატრმა მიმდინარე სეზონში თავის მაყურებელს არაერთი სიამოვნება მიანიჭა. იგივე „საბრალოდებო დასკვნა“, (დადგმა 3. უმიკიანის), „ეზოში ავი ძალღია“ (დადგმა ს. ჭელიძის), „ქართული ვოდვილები“ (დადგმა სსრკ სახალხო არტისტის ვ. გოძიაშვილის) თეატრის ოქროს ფონდში შევიდა. შემოქმედებითი კოლექტივი საკმაოდ ძლიერია, პროფესიულად მაღალ დონეზე დგას და თუ შტატით გათვალისწინებული მთორე რეჟისორის მოწვევისა და მრავალფეროვანი რეპერტუარის საკითხი დროზე მოგვარდება, სომხური თეატრი კიდევ უფრო მეტ სიამოვნებას მიანიჭებს მაყურებელს.

# დიდი გზის დასაწყისი

კავლე ჯორჯიანი

პერიფერიის თეატრები ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად ამრავალფეროვნებენ რეპერტუარს, იზიდავენ ახალ ნიჭიერ ძალებს, და მაცურებელში ცხოველ ინტერესს აღძრავენ. ამ მხრივ გამოწვევას არც ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრი წარმოადგენს. ახალი სპექტაკლების შექმნისას თეატრის ხელმძღვანელობა გაბედულად აწინაურებს ახალგაზრდობას. ახლახან ახალგაზრდა რეჟისორმა ენვერ ჩაიძემ დადგა გურამ ფანჯიკიძის რომანის „თვალი პატროსიანის“ ინსცენირება. სპექტაკლი ბათუმელმა მაცურებელმა გულთბილად მიიღო. ამის შემდეგ თეატრმა წარმოადგინა ახალბედა დრამატურგის ლაშა თაბუკაშვილის პიესა „ჭრილობა“, რომლის დადგმა, მხატვრული და მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ასევე დებიუტანტ რეჟისორს, საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტ-დაბლობანტს დავით ხინიკაძეს (საქართველოს და უკრაინის სახალხო არტისტის, ტ. შვეჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატის, პროფესორ დიმიტრი ალექსიძის კლასი, პედაგოგი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — რემი შფეთოშვილი). სპექტაკლში უმთავრესად დებიუტანტი მსახიობები, თეატრალური ინსტიტუტის ახლად კურსდამთავრებულები მონაწილეობენ.

სპექტაკლი აგებულია ორიგინალურად. მოქმედება მიმდინარეობს გენერალური რეპეტიციის სახით, რეპეტიციისა, რომლის დროსაც ხდება რეჟისორისა და მსახიობთა შემოქმედებითი პოტენციალის მაქსიმალური გამოვლინება. სპექტაკლის ავტორები თავიდანვე იპყრობენ მაცურებელთა ყურადღებას.

თავისებურ ექსპოზიციას წარმოადგენს რეჟისორის რჩევა-დარიგება, განმარტებანი, მსახიობთა მიერ თავიანთი თემების გამოყოფა. მოქმედება იწყება იმით, რომ მოჰკლეს ახალგაზრდა ვაჟ აბაშიძე, შემდეგ კი მიეყვებით მკვლელობის მიზეზის და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას. ასე ერთბაშად იჭრება სპექტაკლში სიკვდილის თემა, რომელიც განხილულია არა ცხოვრების ამოაღების პოზიციიდან, არამედ ადამიანურ ფასეულო-

ბათა უკეთ გაგების, დამკვიდრების თვალსაზრისით.

პიესის ძირითადი იდეის გახსნას ექვემდებარება სცენის ყველა კომპონენტი. სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი მუქფერებშია წარმოდგენილი, რითაც ერთხელ კიდევ ესმება ხაზი სპექტაკლში დასმული პრობლემების სიმძაფრეს. ბოროტება ხომ ასე აქტიურია, ხოლო ჩვენმა გულგრილობამ, თუნდაც შიშმა ამ აქტიურობის წინაშე ხელ-ფეხი გაუხსნას ზოგიერთ აღვირახსნილ პაროვენებსა, რომელთაც ასე დიდი მორალური ზიანი მიაყენეს ჩვენს საზოგადოებას, სწორედ გულგრილობამ, უსულგულობამ იმსხვერპლა ვაჟ აბაშიძე, რომელიც იღუპება თბილისის ღამისეულ ფონზე. მაღლივი შინაგონების განირაღდებული ფანჯრები, სასტუმროთა და რესტორანთა შუქ-რეკლამები — ადამიანები ცხოვრობენ თავისთვის, თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი, ხოლო ქუჩაში სასიკვდილოდ დაჭრილი ჭაბუკი ამაოდ მოითხოვს შველას მსუბუქი მანქანების სირენათა ვაბმული ღრიალით, მუხრუჭების ხრჭიალით გვერდს უვლიან მომავლად ადამიანს. მეგობრის დაკარგვით გულმოკვლილი, მოულოდნელი უბედურებით შემოფოთებული კახა, რომელსაც ასე ზომიერად ანსახიერებს ზ. გოგიტაური აღვზნებული მიმართავს მაცურებლებს, არ დაინდონ მკვლევები, ზიზღით მოექცენ იმათ, ვისაც სხვისი სატკივარი არ აწუხებს, ვისაც სხვისი გასაჭირთან არაფერი აქვს საერთო.

სპექტაკლის ავტორები როდი აიდეალებენ თავიანთ გმირებს. სცენაზე არიან მოღურ შარვლებში და გრძელ კაბებში გამოწყობილი ქალიშვილები, რომლებიც თამბუქოსაც ეწევიან. ვაჟები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ თავი ქუჩური ცემატყუების „ვაჟაკური“ ჩვევისაგან, იციან უშნო, უტაქტო ზუმრობაც, საკმაოდ ცინიკოსებიც არიან, მათი ესთეტიკური გამოვლენაც ვერ გასცილებია ზომურ სიმღერებს, მაგრამ ეს ჭაბუკური გატაცება, მოდის აყოლა როდია მთავარი ამ ახალგაზრდებში. სპექტაკლის მოქმედების კვალდაკვალ თანდათანობით იხსნება მათი ნამდვილი სახიანთი, მათი ბუნება, გვინდება მათი ცხოვრებას ფილო-

სოფია. სცენაზე არიან მოაზროვნე, სიკეთისა და ჭეშმარიტების მაძიებელი თავისი სიყვარულის ერთგული, მეგობრობაში ფიცგაუტყებელი, სისხლსაცხე ახალგაზრდები — სწორედ ისეთები როგორც ცხოვრებაში გვხვდებოდა.

უფროსთა მუხრებთან დაჩვეული, ცხოვრებისათვის შეუმზადებელი მეგობრების პატარა წრეში მოულოდნელად შეჭრილმა უბედურებამ ააფორიაქა მათი ჯერ კიდევ დაულავებული ცნობიერება, დაუნდობლად შემოუჭია მათ უზრუნველობა, აიძულა ეფიქრათ, დამოუკიდებლად ეთვრათ გამოსავალი. ახალგაზრდები მიხვდნენ, რომ ამ შემთხვევაში მათ ვეღარ უშველიან ვერც მშობლები, ვერც სხვა ჭკუისდამრიგებლები. შეძრწუნებულია სალომე, გიას მომავალი ბავშვის დედა, თავზარდაცემული არიან მეგობრები. გიაც, რომელსაც ასე შთამბეჭდავად ასახიერებს დებოუტანტი მსახიობი ზ. სიხარულიძე, სიკვდილის წინ ფართოდ გახელილი, სიცოცხლეს დახარბებული თვალებით გაპყურებს დარბაზს, მთელი მისი პოზა, ჟესტი, გამომეტყველება მაყურებლის მესხიერებაში აღიბეჭდება როგორც კითხვა — რისთვის, რატომ?

გიას სცენაზე მოხაზული სახე მისი სიკვდილის შემდეგ თანდათანობით იცხება სალომეს, მეგობრების, მკვლელის მოგონება-გახსენებით. ამ მოგონებების დროს ისინება გიას ხასიათის ესა თუ ის ნიშან-თვისება, ჩვენს წინაშე თანდათანობით წარმოსდგება თითქოს უღარდელი, ქარაფშუტა, ქუჩას აყოლილი, მაგრამ შინაგანად მეტად მდიდარი, სიყვარულისა და მეგობრობის ერთგული ქაბუკი თავისი პატარა ცხოვრებით, განუზოხრიცილებელი იმედებით, გულისტკივილით.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე გიას და სალომეს დუეტმა ლირიკულ სცენებში გრძობების ძალდაუტანებელი, უშუალო გამოხატვით. სალომეს (მსახიობი ქ. ასანიძე) ხასიათის განვითარებაში რთული და შინაგანი ჭიდილი ხდება მას შემდეგ, როცა დიდი ბედნიერების მომლოდინე მომავალი დედა გიას სიკვდილს შეიტყობს. თითქმის დაკარგა აზრი მისმა ცხოვრებამ, მაგრამ გოგონა ქედს როდი იხრის უბედუ-

რების წინაშე, მას გიას მეგობრების მხარდაჭერაც გაამხნევეს. ბავშვის ვახსენება კი, რომლის დაბადებას ასე მოუთმენლად მოელის ყველა, მის სიცოცხლეს აზრს შემატებს. დებოუტანტმა მსახიობმა შეძლო ეპოვნა ამ მდგომარეობის შესატყვისი ფერები და ზომიერად წარმოუდგინა დამოუკიდებელი ცხოვრების კარიბჭესთან უბედურებას შეჭიდებული ქალიშვილის სულიერი განწყობილება, დამაჯერებლად გვიჩვენა ის ძვრები, რაც მისი გმირის ხასიათში ხდებოდა.

ახალგაზრდა მსახიობს ს. კუნჭულიას მოწინავე ახალგაზრდის, სტუდენტის სცენური სახის შექმნისას შესაშური ზომიერებით დაუღწევია თავი გავრცელებული შაბლონისათვის. უფრო შინაგანი ინტუიციით ვიდრე ოსტატობით, უშუალოდ და გატაცებით ასხამს ხორცს მის მიერ განსახიერებულ ხან დაფიქრებულ, ხან თავშეკავებულ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ახალგაზრდას თავისი ხალასი გულითა და დაუოკებელი ენერგიით.

სპექტაკლი უნაკლო არ არის. ჩვენ გვეჩვენება, რომ ავტორები ყოველთვის ვერ აღწევენ ბუნებრივობას, მხატვრულ და ცხოვრებისეულ სიმართლეს, მათ ხანდახან უხდებათ საკმაოდ „დაღეჭილი“ სახით გადმოსცენ სპექტაკლის ესა თუ ის პასაჟი, მაყურებელს დაჟინებით მოახვიონ თავს ისეთი რამ, რაც ისედაც ესმის, ან თვითონაც დაეჭვებულნი ამა თუ იმ სცენაში, მიმართავენ სხვადასხვა ხელოვნურ გამომსახველობით „საშუალებებს, რათა მაყურებელბამდე დაიყვანონ ის, რაც მათაც ბუნდოვნად აქვთ წარმოდგენილი. ავიღოთ, თუნდაც, მკვლელობის სცენა, მკვლელობის მიზეზისა და მკვლელის ფსიქოლოგიის გახსნის ცდა, რაც პიესაში და შესაბამისად სპექტაკლში ერთ-ერთი სუსტი ადგილია. მკვლელობის აქტი ფსიქოლოგიურად საესეებით შეუმზადებელია. პიესაში და სპექტაკლში არის არცთუ ბოლომდე ზუსტად გაზრებული ცალკეული მომენტები და განზოგადებანი, მაგრამ, ვიმეორებთ, მთავარია ის, რომ შეიქმნა საინტერესო, მიმოხიდეული სპექტაკლი, რომელიც გულთბილად მიიღო მაყურებელმა.

# სანდრო ახმეჯელი ახალგაზრდობის შესახებ

მასილ კიკნაძე

უაღრესად მრავალმხრივია სანდრო ახმეტელის მიმეკვიდრეობა. ის, რაც მან თეატრალური ხელოვნების სფეროში გააკეთა, უკვდავს ხდის რეჟისორის სახელს, მაგრამ ახმეტელის ცხოვრება მართო თეატრით როდია შემოსაზღვრული. იგი ფართო ინტერესების ხელოვანი იყო.

რასაც იგი ქმნიდა, ყველაფერში ვლინდებოდა დიდი პატრიოტის სული.. მალაღლი ეროვნული იდეალები იტაცებდა მუდამ. რევოლუციამდელი საქართველო განსაკუთრებულად დრამატულ ფერებში იხატებოდა ხოლმე მის წერილებში, მის სიტყვებში. თვით ცხოვრება კარნახობდა ამას.

მომავალ რეჟისორზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა შინაგანი ეროვნული შუღლი, უნებისყოფობა და ხალხის თვითშეგნების დაქვეითება, აგრეთვე ის უარყოფითი გავლენა რასაც ქართველი ხალხის ცხოვრებაზე მეფის რუსეთის ბიუროკრატია ახდენდა. მას არც ის რჩებოდა მხედველობიდან, რომ პროგრესული ტენდენციები ადვილად ვერ იკვლევდა გზას. მის წერილებში ნათლად აირეკლა მთელი ეს პროცესი.

ამჯერად უნდა შეგვიხსენოთ ერთ-ერთ უაღრესად საინტერესო წერილზე „ჩვენი ახალგაზრდობა“. წერილი დაიბეჭდა გაზ. „ზაკავკასკაია რეჩში“ (1910, 11 დეკ. № 281, 1911, 3 მარტი, № 50). ორი ვრცელი სტატია მიუძღვნა ახმეტელმა ქართველი ახალგაზრდების პრობლემას. როგორც მეორე წერილიდან ირკვევა, ს. ახმეტელს განზრახვა ჰქონია დაწერა მესამეც. იგი აქ წერს „ვამთავრებ რა მიმოხილვას სტუდენტობაზე, შემდგომში მე საუბარი მომიხდება საერთოდ ახალგაზრდობაზე და ვუპასუხებ იმ კითხვებზე ამ შრომის პირველ ნაწილში რომ დავსვი“.

მეორე წერილი შეიცავს ბევრ საინტერესო დაკვირვებას, არის ცდა ფსიქოლოგიური ახსნა მოუძებნოს ქართველი სტუდენტის ხასიათს. იგრძნობა ისტორიის სიღრმეებში წვდომის უნარი. მაგრამ ამასთანავე მასში არის ბუნდოვანა აზრებიც. პირველი წერილი შედარებით უფრო ნათელია, უფრო გარკვეული. ვაჭკვენებთ მცირედი შემოკლებით შრომის პირველ ნაწილს.

## ჩვენი ახალგაზრდობა

დავიანება აღარ ღირს, სწორედ ახლა მე მწადია დაწერო საერთოდ ახალგაზრდობაზე და კერძოდ, ჩვენზე, სტუდენტობაზე. არც ვეჭვობ ჩვენს საზოგადოებას ეს აღდეგება და აღდეგებს, მაგრამ ჩემი ახლანდელი სურვილი გამოწვეულია ორი რამის გამო. ერთის მხრივ, მე, როგორც ეს ყოველწლიურად ხდება, კვლავ დავინახე თვალნათლივ ჩვენი ახალი, მოწიფული ახალგაზრდობა, რომელსაც უკვე გაუჩნდა სუფთა, უმწიკვლო მსოფლმხედველობა, წმინდა და გულწრფელი ოცნება უმაღლეს სკოლაში სწავლაზე, მაგრამ ჭერ უნივერსიტეტის ზღურბლზე ფეხის გადადგმაც ვერ მოახწრო და რაღაც კანონზომიერების ძალით უკვე განწირულია ჩადგეს იმ ძველ ქართველ სტუდენტთა რიგებში, რომლის თავზეც კარგა ხანია

განუწვევებლივ გამოუსწორებლად ქრის „კომმარული“ ენაზე. მეორეს მხრივ, შორეული სამშობლოდან ყრულ მოღწეული ცნობებით, რომლებიც ერთობ ნათლად გვისუბრალებენ ჩვენი მზარდი ახალგაზრდობის ქეშმარიტ სახეს.

ჩემი გარჯის მიზანი ვინმესთვის ბრალდების წაყენება სულაც არ არის. ღმერთმა დამიფაროს! ეს ერთობ დიდი გაბედულებაა და სიმამაცე იქნებოდა. მე მწადია, მხოლოდ პატარა ეკსკურსია გავაკეთო ჩვენი ახალგაზრდობის თვითფსიქოლოგიაში, ვცადო, რა თქმა უნდა, თუ ამას შეძლებ ჩვენვედ მისი სულის იღვრულ კუნჭულებზე და ასე მივუახლოვდეთ იმ ობიექტურ პირობებს ასე სრულყოფილად რომ კვებავენ და განსაზღვრავთ თანამედროვე ქართველი სტუდენტის ტიპს.



ბოლოში ვინდი, თუ არ ვცდები, მე თქვენში გაკვირვება გამოიწვიე, ბატონო მკითხველო, არ ჩემი ბოლო გამოთქმით, არა? მართალი ბრძანდებით. მართლაც, ბლოსდაბოლოს, განა შესაძლებელია, განა უაზრობა არ გახლავთ ვილაპარაკო ჩვენთან, ასე ვთქვათ, თანამედროვე ქართველი სტუდენტის ტაპზე? სად და როდის უფიქრიათ ამაზე, ვინ დაინტერესებულა, ვის დაუწერია? გადაატრიალეთ მიელი ჩვენი ლიტერატურა, წაიკითხეთ ყველა ჩვენი თანამედროვე პოეტი. ოი, ღმერთო, მერედა რამდენია! წაიკითხეთ მწერლები, დრამატურგები, საბედნიეროდ ხომ არც ენენ არიან ცოტა, განა მათთან კი იპოვით თუნდაც ცდას მიუახლოვდნენ სტუდენტობას, როგორც მთელი კულტურის ერის ახალგაზრდა თაობის შეგებულ გამომხატველს? მიუახლოვდნენ იმ მიზნით, რომ გამოამუდგანონ მისი ქეშმარიტი მსოფლმხედველობა, განწყობილება, განხრტიონ მისი სულიერი სახე, მისი ცხოველყოფელი, საერთოდ ყველა ქართველისათვის დამახასიათებელი ყრუდ ჩაქეტილი, ცეცხლით და ტემპერამენტით სავსე დრამა? ჰკითხეთ რომელსაც გენებათ ჩვენი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგს, ლიტერატორს, თუ იცის რამე ქართველი სტუდენტის საშუალო ტიპის ფილოსოფიურ სამყაროზე, მის ზნეობის ბუნებაზე და გონების შესაძლებლობაზე? აი, დამბნეთ, არის სამეფო თუნდაც პატარა ნარკვევი ქართველ სტუდენტთა ისტორიაზე? არა და არა, ჩვენი საზოგადოება თავის სტუდენტობას არ იცნობს.

მე პირადად პრეტენზიას არ ვაცხადებ: ქართველი სტუდენტის თანამედროვე ტიპის სრულ დახასიათებას მოგაწვდით-მეთქი. მწაღია, მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნო მისი ცხოვრების ის სპეციფიკური ფსიქოლოგიური მომენტები, რომელიც ჩემი ვარაუდით ამგვარი სახის შესაქმნელად გამოდგება.

I

ყველა სტუდენტის ცხოვრებაში ყოველთვის საკიროა უქვეყლად აღვნიშნოთ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი, ფრიალ დამახასიათებელი და უფრო მეტიც, ფრიალ საზეიმო პერიოდი. ეს პერიოდი მისი სტუდენტობის პირველი დღეები გახლავთ. არა მგონია, შევცდეთ, თუ თავს ნებას მივცემ და უფრო შორსაც წავალ, ამ პერიოდის მოვანთლავ სრულ და ღრმა ფსიქოლოგიური განათლების პერიოდად. მართლაც, ამ მომენტში, როგორც არასდროს, ადამიანის გონება იწყებს დამოუკიდებელ, გააზრებულ და ნერვიულ მუშაობას. ამ დროს, როგორც არასდროს, ცხოვრება ეჩვენება რთული, იდუმალი გამოცდებით სავსე, მკაცრი. ამას ემატება ისიც, რომ ამ დროს, როგორც არასდროს, იგი ხდება თავის

თავისადმი მომთხოვნი, ანალიტიკური. მდგომარეობა აქ თითქმის ერთნაირად ჩვეულებრივად ერთი გაჩერებაა. მეცნიერების ტაძრისაკენ მიმავალი გზა სრული რელიეფურობით ახმდეს ამ გზაზე მიმავლის მთელ წარსულს, მისი ცოტახნის წინანდელი გიმნაზიური ცხოვრების კოლორიტს, ააშკარავებს მისი სულის ინჰიბიციულობას, გონებრივ მონაცემებს. ჰოდა, ძნელია წარმოვიდგინოთ ახალბედა სტუდენტი, რომელიც სინაშულით არ მიხვდება, ახალი, სასასუნისმგებლო სტუდენტური ცხოვრებისათვის უქვეყლად საკირო მომზადების ნასახიცი კი არ გამაჩნია, ამ ცხოვრებას სრულიად მოუშაადებელი ვხვდებით. იგი ვერ გრძნობს ნორმალურ, ბუნებრივ კავშირს წარსულსა და აწმყოს შორის. იგი თითქოს გიმნაზიის მერსს მოსწყდა უცებ, ინერციით გაიქცა და უმაღლვე მისთვის სრულიად უცნობ სამყაროში ამოყო თავი. აქ ყველაფერია ახალი, უცნობი და იდუმალი. ოჰ, რა კარგი იქნებოდა, სწორედ ახლა აქ, გვერდით ჰყოლოდა მწარუხველი მამიკო ან დედიკო, მისთვის მუდამ ავტორიტეტული ზელმძღვანელები. აი, თვითონ განსაჯეთ, ვიდრე აუდიტორიის ზღურბლზე ფეხს გადადგამდეს, მას თავის არჩეულ პროფესიაზე ცოტა თუ ბევრად წარმოდგენა უნდა ჰქონდეს, უნდა იცოდეს მისი მეზობელი, განსაკუთრებული კატეგორიის მეცნიერებანი, მაგრამ იგი სრულებითაც არ იცნობს ფაკულტეტებს და ამ მომზადებაზე ლაპარაკიც შედგებოდა. ჰოდა, მითხარით, გათავა, განა არის შესაძლებელი, ამ მდგომარეობაში ფაკულტეტი შენი სულიერი მოთხოვნილებით, შენი გემოვნებით და შენი გატაცებით ამოირჩიო? ამიტომ უფრო ნიშანდობლივია ისეთი შემთხვევები, როცა ახალბედა სტუდენტი სამშობლოდან გამგზავრების წინ თავის გულში აგებს მაგალითად პედაგოგიური ან იურიდიული მოღვაწის ღიღებულ მონუმენტს, ადგილზე მისვლისას კი ამ მონუმენტის ადგილს ქიმიკოსი, ექიმი ან სხვა ვინმე იქერს? ჰოდა, იგი შემდგომ წლებში ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადადის. ყველაფერი ეს გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ვალაიროთ, ჩვენი სტუდენტობის ღიღი უმრავლესობა ერთობ ცუდად არის მომზადებული ამ ფრიალ მნიშვნელოვან მომენტთან შესახვედრად, ფაკულტეტის არჩევანთან შესახვედრად.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო და უმაღლეს სკოლათა შორის ასეთი ურთიერთობის ატმოსფეროა, ჩემის აზრით, შეუძლებელია ახალბედა ქართველი სტუდენტის სულში არ განვკვირვოთ, არ დავინახოთ, თუ რა სრულიად კონკრეტული ფსიქოლოგიური გარდაქმნა ხდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დადებითი გადატრიალება ყოველთვის არის თვითშეგნე-



ბისა და თვითანალიზის შედეგი. მე მხოლოდ გავაშუქებ მოვლენებს და ახსნისაგან თავს შევიკავებ. არა მგონია, შევცდებ, თუ მივუთითებ, რომ იშვიათად შევხვდებით სტუდენტ-ქართველს, რომელიც სამშობლოდან გამგზავრების დროს არ იყოს შებურბობილი მხოლოდ ერთი ძლიერი სურვილით: მეცნიერებისათვის თავდადებულითა ამაღლს შევუერთდები და მეც ჩემი საზოგადოების სასარგებლო წევრი გავხდები მომავალშიო ეს სურვილი თუმცა ბუნებრივია, მაგრამ დასაწყისში ბუნდოვანია, საშუალო განათლების დამთავრებისთანავე უმაღლვე ცნაურდება, თავის სახეს ეძებს, შემდეგ კი, იღებს რა თანდათან უფრო დადებითი, უფრო შინაარსიან გამოკვეთილ სახეს, მთელი მისი უშედეგოში მუშაობის მიზნად იქცევა. ამ სურვილით აღსავსე უმაღლვე ებლაუქება იმ მეცნიერებას, ანაზღად, პირველადვე მის თანაგრძნობას რომ იწვევს.

სიმართლე რომ ვთქვათ, უნივერსიტეტში მისვლის პირველ დღეებში ახალბედა სტუდენტი საამო საყურებელია, შინ როგორ იცნობდნენ, ეს საკითხავი აღარ არის, აქ მისი ყველა საქციელი გულწრფელად დადადებს: საქმეს ორივე ხელი უნდა ჩავეიფო. სასწრაფოდ მოაგვარებს რა მიღების ფორმალურ ამბებს, იგი მუშაობაში როგორღაც თითქოს ბოლომდე იძირება. ძნელად დასაჭერებელია ისე ფაქიზად იქცევა. ნეტავი განახვთ, რა ყურადღებით, რა ღრმა სიამოვნებით გრძნობთ უსმენს ლექციებს და პროფესორის მახვილგონივრულ გამოთქმებს რა ვთვლოდგინდ იწერს უბის წიგნაკი. არც ეს არის მთავარი. სერიოზული, ცოტა აღლეკებულიც კი რომ გეჩვენება თითქოს, ფართოდ და ღრმად ყურებას იწყებს. ამ ცოცხალ და ძლიერ გარემოში იგი იკვლევს გზას, იქმნის საასპარეზო გეგმს თავისი გონების ნაყოფიერი მუშაობისათვის. როცა ამას ეწავება ცოტა თუ ბევრად დაფარული ენტუზიაზში, იგი განსაკუთრებულად ცხოველმყოფელი, ნათელი და მართალი ხდება. ო, რა დარბაისლური პროცენება, შეგიძლია, მხოლოდ აღფრთოვანდ. აქ ბევრი რამ ჰქვია სასიხარულო. მდიდარი ნიჭი — ეს ბუნებრივი სიმდიდრის მადანი: მკვირცხლი გონება, თანამგრძნობი სული, ტემპერამენტისი ხასიათი, რითაც ყველა ქართველს უფლება აქვს იამაყოს ყველას წინაშე, ერთდებთან მტკიცე საფუძვლიან ერთ კვანძად — შრომის სურვილად. მეტი რაღა გინდათ: მგონი, ეს ყველაფერია. სწორედ ასეთი სურათი იქმნება სტუდენტის ცხოვრების ამ პერიოდში.

მაგრამ უცებ, ამის გაფიქრება-აღიარებაც კი მზარავს, ორი-სამი თვეც რომ არ არის გასული ეს სასიხარულო, ძვირფასი სურათი წესამჩნევად ფერმკრთალდება და მალე მთლიანად ქრე-

ბა. ავი დემონი თავისი ძლიერი, ხელმწიფი ხელით შლის ყველაფერს, რაც გავსეხვებულა და სასარგებლოდ სულ ზრდასა და ზრდას გვიპრდებოდა. ახალბედა სტუდენტი, რომ გვეგონა თავის მართალ და გაცნობიერებულ მიზანს დაეწყო-შეეზარდა, უნივერსიტეტიდან მდის, უფრო მეტიც, უნივერსიტეტიდან გარბის და იქ იშვიათად ჩნდება ხოლმე. საშინელუბაა, შემაძრწუნებელია, თანაც ეს ცვლილება ძნელად გასაგებია. რა მოხდა? ხომ არ გაუქრა ყველაფერი, რაც ამ ცოტა ხნის წინათ ასე ახარებდა, თავისკენ უხმობდა და წინადავა? იქნებ მის სულიერ მოთხოვნილებას, მის ძიებას უმაღლესი სკოლა ვერ აკმაყოფილებს? იქნებ თვითონ გარდაიქმნა, მის ფსიქიკაში ხომ არ მოხდა გადატრიალება, რის გამოც მეცნიერებასთან ცოცხალი ურთიერთობის გაწყვეტა გახდა საქირი? იქნებ მისი პირველი ნაბიჯები მხოლოდ უბრალო ცნობისმყოფარეობის შედეგი იყო. თუმცა მართალია, პირველი ნაბიჯები ერთობ მეტის არის იმ სურვილიდან, ჩემი სიცოცხლე შევინერებას უნდა მოვახმარო, მხოლოდ ამისთვის უნდა გავისარგო, მაგრამ თუ ამის ძლიერი და გულწრფელი სურვილი არ ჰქონდა, უბრალო ცნობისმყოფარეობას განა შეეძლო უნივერსიტეტში მოსვლის დასაწყისში ახალბედა სტუდენტს ასე ენერგიულად დაეწყო თავისი განზრახვის შესასრულებლად ბრძოლა? არახოდეს. მაშ, რა არის ქეშმარიტი მიზეზი, სად მარხია ძალის თავი? მე მგონია, ყველაფერის აჯობებს, ვითონ თუ ავგიხსნის. მერედა, იცით, თქვენ, ჩვენო საზოგადო მოღვაწენო, კულტურული ხელმძღვანელებო, რას გეტყვით თქვენი მოძე, თქვენს ხელებში გამოვილიო, ქარველო ხალხის ბედ-იღბლის მომავალი მფარველ ვართო და შექმნილი? თქვენ ქეშმარიტების გაგება გასურთ? ინებეთ: მას მეტი აღარ შეგიძლია. ნუ გიკვირთ, ამასვე გეტყოდით არა მარტო ამ სტრქიონების დამწერი, ათობით ახლო ამხანაგი და ჩვენი სტუდენტობის უმრავლესობა. როგორც გნებავთ, გავსაჯეთ, მაგრამ ერთი რამ უშეკველია, ჩვენ ყველას, ახალბედებსაც და ძველებსაც, აუტანლად გვიქირს მულამ, ჩვენს თავს ვერ ვიმორჩილებთ, ვერ ვაძილებთ, ჩვენი სურვილის ერთხელ არჩეულ გეგმს გავყვეთ. ძალიან კარგად გვესმის, როცა უნივერსიტეტიდან გვეშორებო, ეს რა საშინელი საქციელი არის, ყველას გავწუნებს ეს უთაური, დაუღვარი უწესო ცხოვრება, ყველას რომ გვავერთიანებს, ამ ხელმოცარვის და დამარცხების მწვევე ტკივილი წამებით გვახრჩობს, მაგრამ ჩვენს არსებაში ჩასახლებული ავი დემონი ძლიერი და ყველაფერის დამთრგუნავია. მერწმუნეთ, ეს თქვენი სტუდენტის გულწრფელი აღსარებია

ხმა. აი, თითქოს ყველაფერი ჩვენს თვალწინაა: მდიდარი, კარგი მახსოვრობა, მახვილი გონება, მეცნიერების ყველა რთულ ამბებში სწრაფი ორიენტირების უნარი, ძლიერი სურვილები, ყველას წინაშე მოვალეობის საუცხოო შეგნება, შეგნება იმისა, რომ აუცილებლად უნდა გახდე სასარგებლო, განათლებული ქართველი, მაგრამ ყველაფერი ამის ამოქმედება და ამუშავება, რაიმეს შექმნა, გავსაჯეთ, როგორც გენაბავთ, არ შეგვიძლია. შევუდექით რა მუშაობას, ეს სულერთია როდის, ახალბედა თუ ძველი სტუდენტი, ყველაფერი ჩვენ გვიშლის ხელს, ყველაფერი გვთმავს: პატარა შიმშილი, შინიდან მიღებული არასასიამოვნო ბარათი, ფანჯრებზე მოკაყუნე სიცივე, დახუთი კალოში, ყველაფერი, რაც ასე თუ ისე გვაღიწიანებს. ყველაფერი ამას რომ ვაჭობოთ, მთელი ჩვენი ყურადღება ერთ რამეს რომ მივაპყროთ, როგორც ამას ახერხებენ თავისუფალი სტუდენტი ებრაელები, ფინელები, გერმანელები, პოლონელები, ჩვენ, ქართველებს არ შეგვიძლია, ვერ ვახერხებთ. თუ ზოგჯერ ჩვენში გაღვიძებული სინდისი ჩვენი სულმდაბლობის შერცხვენას იწყებს, ხელს ვკიდებთ საქმეს, თანაც ჩუმად, ქურღულად ღმერთს ლოცვით ვევედრებით, ამ წუთში რომელიმე მეგობარი გამოგვიგზავნოს, რათა მოგვეცეს საშუალება, ამ საშინელ შრომას თავი ავარიდოთ. ჩვენ ზარმაცებიც კი არა ვართ, არაორგანიზებული ხალხი ვართ. ჩვენი პიროვნება გაორებულია. ნებისყოფა პარალიზებული გვაქვს და სასტიკად ვჭირვეულობთ. მხოლოდ ძლიერად უნდა გვიბიძგოს რაიმემ და ღრმად უნდა შეგვძრას, რათა დროებით, ცალკეულ ბედქუდიანებს კი მთელი სიცოცხლითაც, მოგვანიჭოს პარმონია მოქმედებისა და სრული, ერთიანი სიავე-უბედურებისა. არ არის საჭირო იყო კარგი, დახვეწილი დიაგნოსტიკოსი იმის შესამჩნევად, თუ რა საშინელი სენი აწუხებს ჩვენს ახალგაზრდობას და მასთან ერთად მთელ

ქართველ ინტელიგენციას. სამაგალითოდ მიგითითებთ ერთ სტუდენტზე, რომელიც, ჩვენს მორალისტების სასარგებლოდ, არც ღვინოს სვამს, არც თამბაქოს ეწევა, უფრო მეტიც, ლოველასი არ გახლავთ და ცოტა ეშინია კიდევ ქალების. იგი მთელი ვნებებით და მძაფრი სურვილებით ერთ რამეს ესწრაფვის, ჩემი სიცოცხლე მხოლოდ და მხოლოდ სამეცნიერო მუშაობას უნდა შეეწიროს. როგორც ამბობენ, განზრახული ექვს დარჩეს უნივერსიტეტში. მისი ოთახი სავსეა მხოლოდ გაზეთებით და წიგნებით, სამწუხაროდ, ჭერაც გაუჭრელი, ხელუხლებელი. ფიზიკად ადევენებს თვალყურს ლიტერატურას, პოლიტიკურ ცხოვრებას.. მატერიალურად ძალიან უჭირს, მაგრამ ამისათვის უკანასკნელ გროშებს სწირავს. მერედა, რა? ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ეს ახალგაზრდა ადამიანი ერთსა და იმავეს აკეთებს წესიერად და ფაქიზად: იძინებს მტკიცე დაღწევეტილებით, უფეკველად დავიწყებ მუშაობასო. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, ამ წუთშიც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, იგი რომელიმე თავის მეგობართან ზის და უადრესად გულწრფელობით აყალიბებს თავისი ზვალინდელი მეცადინეობის გეგმას. ასეა გაუთავებლად. ცოტა თუ ბევრად ასეთი ბუნება-ხასიათისა ვართ ჩვენც ყველანი..“

თანამედროვე მკითხველს იქნებ ეუცხოება კიდევ ასეთი კატეგორიული ტონი ახალგაზრდისა. გულისშემძვრელია ს. ახმეტელის ზოგიერთი დასკვნა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წერილი 1910 წელს არის დაწერილი, დაწერილია სტუდენტის მიერ, მაგრამ როგორი გულისტკივილით! მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, შეიცვალა ქართველი სტუდენტის ბედი და მანაც რამდენი რამ არის სტატიაში ისეთი, რომელიც ჩვენს თანამედროვეობას ეხმაურება.

# ვლადიმერ მესხიშვილის წერილები

## ენო უპანავირაძე

სამართლმცოდნეობის საინსტიტუტო მუშაობის დასრულებული ვლადიმერ მესხიშვილის პირადი არქივი დაინტერესებულ მკვლევართათვის კარგადაა ცნობილი. მისი ეპისტოლარული ნაწილი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის მისაწვდომი გახალაპროფესორმა აკაკი ფაღვანიანმა თავის მონოგრაფიაში „ვლადიმერ მესხიშვილი“. ეს წერილები დიდი მსახიობის მძიმე მატერიალურ ყოფას ადასტურებენ.

ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს საინსტიტუტო მუშაობის ხელნაწერების ფონდი დიდდ გაამდიდრა სოფელ ნიკოლსკოეს სუბმათაშვილ-იუნიუსის ფონდში აღმოჩენილმა ვლადიმერ მესხიშვილის წერილებმა; ის მეტად საინტერესო მასალას წარმოადგენს არა მარტო მესხიშვილის ცხოვრების შესასწავლად, არამედ ნათელს მფენს რეაქციის წლებში ქართული თეატრისა და მის მსხვერპლთა მდგომარეობას.

ცნობილია, თუ როგორ იქცა ვლადიმერ მესხიშვილის სახელი ჩვენი თეატრის რევოლუციური განწყობილების სინონიმად.

პირველი რევოლუციის პერიოდში ქუთაისის თეატრის მგზნებარე სექტაკლებმა, რევოლუციონერებთან კავშირმა, მათთვის ხელის შეწყობამ და ბოლოს თეატრის წინ აღმართულ ბარკადებზე ხელჩართულმა ბრძოლამ სასახლეო კვალი დატოვა ქართული თეატრის ისტორიაში. რეაქციის წლებში მეფის მთავრობის რისხვა მწვავედ დაატყდა თავს ქუთაისის თეატრს და მის ხელმძღვანელს ვლადიმერ მესხიშვილს.

მთავრობა ანგარიშს უსწორებდა თეატრს. ვლადიმერ მესხიშვილმა მხოლოდ საქართველოდან გაქცევით დააღწია ციხის თავი. ამ ფაქტის შესახებ მოსკოვში ჩასული მესხიშვილი აღუქანადრე სუბმათაშვილს დიდი გულისტკივილით სწერს:

„... თქვენ ალბათ გაგაკვირვებთ, რომ მე 25 წლის სამსახურის შემდეგ გადაწყვიტე დამეტოვებოდა მშობლიური სტენა და ჩამოვსულიყავი აქ, რათა მეძებნა თავშესაფარი ჩემთვის უცნობ მოსკოვში. დიდად სამწუხაროდ იძულებული გავხდი ეს ასე გამეკეთებინა... უბედური ქართული სტენა ჩაყენებულია ისეთ პირობებში, რომ იგი უკვე მიემართება თავდადართისაკენ... ათი წლის წინათ გადავედი ქუთაისში და შევქმენი დამოუკიდებელი ახალი საქმე, იმის გამო, რომ მივიზიდე ახალგაზრდობა, საქმე ძალიან

წესიერად დადგა. ქუთაისის თეატრი თბილისისათვის სამაგალითო გახდა, მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელმა დარბევამ მაიძულა შემეწყვიტა ეს საქმე. მართალია, ეს არ არის გმირობა — უკანდახევა და ხელების დაშვება, ძალიან დავიღალე. მე არ ვიცი, მომავალში რა მომეღის, შეიძლება შიმშილიც კი, მაგრამ საკუთარი თვლით ხომ მაინც ვიღარ დავინახავ ჩემი საყვარელი საქმის დაღუპვას...

ხალხი მოითხოვდა, რომ არ წამოვსულიყავი, რომ მე არა მქონდა უფლება დამეტოვებოდა უპატრონოდ ქართული სტენა. მომივიდა უამრავი მომართვა მცხოვრებთა ხელმოწერებით; არ მიიღოდნენ თეატრიდან ვიღაც არ მიიღეს ჩემი თანხმობა დარჩენის შესახებ. შეიქმნა საზოგადოება, რომელმაც იკისრა მთელი წლის განმავლობაში შეენახა მთელი ჩვენი თეატრი, მაგრამ უზუსტად ერთი თვის შემდეგ ამ საზოგადოებამ უარი განაცხადა დასის დახმარებაზე, რადგან ქალაქში სასტიკი უწყისრიგობა და დარბევა გამეფდა. მე ჩემი ოჯახით ნამდვილად ვშიმშილობდი.

ახლა, თავად, თქვენ გაიგებთ ჩემს ვაბედულ ნაბიჯს, რომ აქ ჩამოვედი ბედის ანაბარა. ერთადერთი იმედი ჩემი და ჩემი ოჯახისა თქვენ ხართ. რა თქმა უნდა, მე არა მაქვს უფლება მოგახვიოთ თავს ჩემზე მზრუნველობა, მაგრამ ყველანი, ვინც კი გავიცანი აქ, სხვათა შორის, დოქტორი რუმინაცევიც (სამხატვრო თეატრის მსახიობი), ერთხმად აღიარებენ, რომ თქვენ იმდენად ძლიერი ხართ მოსკოვში, რომ შეგიძლიათ დამეხმაროთ და მომაწყობთ აქ ერთ-ერთ თეატრში. მე არ ვეძებ დიდებასა და კარიერას... არა მაქვს პრეტენზია ამაღლასა და როლებზე. ვიქნები კეთილსინდისიერი შემსრულებელი ჩემივე დაკისრებული როლებისა თუ საქმისა...

პირად შეხვედრისას მე გადასიხლი მსურვალე მადლობას იმ დახმარებისათვის, რომელიც თქვენ აღმომიჩინეთ ვენაში ჩემი ყოფნის დროს. დავშთები თქვენი მოიმედე ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს თეატრალური მუზეუმი. ფონდი 1, საქმე 9, № 14414, გვ. 14. დასახელებული დანარჩენი წერილებიც ამავე საქმიდანაა.



წერილი უთარიღოა, მაგრამ ადვილი დასადგენია, რომ იგი დაწერილია 1906 წლის დასასრულს, რადგან ცნობილია, რომ ამ წლის აპრილსა და მაისში ქართული პრესა აღნიშნავს მის მიერ შექმნილ ახალ როლებს ქართულ სცენაზე, ხოლო 1906—1907 წლის სეზონში კი იგი უკვე მოსკოვის სამხატვრო თეატრში იწყებს მუშაობას.

ვლადიმერ მესხიშვილი განსაკუთრებული მწრუნველობით ექცეოდა მსახიობების აღზრდის საკითხს; ცდილობდა მსახიობები შემოქმედებითად გაზრდილიყვნენ, მოქალაქეობრივად ამაღლებულიყვნენ. იგი შეძლებისდაგვარად აფარობდა მათ განათლებას. ამავე დროს მკაცრად მოითხოვდა დისციპლინასა და საქმისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას. ყოველივე ამის საუკეთესო დამამტკიცებელია იგივე წერილი, რომელშიც თანამემამულეს უწიარებს თავის გულისტკივილს, რომ ზოგი ქართველი მსახიობი უგულვებელმყოფს სცენის ისეთ ელემენტარულ მოთხოვნილებებს, როგორცაა როლების შესწავლა, რეპეტაციებზე სერიოზულობა და სხვა. იგი ასეთ მსახიობებზე იმავე წერილში საყვედურობს: „საჭიროა როლის შესწავლა და არა დასწავლა, ანდა მოკარნახის იმედით სცენაზე სიარული. ჩვენი მსახიობების განათლების დონის ასამაღლებლად — განაგრძობს მესხიშვილი — მოვაწყვე მათთვის უფასო ლექციები ანატომიაში, ფსიქოლოგიაში, თეატრალურ ხელოვნებაში და ა. შ. ამ მიზნით მოვიწყვე რამდენიმე კაცი ჩვენი ინტელიგენციიდან“.

თეატრალური განათლებისათვის მწრუნველობასვე ადასტურებს მის მიერ მოკვანებით (1912 წელს) თბილისიდან სუმბათაშვილისადმი გაგზავნილი წერილი: „დიდად მოვალე ვიქნები, თუ ისეთი გულუკეთობი იქნებით, რომ გამოიგზავნით საიმპერატორო დრამატიული სკოლის პროგრამას. მიმდინარე წელს ჩვენთან იხსნება ქართული დრამატული სკოლა და მე მის დირექტორად ვარ დანიშნული. პროგრამა ჩემთვის აუცილებელია“.

(წერილი 4. 20 აგვისტო, 1912 წ.).

ვლადიმერ მესხიშვილი 1906 წლიდან 1910 წლამდე არ იმყოფებოდა საქართველოში, მაგრამ 1908 წლის ზაფხულში იგი მოიწვია ვასტროლებისათვის ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ. მესხიშვილმა ვასტროლებს ჩაატარა ქუთაისში, ბათუმში, თბილისში, რის შემდეგაც იმავე წელს გაბრუნდა ოდესაში, საიდანაც ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟენისათვის ფრი-

ად საინტერესო წერილი მიუწერია: ამ უთარიღო ბარათში<sup>1</sup> ვკითხულობთ:

„ვირფხავო თავადო ალექსანდრე ივანეს ძე!“

მე მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც დავბრუნდი კავკასიიდან, სადაც ტურნე ჩავატარე ქართული დრამატული საზოგადოების გამოჩახებით. ახლა ვიჩქარი გაგიზიაროთ ის სიამოვნებანი, რომლებიც მერგო მე გასულ ორ თვეში.

თქვენ ალბათ ვახსოვთ ჩემი პირველი წერილი თქვენადმი. მასში მე გულწრფელად ვწერდი ჩვენი მშობლიური თეატრის მომავალზე. სხვათაშორის შევნიშნავდი იმის შესახებ, რომ იმულებული ვარ-მეთქი, დავტოვო ქართული სცენა და კერძოდ ქუთაისის დასი — ეს ჩემი შეგნება, ჩემი ქმნილება, რომელიც წარმოიშვა ამ ქვეყნად წნეობრივი ტანჯვებით, მაგრამ აღვზარდე კიდევ. სრულიად ბუნებრივია, რომ მე დიდი მისწრაფება მაქვს ამ დასისადმი, მით უფრო, რომ იგი შექმნილია და აღზრდილი სუფთა ნიადაგზე...

როგორც მოსალოდნელი იყო, ქუთაისსა და ბათუმის სცენებზე ჩემი და ჩემი აღზრდილების გამოჩენა სრული ტრიუმფით ჩატარდა. მადლობა ღმერთს, რომ ჩემს აღზრდილებს მშობლიური სცენისადმი თავიანთი მოვალეობის შეგნება აქვთ.

პატარა ქუთაისმა ექვსას-ექვსასი მანეთი მოგვცა ხუთი სექტაკლით. ასე რომ, დრამატული საზოგადოების საქმეც ცოტათი გაუმჯობესდა და მას უკვე შეუძლია ზამთრის საქმე ურისკოდ დაიწყო.

თბილისის ჟურნალები ბეჭდავენ ჩემს სურათებსა და ჩემს ჩასვლას ესალმებოდნენ, მაგრამ წარმოიდგინეთ სანამდის დადის ზოგიერთი დაცემულია, ანეთა გავლენით.. ჩემი სექტაკლის დღეს, გაზეთ „ამირანში“ მოწინავე სტატია აღმოჩნდა, რომელიც ბრალს გვდებდა სამშობლოს ღალატში მე, თქვენ და მარჯანიშვილს. როგორი პატრიოტიზმი, როგორი უმწიფარნი მერყევენ შე პატრიოტიზმის მოსასწამლებში შეუფუთვნილი ეს ბატონები...

დადიოდნენ კარდაკარ და ყველას ეხვეწებოდნენ, რომ ჩემი სექტაკლებისათვის ბოიკოტი გამოეცხადებიათ.

ყველაზე უფრო მტკივნეული ჩემთვის ისაა, რომ თუმცა არა პირდაპირი, მაგრამ მაინც მე

<sup>1</sup> ცხადია, ბარათი უნდა დათარიღდეს 1908 წლით. ამის თვით ტექსტის შინაარსი დასტურებს და გარდა ამისა, ისიცაა ცნობილი, რომ კ. მარჯანიშვილი, ვის შესახებაც აქ ქვემოთაა ლაპარაკი, 1908 წელს ხელმძღვანელობდა ოდესის მ. ბაგრატიის ანტრეპრინერიობით არსებულ დრამატულ თეატრს.



ვარ მიზეზი თქვენ და მარჯანიშვილს რომ შეგებენ, მართალია დროებით, მაგრამ მაინც გამოიყენებს ყოველგვარი უაზრო მითქმა-მოთქმისათვის. მე ძალიან გამიხარდა, რომ აღმოჩნდა ქართული პრესა, რომელიც დაუმსახურებლად შეურაცხყოფილების დამცველად გამოვიდა, გაჯ. „ამირანს“ არც რუსული პრესა მიემხრო.

გვიწავნი «Тифლისкий листок»-ის ბასუხს. მე ეს გაზეთი ვარჩიე იმიტომ, რომ მასში მოთავსებული ეს წერილი (იგულისხმება გამოქომავების წერილი. ნ. შ.) ეკუთვნის ჩვენ თანამემამულე ლევან ყოფიანს, რომელსაც, ვფიქრობ, თქვენც იცნობთ. ის ძალიან ნიჭიერია და მძაფრი კალამი აქვს.

მაბატით სულგრძელად, თუ მე ყოველივე ამით ჩემგან დამოუკიდებლად მოგაყენეთ უსიამოვნება, მთელმა ამ ისტორიამ გამანერვიულა და მხოლოდ ახლა, ოდესაში, შრომის წყალობით შევდევარ ასე თუ ისე წინაშეაღმდეგობაში... სამუშაო განაწილებულია ჩემსა და მარჯანიშვილს შორის. ის მიმდინარე ხეწონის რეჟისორი და სულისჩამდგმელია. რეპერტუარი საინტერესოა და დასის შემადგენლობაც ძლიერი.

ჩემი ოჯახი ჭერ ისევ კავკასიაშია და მწლე მოსკოვში წავა. შეხვედებით ჩემს ბიძაშვილს ვანო თულაშვილს — გადაციტო ჩემი სალამი.

ალექსანდრე ივანეს ძეც! სრულიად შემთხვევით, თქვენგან წავიდე პიესა „დედლიც“<sup>1</sup> და მას მე მოსკოვში დაგიბრუნებთ; გადავწერე რომ არ დაფლეთილიყო. ბარემ ამასაც ვიტყვი, ეს პიესა ქუთაისში თარგმნეს და ის ერთ-ერთ საგასტროლო სპექტაკლად წავიდა...

გულწრფელად გეხვევით და გკოცნით თქვენი მოსიყვარულე ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი<sup>2</sup>.

ვფიქრობთ, საკმაოდ ცხადია, თუ როგორ დაუმსახურებლად ატკინა გაჯ. „ამირანს“ გული ვლადიმერ მესხიშვილს, რომლის მთელი შემოქმედება, რუსულ სცენაზე მუშაობის ჩათვლით, უანგარო პატრიოტიზმის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს.

ვლადიმერ მესხიშვილი ეკუთვნის იმ დიდ მოღვაწეებსა და პატრიოტებს, რომლებმაც ქართული კულტურის სახელი საამაოდ გაიტანეს თავიანთი მშობლიური მიწის საზღვრებს გარეთ.

1910 წელს ვლადიმერ მესხიშვილი დაბრუნდა სამშობლოში და განაგრძო თავისი სანუფიკარი საქმე. 1911 წელს თბილისის საოპერო თეატრის საგასტროლოდ ეწვია პარიზის „გრანდ ოპერის“<sup>3</sup>

სოლისტი, დასავლეთ ევროპის მუსიკალურ ცენტრებში სახელგანთქმული მომღერალი, ტიწოვრი მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დარიალი). ყოველივე ამის შესახებ ვლადიმერ მესხიშვილი 1911 წლის 2 ნოემბერს სწერს სუბმათაშვილიშენს:

„ძვირფასო ალექსანდრე ივანეს ძე!

აი, უკვე ორი წელია, რაც ისევ მშობლიურ სცენაზე ვარ და, ღვთის წყალობით, ბევრსად ვამზადებ ახალგაზრდა ძალებს ჩვენი სცენისათვის. სამწუხაროდ მცირეა ისეთთა რიცხვი, რომელთაც სურდეთ თავიანთი ცხოვრების მიძღვნა სცენისათვის.

ჩვენმა თეატრმა, მხატვრობის მხრივ უდიდესი ნაბიჯი წარსდგა წინ და ახლა უკვე გაბედულად შეგვიძლია დავდგათ სერიოზული პიესები. ჩვენ, ქართველებს ცოტანი გვყავს ნიჭიერებით გამოჩენილნი და გახარებულნი ვართ, თუ კი ჩვენს ჰორიზონტზე ისეთი მთლიანი ვინმე გამოჩნდება, რომელსაც შეუძლია გაუძლოს კონკურსს უფრო კულტურული ქვეყნების დიდ წარმომადგენლებთან. ახლა ერთ-ერთი ასეთი ბედნიერთაგანია ახალგაზრდა მომღერალი ნანობაშვილი — დარიალი (ფსევდონიმი). მან უნივერსიტეტი დაასრულა. მუსიკალური განათლება იტალიაში მიიღო. მღეროდა პარიზსა და ევროპის სხვა დიდ ცენტრებში და დიდი მიღწევებიც ჰქონდა. უკანასკნელად აქ მღეროდა სახაზინო თეატრის სცენაზე და ხალხში დამსახურებული აღიარება ჰპოვა; ხმა — ტენორი.

ალექსანდრე ივანეს-ძეც! ნუ ეტყვი მას უარს თქვენს თავზიან დახმარებაზე, მოუწყონ მას დახურული დებიუტი მოსკოვის დიდ თეატრში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის გაამართლებს ნდობას, თუ კი მას დასის შემადგენლობაში მიიღებენ.

სასურველი იქნებოდა, რომ სატახტო ქალაქის სცენაზე ჩვენ გვეყოლოდა თუნდაც ერთი წარმომადგენელი. უკანასკნელ შემთხვევაში ხომ არ შეიძლება, რომ იგი ზომინთან<sup>4</sup> მოაწყვთ? ქართული საზოგადოებრიობა დიდად იქნება თქვენგან დავალებული. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ თვით გასურთ ნიჭიერი თანამემამულეების დაწინაურება. კვლავ გთხოვთ, არ ტოვოთ ის უყურადღებოდ.

როდის გიხილავთ თქვენ აქ, სამშობლოში?

<sup>1</sup> ზომინი, სერგეი ივანეს ძე — (1875—1942), რუსი თეატრალური მოღვაწე. 1904 წ. მოსკოვში შექმნა კერძო საოპერო თეატრი, რომელსაც ზომინის საოპერო თეატრს უწოდებდნენ. 1917 წელს, როდესაც ეს თეატრი სახელმწიფო გახდა, ზომინი იქვე განაგრძობს მუშაობას, როგორც დირექციის წევრი.

<sup>1</sup> „დედლიც“ დრამატურგ კოლიშკოს პიესაა, რომელიც შავა დადიანმა და ვალერიან შალიაშვილმა თარგმნეს და იდგებოდა „საქმისანის“ სახელწოდებით. ნ. შ.

ჩვენ ხომ ყველანი ვამაყობთ თქვენიო. ჩემი გულწრფელი სალამო კნენისა. ვისურვებთ ყოველივე კარგს.

გართმევთ თქვენს პატიოსან ხელს.  
თქვენი მოსიყვარული  
ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი.

თუ შეუძლებელი აღმოჩნდება მოუწყობთ მას დებიუტი, მაშინ იქნებ დირექტორმა მაინც მოუსმინოს. ერთი სიტყვით, მთავარია, რომ მის ხმასა და სიმღერის მანერას ვაეცნონ.

ვ. მესხიშვილი“.

## მიხილ ჩიქოვანის მხავერპობა

შალვა კვასხვაძე

ამასწინათ აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში მიხილ ჩიქოვანის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. გამოფენის გახსნაზე იყვნენ მწერლები, მხატვრები, თეატრალეტი, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, რომელთაგან ბევრი ჩიქოვანის ფერწერას კარგად არ იცნობდა.

სტუმართა სახეები გამოფენის დიდ წარმატებაზე მეტყველებდნენ. ცხადი ხდებოდა, რომ სტუმრები გამოფენით კმაყოფილი იყვნენ — მათ გაიცნეს თეატრალურ-დეკორაციული და კინოს მხატვრობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მათ აქ ნახეს და დაიჯერეს, რომ ჩიქოვანს გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი არამტყუარ ქართული, არამედ მოძმე რესპუბლიკების, კერძოდ — ყირგიზეთის სახელმწიფო აკადემიური ოპერისა და ბალეტის, მოსკოვის პირველი საოლქო დრამატული, მოსკოვის ნ. გოგოლის დრამატული, მოსკოვის კ. სტანისლავსკისა და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური, მოსკოვის სახელმწიფო ოპერეტის, მოსკოვის „რომენის“ თეატრების და „მოსფილმის“ კინო დადგამთა მხატვრულ გააზრებასა და სპექტაკლთა სცენურ-ესთეტიკურ ფორმირებასა და ხორცმცემსაში.

ახალგაზრდა მიხილი მხატვრობის სიყვარულმა 1927 წელს სახალხო მხატვარის მ. თოიძის სახალხო-სამხატვრო სტუდიაში მიიყვანა, სტუდიიდან კი მომდევნო წელს საქართველოს სამხატვრო აკადემიაში შევიდა. მაშინ როცა მიხილი აკადემიაში სწავლობდა, იქ მუშაობდნენ ცნობილი მხატვრები და მეცნიერნი —

ახე თავგამოდებით ზრუნავდა ვლადიმერ მესხიშვილი ახალი, ნიჭიერი ძალების დასახმარებლად. მან კარგად იცოდა, რომ მიხილ ნანობა-შვილისა და მისი მსგავსი ნიჭიერი, განათლებამიღებული ახალგაზრდობის შენარჩუნება, თუ გნებავთ რუსულ სცენაზე, საიმედო საწინდარი იქნებოდა ქართული თეატრალური ხელოვნების მომავლისათვის.

ვლადიმერ მესხიშვილის მდიდარი ცხოვრებისა და შემოქმედების სერიოზული და ღრმა შესწავლა ქართული თეატრმცოდნეობის გადუღებული საქმეა.

გ. გაბაშვილი, ი. ნიკოლაძე, ე. ლანსერე, ი. მარლემანი, ე. თათოხიანი, ა. კალგინი, პ. გრიხეცკი, ვ. კოტეტიშვილი, შ. ამირახანაშვილი, ნ. კანდელაკი, ა. ფიცხელაური, გ. ნათიძე, (რექტორი იყო გ. ჩუბინაშვილი). მიხ. ჩიქოვანს ასწავლიდნენ: მ. თოიძე, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი. დასახელებულ მასწავლებლებს მიხილის, ზოგორც მხატვრის ფორმირება-ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით. აკადემიამ და ქართულმა მხატვრულმა ტრადიციებმა შეაპირობეს მხატვრის მომავალი გზა. შეიძლება გადაუშეტებლად ითქვას, რომ ტემპერამენტით, სიხამდვილი ფერწერული ხილვა ბოლომდე ინარჩუნებდა ქართული მხატვრისათვის დამახასიათებელ თავისებურებას.

აკადემიიდან ჩიქოვანი სასწავლებლად და სამოღვაწეოდ რუსეთში გაემგზავრა. მ. ჩიქოვანმა სამამულო ომის დღეებში ლეხინგრადი დატოვა და სხებთან ერთად ევაკუირებულ იქნა ყირგიზეთში. აქ მხატვარი დიდად ნაყოფიერ შემოქმედებით ძრომას ეწევა, თავისი წვლილი შეატქს ყირგიზეთის თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განვითარებაში.

ჩიქოვანი ყირგიზეთიდან სამშობლოში ჩამოდის, იწყებს თბილისში ცხოვრებას და შემოქმედებითს მოღვაწეობას. აქ იგი ქმნის სპექტაკლების არა ერთ საინტერესო მხატვრულ გაფორმებას.

1945 წლიდან ჩიქოვანი კვლავ მოსკოვშია და მთელი მისი მომდევნო დროის მოღვაწეობა ამ ქალაქთან არის დაკავშირებული.

ფართოა მ. ჩიქოვანის შემოქმედებითი დაბაზონი, მისი მხატვრული კულტურა,

ცოდნა ცხოვრებისა და იმ მასალისა, რაც თეატრალური მხატვრისათვის არა მხოლოდ საშენ მასალას, არამედ მხატვრულ-ესთეტიკური, სოციალური გააზრებისა, განწყობის თუ სცენური პლასტიკური, ასევე ფერწერული დანახვის საფუძველსაც წარმოადგენს.

ჩვენ არ გვაქვს საშუალება დაწვრილებით განვიხილოთ მიხ. ჩიქოვანის ყოველი ნამუშევარი, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ მხატვარი კარგად სწვდება და მაცურებელიც შეჰყავს ისეთ მწერალთა სულიერ სამყაროში, როგორნიც არიან ა. ოსტროვსკი, ო. ბალზაკი, უ. შექსპირი, გ. სერვანტესი, ლოპე დე ვეგა, ალ. ყაზბეგი, ა. კორნეიჩუკი, ბ. ლაგრენიევი, უ. ჰაჯიბეკოვი, ლ. ტოლსტოი, ი. ვაკე-ლი და სხვები, რომ იგი თავის ფერწერულ სისტემას, მხატვრულ აზროვნებას უწყობს არა მხოლოდ სხვადასხვა განწყობილებებისა და ძალის მუსიკოს-კომპოზიტორებს, არამედ რეჟისორთა საოპერო, საბალეტო, დრამატულ-საოპერეტო და საკომედიო კონცეფციებსაც, ჩვენთვის საესპებით ნათელი გახდება მხატვრის შე-

მოქმედებითი ძალა, დიაბაზონი, ფანტაზიის სიმდიდრე.

ყოველი ცალკეული დადგმა მხატვრისაგან მოითხოვს როგორც მის სცენურ-სივრცობრივ, ასევე ისტორიულ საყოფაცხოვრებო მუსიკისა თუ დრამატულ სტილთან შეთანხმებულ გააზრებას, უფრო მეტიც, თეატრი მხატვრისაგან მოითხოვს არა მხოლოდ ლიტერატურულ და სცენურ ნაწარმოებებში საფუძვლიან გარკვევას, არამედ მისეულსა და ერთადერთს, დამოუკიდებელ გააზრებასაც. მოითხოვს ფერწერის შერწყმას, სინთეზს სცენურ-პლასტიკურსა, სიტყვიერსა და მუსიკალურ მეტყველებასთან. თუ ამ ასპექტში შევხედავთ მ. ჩიქოვანის ამ გამოფენას, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიხეილი არის პედნიერი მხატვარი. მისი ფერწერა არა მხოლოდ დიდი ძალით მეტყველებს, არამედ მხატვრული სიმართლითაც. იგი ისტორიულადაც შეჯერებული ჩანს და ფერწერულადაც მთელი ხმით მეტყველებს.

გუსურვით მიხეილ ჩიქოვანს ახალი წარმატებანი.

## ერთი საათი შექსპირის სამყაროში

ვილან მარდალიევილი

ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა 1970 წლის 23 აპრილს მოხდა. ქართული მეცნიერების ტაძარში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა დიდი ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის კაბინეტი. ამ ხნის მანძილზე კაბინეტმა საკმაო ავტორიტეტი და პოპულარობა მოიპოვა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კაბინეტის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნიკო ყიასაშვილი არჩეულია შექსპირის საერთაშორისო ასოციაციის კომიტეტის წევრად.

კაბინეტში ინახება შექსპირის თხზულებათა საინტერესო გამოცემები, თხზულებათა პირველი სრული კრებულის (1623 წ.) ფაქსიმილე, აგრეთვე მე-18-19 საუკუნის შექსპირის თხზულებათა უნიკალური გამოცემები. შექსპირის თხზულებათა 12 ტომიანი გამოცემა იმით არის საინტერესო, რომ ამ გამოცემას საგულდაგულო რედაქტირება გაუკეთა დიდმა ინგლისელმა მსახიობმა დავით გარეკმა. აღსანიშნავია, რომ სომეხმა შექსპიროლოგებმა კაბინეტს შემოსწირეს შექსპირის ამერიკული, კომენტარებული გამოცემის ორმოცტომეული.

შექსპირის კაბინეტში ჩვენს სტუმრობის მთავარი მიზეზი იყო იმის გაცნობა, რაც ქართულ თეატრალურ ხელოვნებას აკავშირებს დიდ დრამატურგთან. ქართული თეატრი კი, მოგეხსენებათ, თავისი მდიდარი ისტორიის სხვადასხვა პერსონაჟით წარმატებით ართმევდა თავს შექსპირის პიესების სცენურ ხორცშესხმას.

იმედი გავგიმართლდა. კაბინეტში არის რამდენიმე იშვიათი ექსპონატი, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ქართულ თეატრთან, მის წარსულთან.

აი, ივანე მაჩაბლისეული თარგმანების ადრეული გამოცემები, რომლებიც აკინძულია ცნობილი ქართველი მსახიობის ნუცა ჩხეიძისათვის მისართმევად მისი შემოქმედების 25 წლის იუბილეზე.

ცნობილია, რომ ეს იუბილე მოაწყო დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის ხონის ფილიალმა 1919 წლის 15 ივნისს. ექსპონატი ძვირფასია იმ მხრივაც, რომ იგი კაბინეტს შემოსწირა სერგო ზაქარაიძის ოჯახმა. ამას წინათ, საქართველოს სახალხო არტისტმა ლილი გვარამაძემ კაბინეტს უსახსოვრა ბროკჰაუსისა და ეფრონის ცნობილი რუსული გამოცემის პირველი ტომი, რომელშიც „რომეო და ჯულიეტას“ ტექსტს დართული აქვს კოტე მარჯანიშვილის რეჟისორული შენიშვნები.

კაბინეტში დგას ივანე მაჩაბლის ნაქონი სამუშაო მაგიდა. იგი უკანასკნელ წლებში ქართული თეატრის დეაწლმოსილი ადმიანის დავით ჩხეიძის ოჯახში ინახებოდა. აქვეა რამდენიმე გენერლზე გადაბეჭდილი მოგონება დავით ჩხეიძისა, იმის თაობაზე, რომ მაგიდისთვის ისტორიული მნიშვნელობა მიუცია უმშვენიერესი მსახიობი ქალის მაკო საფაროვანაშვილისა და ივანე მაჩაბლის შემოქმედებით მეგობრობას. მაკო საფაროვანაშვილის გარდაცვალებამდე კარგა ხნით ადრე მაგიდა დავით ჩხეიძისათვის უჩუქნია. მას კი საიმპონებოთ დაუთმია იგი შექსპირის კაბინეტისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ კაბინეტში ინახება ქართულ შექსპირიანასთან დაკავშირებული ზოგიერთი ხელნაწერი. ასეთია მაგალითად, საქართველოში შექსპირის პოპულარიზატორის, დასავლური ენებისა და ლიტერატურის ცნობილი სპეციალისტის პროფესორი ერეკლე ტატაშვილის პქკარედი თარგმანი „ქორეველის მორჯულებისა“, რომელიც კაბინეტს შემოსწირა ცნობილი ქართველი პოეტის სიკო ფაშალიშვილის ოჯახმა. განსვენებულ პროფესორს ალექსანდრე გამყარელიძეს კი შემოუწირავს ივანე მაჩაბლის სამუშაო კაბინეტის კარის წარწერა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს ძვირფას რელიქვიას, მართლაც რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კაბინეტისათვის. და უნებლიედ მაღლიერების გრძნობა გუელდება იმ ადამიანების მიმართ, რომ-





ლებმაც დიდი ყურადღება გამოიჩინეს და უყოყმანოდ გადასცეს კაბინეტს ქართულ შექსპირიანასთან დაკავშირებული ესა თუ ის ნივთი.

კაბინეტს მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული მსოფლიოს სხვადასხვა შექსპირულ ცენტრთან და ცალკეულ ცნობილ შექსპიროლოგებთან. ისინი სისტემატიურად ამარაგებენ კაბინეტს წიგნებით, ჟურნალებით, ახალი დადგმების პროგრამებით. აქ შეხვდებით შექსპირის სამშობლოს, ეივონის სტრატფორდის შექსპირის სამეფო თეატრისა და კანადის სტრატფორდის თეატრის აფიშებს, იაპონიის თეატრების დადგმების მასალებს და სხვა.

კედლებს ამშვენებს აგრეთვე ქართველ მხატვართა ნამუშევრები. კაბინეტი დიდად აფასებს განსვენებული საბჭოთა კინორეჟისორის, ცნობილი შექსპიროლოგის

გრიგორი კოზინცევის ღვაწლს. იგი დიდად ყურადღებას აქცევდა კაბინეტის მუშაობას, სისტემატიური ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

შექსპირის კაბინეტი ხშირად ატარებს საქალაქო სემინარებს. იგი გვევლინება ინიციატორად შექსპიროლოგთა პირველი საკავშირო სიმპოზიუმისა, რომელიც 1972 წლის ოქტომბერში მოეწყო და რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი შექსპიროლოგები ალექსანდრ ანიქსტი, ლეონიდ პინსკი, იური ლევინი, გრიგორი კოზინცევი, რუბენ ზარიანი და სხვები.

კაბინეტის მუშაობა დღითიდღე საინტერესო და ფართო საზოგადოებრივი ხდება. მისი თვითეული თანამშრომელი კი სიყვარულით აცნობს სტუდენტ-ახალგაზრდობას დიდი ინგლისელი დრამატურგის მდიდარ შემოქმედებას.

# ღელა და შვილი

ოლეკსა ნოვიციკი

მერიკო ანჯაფარიძის, სოფიკო ვიპუარელს

ტრფობის ცრემლიც და ცეცხლიც ძლიერი,  
ოდითვან რომ გვწვავს ადამიანებს,  
და ურთელი,  
ძხვორციელი,  
ვის მყარდზე ქროლვით გადაიარეს  
წლებმა.

და რწმენა სიმართლის წმინდის  
და ფანატოზმის ავი მუქარა,  
გაღვიძებული წარსულის ბინდი,  
გულს რომ სინათლე მოგვემშუქარა.

ღელა დამძიმებულ მუსიკის ხმები  
და, რაც ყველაზე მთავარი არის,  
ოსტატის ხელი, ვერიკოს ხელი,  
დამტკვევებელი  
სულის და თვალის.

ჩვენს სიცოცხლეში ამ ქვიან ხელმა  
შემოიყვანა სამყარო ძველი

და მან ივდიოთ თვალების ელვა  
ანთო — შუქით სავსე და მწველი.

დღეს კი ივდიოთ ღამაში სახე

ვერიკოს შვილის სახითაც ვნახე.  
გულს ისევ მწველი ალი მოედო,  
როგორც ღაუვარდებს  
შუქნათელი გათენებისა,  
შეოსა და დღდას, როგორც პოეტებს,  
მოაქვთ მარალი ესტაფეტა  
ხელოვნებისა,  
უკვდავი როგორც თვითონ ცხოვრება,  
კაცო, რომ ყოველთვის გვემასოვრება.  
ვუცქერ, მეგვება სული ელვითა,  
არ ვცივ, ვინ ხარ ასეთი მწველი, —  
შენ ხარ ივდიოთი „ურთელიდან“,  
თუ ხარ სოფიკო ქიაურელი...  
შენ გაგიღია დიდი კარიბჭე,  
ხვალის დღეს ხატავს სხვით ფეროვნება  
და შემოგდამის ანჯაფარიძე —  
უბერებელი ვით ხელოვნება

თბილისი. 10. IV. 1972.

თარგმნა თეიმურაზ ჯანაშუღაშვილმა

## ● ●

**ცნობილი** უკრაინელ მწერალს ოლექსა ნოვიციკის ახლახან შეუსრულდა დაბადების სამოცი წელი, ამ თარიღს დაემთხვა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი. და თითქმის ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე იგი განუყრელად არის დაკავშირებული ქართულ ლიტერატურასთან. მან ჯერ კიდევ 1937 წელს სცადა თავისი კალამი უკრაინულ ენაზე ქართული მხატვრული სიტყვის ასამეტყველებლად — თარგმნა სახდრო შანშიაშვილის ცნობილი ლექსი „დღისერთა ღენინთან“.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი პოეტი, რომლის ლექსიც ოლექსა ნოვიციკის უკრაინელი მკითხველისათვის არ გაეცნოს. მან რუსთაველის პრემიის ლაურეატ მიკოლა ბუჯანთას ერთად შეადგინა და გამოცა ორტომიანი „ქართველი ხალხის პოეზიის ანოლოგია“, მანვე შეადგინა და ამ საშიოდე წლის წინათ უკრაინელ მკითხველს შესთავაზა ახალგაზრდა ქართველი პოეტების ანთოლოგია „ოქროსი მტვენი“. ო. ნოვიციკიმ ლ. სტურუასთან ერთად თარგმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიკეთისა“.

ოლექსა ნოვიციკი ქართული დრამატურგიის პროპაგანდისტი და პოპულიზატორია. უკრაინულმა თეატრის სცენაზე

დიდი წარმატებით იღმებოდა და ცალკე წიგნადაც გამოვიდა მისი მიერ უკრაინულ ენაზე თარგმნილი სანდრო შანშიაშვილის დრამა „ხევისბერი გოჩა“ (ა. ყაზბეგის რომანის მიხედვით). მანვე თარგმნა ა. ჟენიას „დრამატული პოემები“. უკრაინული პრესის ფურცლებზე ხშირად იბეჭდება ო. ნოვიციკის სტატიები ქართული დრამატურგიისა და თეატრის საკითხებზე. მანვე დაწერა კინოსცენარი სამოქალაქო ომის გმირზე ვასილ კივიციუზე.

ოლექსა ნოვიციკიმ ბევრი შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა საქართველოს, ქართულ მეგობრებს. ის ჩვენს ხშირად სტუმარია, ფეხით აქვს მოვლილი ჩვენი რესპუბლიკის ყოველი კუთხე და ყველგან ჰყავს მეგობრები.

ქართული კულტურის წინაშე დამსახურებისათვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ო. ნოვიციკის სსსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიანიჭა.

ჩვენს კეთილ მამას და მეგობარს, ხალხთა მშობის ერთგულ მსახურს ვულოცავთ დაბადების სამოცი წლისთავს და კვლავ ნაყოფიერ შრომასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

## ორი სახალხო თეატრი

### ვანო მკვდელიშვილი

სახალხო თეატრებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა კულტურის სახლში ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ორი სახალხო თეატრი — ქართული და რუსული.

ქართულმა სახალხო თეატრმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ირაკლი გრატიაშვილი, მაცურებელს უჩვენა: ნ. არემიძის „სინათლე არ ჩაქრება“, ნ. გოგოლის „რევოლუცია“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, ი. მისაშვილის „მისი ვარსკვლავი“, ა. ცაგარლის „რაც ვინახავს, ვედარ ნახავ“, კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“, თ. ტარუაშვილის „სტუმრები რუსეთიდან“, გ. ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო“, ქ. ცინცაძე-ხაფავას „მზექალა“, გ. მდივნის „ვარდო“, ს. შთვარაძის „სახსოვარი“, შ. როყვას „დედა“, მ. ხუნწარიას „მე სამშობლო მიცავს“, ნ. კანდელაკის „მეცნიერი სოფელში“, კ. კალაძის „ლალი“, ი. ჭავჭავაძის „მეათე ვახუშტული“, რ. ერისთავის „ჯერ დაიბოცენ, მერე იქორწინეს“ და ერთმომქმედებიათ პიესები: ი. ჯავახიშვილის „აქურდული მამაშვილი“, მ. გოგიაშვილის „ერთ რესტორანში“, შ. მიქაშვილის „ვერცხლის მედალოსანი“ და სხვ. ამჟამად სახალხო თეატრის კოლექტივი ამზადებს რეზო ებრაძის პიესას „ნანას“. მუსიკალური გადორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ არჩილ ჩორგოლაშვილს, მხატვრობა — რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს ბიძინა ქვლივიძეს.

სპექტაკლებში მთავარ როლებს ასრულებენ: ბიბლიოთეკარი მერი თავართქილაძე, სასადილოების მესამე ტრესტის ეკონომისტი ნათელა ხეჩუმაშვილი, დახლის მუშაკი ფილიმონ კერესელიძე, სექციის გამგე ალიოშა კუტიბაშვილი, სტუდენტი დავით ელბაქიძე, მოსამსახურენი ვაზო იოსებაშვილი, ვახტანგ სარჯველაძე, ინჟინერი მარიკა სუქოსიანი, კინო-მექანიკოსი გოგი გოგიშვილი და სხვები. ყოველ მათგანს სცენაზე მოღვაწეობის დიდი სტაჟი აქვს. სახალხო თეატრის სცენის ვეტერანთა ენთუზიაზმი მისაბამ მაგალითად გადაიქცა ახალგაზრდა სცენისმოყვარეებისათვის. ამ შემოქმედებით კოლექტივში ჩვეულებრივი მოვლენაა ურთიერთდახმარება, გამოცდილების გაზიარება. ეს იტარობა კიდევ ყველა დადგმაში. სახალხო თეატრის ყოველ სპექტაკლი გამოირჩევა ანსამბლურობით, მხატვრული დახვეწილობით.

რეჟისორმა ირაკლი გრატიაშვილმა ათეული წლების მანძილზე პროფესიულ თეატრებში მუშაობის დიდი გამოცდილება მოიტანა თან. რეჟისორის მადლიანმა ხელი ყოველ სპექტაკლს ნათლად ატყვია. ქების ღირსია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ბიძინა ქვლივიძის მიერ შესრულებული დეკორაციები და გემოვნებით შერჩეული კოსტუმები.

სახალხო თეატრის სპექტაკლები დიდი ხანია გასცდა თვითმომქმედების ფარგლებს. ამ შესანიშნავი კოლექტივის მიერ დადგმული ყოველი ახალი სპექტაკლი მაღალ პროფესიულ დონეზე დგას.

ასევე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამავე კულტურის სახლიდან არსებული რუსული სახალხო თეატრი.

რუსულმა სახალხო თეატრმა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ანდრო ნირვანოვის ხელმძღვანელობით მაცურებელს უჩვენა: ბ. გორბატოვის „მამების სიჭაბუკე“, ა. არბუზოვის „ბრანია“, ა. უსპენსკის „ხუთი გული“, ნ. ვინნიკოვის „ვენდეტა“, კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“, დ. უგრუმოვის „ჩემოდანი იარაღით“, ი. ბეგიაშვილის „უცხო“, ს. კაიტოვის „დედის გული“ ედლისის „არგონავტები“, მ. რახმანოვის „მოუსვენარი სიბერე“, ე. რიაზანსკისა და ე. ბრაგინსკის „ერთხელ ახალწლის ღამეს“, ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, ავატა კრისტის „სათაგური“, ოლივერ გოლდსმიტის „შეცდომების ღამე“ და სხვ.

რუსული სახალხო თეატრის დადგმებში აქტიურად მონაწილეობენ თვითმომქმედი მსახიობები, სცენის ენთუზიასტები: დახლის მუშაკი ყალანტაროვი, ინჟინერი დ. ბარტულაშვილი, ელმონტიორი ე. ალბოვსკი, პედაგოგები ე. ვინოგრადოვა, გ. გუბსკაია, გ. ყალამყაროვი, ვ. ტახტაროვი, პენსიონერი ი. ლელსკაია და სხვები.

დადგმების დადებით მხარეთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საყურადღებო გარემოება: ესაა შემსრულებელთა მკაფიო მეტყველება. ამ სახალხო თეატრის მსახიობთა უმრავლესობას ისეთი სწორი, გამართული, მაღლიანი რუსული ენა მოაქვს მაცურებელ ღამე, ისე გრძნობს ყოველი მათგანი რუსული სამეტყველო ენის ბუნების თავისებურებას, ისე

ბუნებრივად, ძალდაუტანებლად სძლევენ ისინი სცენური მეტყველების სირთულეს, რომ პროფესიული თეატრის ბევრ მსახიობს შესურდებოდა.

ამ ორივე სახალხო თეატრის სისტემატორ დახმარებას უწყვეტ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი, თეატრალური საზოგადოება.

## თოჯინების თიანჭრები თბილისელი გაყურებლის სამსჯავროზე

წუნუ ზომართელი

ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე კულტურის სახლთან და კლუბთან ჩამოყალიბდა თვითმოქმედი თოჯინების წრეები და მათ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

თოჯინების თეატრს საოცრად მომთხროვნე და ყურადღებიანი მაყურებელი ჰყავს.

თოჯინა ბავშვისათვის ყველაზე საინტერესო და საყვარელი სათამაშოა. მოლაპარაკე და მოსიარულე თოჯინა მისთვის უკვე მთელი მოვლენაა, ახალი, ლამაზი სამყარო, ზღაპრული და მინც მართალი სამყარო.

პატარებს უფლება აქვთ ყველაფერი ისევე სერიოზულად მოთხოვონ თოჯინებს, როგორც დედები გამოჩენილ მსახიობთ. „ცოცხალი“ თოჯინებს ადამიანებზე ნაკლებ როლი შეუძლიათ გამოხატონ დრამატოზში თუ ლირიზში, სატირა და იუმორი, აგრძობონინონ მაყურებელს სიმართლე და სიცრუე. ამას შეეჩვივნენ პატარები და უკეთესი მოთხოვნილებაც აქედან იზადება. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის თოჯინების თვითმოქმედი კოლექტივები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა შექმნან მაღალმხატვრული, იდეურად სრულყოფილი სპექტაკლები. მათი ხელშეწყობები არ იშურებენ ძალასა და ენერჯიას, სისტემატურად ჩამოდიან დედაქალაქში, ეცნობიან თოჯინების სახელმწიფო თეატრის დადგმებს, ენსერტიან რეპეტიციებს და ამგვარად უკეთ ერკვევიან თეატრის სპეციფიკაში.

ამასწინათ თბილისში, აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში მოეწყო თვითმოქმედი თოჯინების თეატრების რესპუბლიკური დათვალიერება, რომელიც მასწავლებლობა მიიღო 11 საუკეთესო კოლექტივმა.

დათვალიერებამ ცხადჰყო, რომ კოლექტივები შემოქმედებითად ვაზრდილან, უკეთ ერკვევიან თავის სპეციფიკაში, მსახიობები წარმატებით ფლობენ როგორც ტროსტებიან, ისე თითებიით სათამაშო თოჯინებს.

დათვალიერებაზე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი თოჯინების თეატრის რეპერტუარისათვის მთავარ უანრს — ზღაპარს, სადაც რეჟისორს და მხატვარს უოველგვარი საშუალება აქვთ თავიანთ ფანტაზიას ფრთები შეახსნან და განახორციელონ მეტად რთული სცენური ეფექტები:

საგნების მიერ ფეხის ადგმა, მოქმედი პირის სხვა მოქმედ პირად გადაქცევა, ხეებზე კვირტებისა და ფოთლების გაშლა, ჩიტების ურიაშული, ქვეყნელში ჩასვლა, ჰაერში ფრენა, დევებისა და ურჩხულების ბრძოლა და სხვა.

დათვალიერებაზე დიდი წარმატება ხვდა თელავის სარაიონო კულტურის სახლთან არსებულ თოჯინების თეატრს, რომელმაც წარმოადგინა დ. კეთერაძის „ურჩი ბაქია“ (დადგმა ა თარხნიშვილის, მხატვარი მ. შამანური). თოჯინური ენით ამტყველებული ეს ცოცხალი და მხიარული სახეები შემსრულებლებმა პროფესიულ სიმალემდე აიყვანეს.

რუსთავის საქალაქო კულტურის სახლმა დათვალიერებაზე რუსული და ქართული კოლექტივები წარმოადგინა, რომელთაც განხორციელეს ა. შვარცის „გორი ჰადარი“ (დადგმა ნ. გრეკოვასი) და გ. გორხელაშვილის „აღიხანა და ჩაღიხანა“ (დადგმა შ. დორეულის).

ორივე კოლექტივის წარმოდგენებმა მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. თვალსაჩინოდ დაუხვეწიათ თოჯინების ტარების ტექნიკა, თითოეული შემსრულებელი ცდილობს ნათლად მიიტანოს მაყურებელამდე პიესის შინაარსი.

როგორც წინა დათვალიერებაზე, ახლაც მაყურებლის წინაშე წარმატებით წარსდგა გურჯაანის თოჯინების თეატრის კოლექტივი. მათ აჩვენეს ადგილობრივი ავტორის გ. გორხელაშვილის პიესა-ზღაპარი „აღიხანა და ჩაღიხანა“.

ნაწარმოები მაყურებელს უნერგავს მაღალ მორალურ თვისებებს. მასში გაკიცხულია სიზარბაცე, უქნარობა. იმარჯვებს სიმართლე, ენერჯიული შრომა.

გურჯაანელთა სპექტაკლი გამოირჩეოდა აქტიორული და რეჟისორული გააზრებით.

რამდენიმე წელია ჩოხატაურის რაიონის სოფ. სამების კულტურის სახლთან ჩამოყალიბებულია თვითმოქმედი თოჯინების წრე, რომელიც სოფლად ერთადერთია რესპუბლიკაში. თეატრ სოფელ სამების და მის ახლომხლო მდებარე სოფლების სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთათვის მხატვრული აღზრდის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. წრემ დათვალიერებაზე ჩამოიტანა მუსიკალური ზღა-

პარი-კომედია „მამლაყინწას თავგადასავალი“ (დადგმა მ. ჩიჩუასი, მხატვარი მ. გოგოლაძე, მუსიკალური გაფორმება მ. ბერულავასი).

თვითმოქმედმა მსახიობებმა ცოცხალი სახე- ვები შექმნეს. კარგად იყო შესრულებული ცეკ- ვები და სიმღერები.

დათვალიერებზე ჩანდა მისწრაფება — სათო- ჩინო ხელოვნებით გამოეხმაურონ თანამედრო- ვე მოვლენებს. ამ მხრივ გამოირჩეოდა მცხე- თის სარაიონო კულტურის სახლის თოჯინების თეატრის გამოსვლა, რომელმაც წარმოადგინა ვ. საველიევის თანამედროვე პიესა-ზღაპარი „კოსმოსელი ბიჭი“ (თარგმანი ვ. შაისურაძის). სპექტაკლი ტექნიურად საკმაოდ რთულია, მაგრამ დამდგმელი რეჟისორის ც. ხუციშვილის და მხატვარ-ბუტაფორისტის თ. კავთაშვილას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ცოცხა შრომა როდი გაუწევიათ თანამედროვე ზღაპრის გმი- რების ხორცშესახსნელად.

გამომგონებლობა, ფანტაზია გამოავლინეს თოჯინების თვითმოქმედმა კოლექტივებმა პიე- სა-ზღაპრის თოჯინურ-სცენური ხერხების გა- დაქპარ-ვანხორციელების დროს. ამ მხრივ კარ- გი შემოქმედებითი მაჩვენებლებით გამოვადნენ ქუთაისის, მიაკოვსკის, ვანის, ორჯონიკიძის და საგარეჯოს კულტურის სახლებთან არსებული თოჯინების თვითმოქმედი კოლექტივები.

უიორიმ შეჯამა შედეგები და ლაურეატის სა- პატიო წოდება მიანიჭა თელავის თოჯინების თეატრს. პირველი ხარისხის დიპლომით და- ჯილდოვდნენ ქ. ქუთაისის № 2, რუსთავის რუ- სული და ქართული, გურჯაანის და მცხეთის კულტურის სახლებთან არსებული თოჯინების თეატრები.

მეორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდო- ვდნენ ჩოხატაურის რაიონის სოფ. სამების, ორ- ჯონიკიძის თვითმოქმედი კოლექტივები, ხოლო მესამე ხარისხის დიპლომებით — ვანის, მია- კოვსკის და საგარეჯოს თოჯინების თეატრები.

ლაურეატის საპატიო წოდებით, I, II და III ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდა მსახიობე- ბის, რეჟისორების და მხატვრების დიდი ჯგუ- ფი. კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელე- ბით დაჯილდოვდნენ მცხეთის, სოფ. სამების, რუსთავის და ვანის კულტურის სახლების დი- რექტორები.

დათვალიერებამ ნათელი გახადა ერთი სერი- ოზული ნაკლოვანება — რეპერტუარის სიღა- რიბე. უმრავლესობამ ერთი და იგივე პიესა- ზღაპრები უჩვენა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენში საკირო ყურადღება არ ექცევა თოჯი- ნების თეატრის რეპერტუარს, ნაკლებად ვზრუ- ნავთ მის გაფართოებზე.

## ქ ა რ ბ ი ა, ქ ა რ ბ ი ა.. ლევან ზენგელია

საქართველში პროფკავშირთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა ივ- ნისის პირველ დღეებში აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში მოაწყო თოჯინების თვით- მოქმედი თეატრების რესპუბლიკური დათვალი- ერება.

მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის თო- ჯინების რუსულმა თეატრალურმა კოლექტივმა მათურებელს უჩვენა გ. ლანდაუს პიესა „მელია, კურდღელი და მამალი“ (რესპუბლიკის დამსა- ხურებული არტისტის ლ. სიმონოვის დადგმა).

შუალედებს მასობრივი თამაშობების გამოც- დილი ორგანიზატორი ივანე გაბრიელიანი ავ- სებდა, ბავშვებს ართობდა და შემდეგი წარ- მოადგენისათვის განაწყოობდა.

პატარები მოხიბლა კ. გოგაშვილის პიესამ „ტყეში“, რომელიც მ. გორკის სახელობის კულ- ტურის სახლის თოჯინების ქართული თეატრა- ლური კოლექტივის მიერ ც. ალაიძის დადგმით იქნა გათამაშებული.

ლაგოდების პიონერთა და მოსწავლეთა რაი-

ონული სახლის თოჯინების მოყვარულთა წრე, ციკო თურმანიძის ხელმძღვანელობით უჩვენა მ. გორხელაშვილის 2 მოქმედებიანი პიესა „ურ- ჩი წიკა“. იგრძნობოდა, რომ ახლადშემწილი კოლექტივი ცდასა და მონდომებას არ აკლებ- და, რთა თავიანთი უპრეტენზიო ნამუშევრით მაყურებელთა ყურადღება დაემსახურებინა.

„ჩილიბიკი და მოგომა“ — ასე ეწოდება მ. მეშუკოვის ერთმოქმედებიანი პიესას, რომელიც რუსთავის მეტალურგთა კულტურის სახლთან არსებული თოჯინების რუსული კოლექტივის მიერ იყო წარმოდგენილი, სპექტაკლმა ნათელ- შყო, რომ კოლექტივი საკმაოდ დაუფლებულია თოჯინების ამოქმედების რთულ ტექნიკას. მაგ- რამ უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად ზედმეტად ხმამაღლა ლაპარაკობენ, რაც ზოგჯერ ყვირილ- შივ კი გადადის. იმედ ვაკვას, რომ კოლექ- ტივი, რომლის შემადგენლობაში არიან თოჯი- ნების ამოქმედების ნიჭიერი მოყვარულნი: ლ. პოლიაკოვა, ვ. ბესტინი, ე. პოტოპოპოვა, რ. გრეკოვა და მათი ხელმძღვანელი ნ. გრეკოვა,

შემდგომში გაითვალისწინებს ამ მნიშვნელოვან შეინიშნას.

ვაქრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის კულტურის სახლის თოჯინების ქართულმა თეატრალურმა კოლექტივმა ობრაზცოვისა და შტებენგრის პიესა „წითელქუდა“ წარმოადგინა გ. პატარიძის დადგმით. ეს პიესა გამოცდილი თვალისთვის ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩეოდა.

შემოაღწეული კოლექტივების წარმოდგენები დასრულდა 6 ივნისს.

შემდეგ სოხუმის განათლების მუშაკთა კულტურის სახლის თოჯინების ქართულმა თეატრალურმა კოლექტივმა დაიწყო თავისი სპექტაკლების ჩვენება.

და ამ, თვალნათლივ გამოჩნდა, რომ თოჯინებისადმი ღტოლვა, პატარებისადმი უსასღვრო სიყვარულის გრძნობა ამოქმედებს სოხუმში მომუშავე ექიმ ელგუჯა მირესაშვილს, რომელიც დიდი სიფაქიზით ეკიდება ამ მეტად საპატიო საქმეს და უშრეტო ენერჯითა და ენთუზიაზმით ხელმძღვანელობს ქართულ და რუსულ კოლექტივებს.

წინანდლის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლის თოჯინების თეატრალური კოლექტივი, რომელსაც ა. თარხნიშვილი უდგას სათავეში, დ. ჭალაღანას პიესა „მამაუყინწას თავდადასნაში“ გავეცნო.

თოჯინების სიდიდე დაკანონებული არ არის. შეიძლება ამოქმედო პაწაწინა, საშუალო ან დიდი ზომის თოჯინები, მაგრამ მათ შორის განსვავება უნდა შეიმჩნეოდეს: მამალი, ფისო, მვლია, ყურცქვიტა, სხვადასხვა ზომისანი არიან, სპილო, აქლემი, უირაფი, ღომი, ვეფხვი ბეჭემოტი კიდევ სხვა. ერთ სპექტაკლში ამ შეფარდებების გაუთვალისწინებლობა მიხანშეუწონელია, სანახაობას ნორჩი მაყურებლის თვალში დამაჭერებლობას უქარგავს.

ბოლოს სამტრედიის განათლების მუშაკთა თოჯინების სახალხო თეატრი ვიხილეთ.

დასწი ვოკალისტ-შემსრულებელთა სიუხვემ საშუალება მისცა დამდგმელ ჯგუფს დ. ჭალაღანას „ფისუნია“ ოპერეტის მსგავსად გადაეყვიტა. შესანიშნავად ერწყმიან ერთობის თოჯინის მამოქმედებელი მსახიობი — მელიას როლის შემსრულებელი და ის, ვინც მას ახმოვანებს; დიდ დახმარებას უწევს მსახიობებს მათი გამშოვანებელი დუეტის ცალკეული ვოკალური ნომრების შესრულებით. ეს დასაშვებია არის და სასურველიც, რადგან ადეთი ხერხით მსახიობს მთელი ყურადღება თოჯინის ამოქმედებაზე გადააქვს და თოჯინა უფრო გამომსახველი, მოქმედი ხდება.

რაც შეეხება მეორე სპექტაკლს „ობოლი გოგონა“ (ნაჩვენებია ბოროტი დედინაცვალი და უკეთილშობილესი მგელი) პატარებს მცდარ შეხედულებას უქმნის. ყველა ამგვარი დედინაცვალი ხსენებითაც კი არასასიამოვნოდ შეარხვებს მათ პაწაწინა გულებს, ხოლო, მგელს, უსაყვარლეს მხეცად წარმოუსახავს.

მიუხედავად ცალკეული შეინიშვნებისა, რომელთაც გამოსწორება სჭირდება, თოჯინების თეატრების პირველი რესპუბლიკური დავალიერების ყუთრში (თავმჯდომარე რეჟ. გ. სარჩიმელიძე) სამტრედიისა და სოხუმის თოჯინების თეატრალური კოლექტივებს პირველი ადგილი გაუწაწინა. ყველა მონაწილეს პირველი ხარისხის დიპლომი მიანიჭა.

პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა სოხუმის მასწავლებელთა სახლის თოჯინების თეატრალური კოლექტივის ხელმძღვანელი, ექიმი ელგუჯა მირესაშვილი.

მეორე ადგილი გორკის სახელობის წინანდლის საბჭოთა მეურნეობისა და რუსთავის მეტალურგთა კულტურის სახლებთან არსებულმა თოჯინების თეატრალურმა კოლექტივებმა გაიყვეს. ამ კოლექტივების ყველა მონაწილეს მეორე ხარისხის დიპლომები მიეკუთვნათ.

პირველი ხარისხის დიპლომით აღინიშნა გორკის სახელობის კულტსახლის თოჯინების ქართული კოლექტივის წევრის მიხეილ ბინიაშვილის ნამუშევარი. რომელმაც კ. გოგიაშვილის პიესა „ტყეში“ ყურშას როლი განასახიერა.

ვაქრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის, გორკის სახელობის რუსული და ლაოდეხის პიონერთა და მოსწავლეთა რაიონული სახლის თოჯინების თეატრალური კოლექტივებს მესამე ადგილები ხვდათ წილად და მათვე გადაეცათ მესამე ხარისხის დიპლომები.

პირველი ხარისხის დიპლომებით ასევე დაჯილდოვდნენ ინდივიდური შემსრულებლები: მხატვარი ქოროლიშვილი — ლაოდეხიდან, გორკის სახ. კულტსახლის თოჯინების რუსული კოლექტივის ხელმძღვანელი ლ. სემიონოვი, ქართული კოლექტივის ხელმძღვანელი გაიოზ პატარიძე და წამყვანი ირმა ირემაშვილი. მეორე ხარისხის დიპლომი გადაეცა კოლექტივის ხელმძღვანელს ციცო თურმანიძეს (ლაოდეხი).

თოჯინების თეატრალური კოლექტივების რიცხვი თანდათან მატულობს. ეს კარგია, ძალიან კარგია. ამ პროცესს ხელი უნდა შევეწყუთო და ყოველნაირად დავეხმაროთ შემოქმედების მხატვრული დონის ამაღლებაში.

# ვიგა ჩუჟოს მოგონება ალექსი ნაკათელზე

პაპუნა წარეთელი

**ჩვენი** დიდი მწერლის ვაჟი — ალექსი აკაკის ძე წერეთელი (1869-1943 წ.) რუსული მუსიკალური კულტურის ცნობილი მოღვაწე იყო. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ რუსსა და საზღვარგარეთელ კომპოზიტორებსა და მომღერლებთან. საზღვარგარეთ ყოფნის დროს დიდ ინტერესს იჩენდა ქართული საოპერო ხელოვნებისა და ახალგაზრდა ქართველი მომღერლების მიმართ. ელენე მაჩაბლის შემეგობობით მას უცდია „აბესალომ და ეთერის“ კლავირის მიღება, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ეს არ მოხერხდა. უდიდესი მომღერალი ტიტა რუფო თავის წიგნში ძალიან თბილად იგონებს ამ დიდსა და უანგარო მოღვაწეს. აი რას წერს იგი:

„მე მივიღე ტელეგრამა თავიდან წერეთლისადმი. ის მოთავაზობდა ექვსი სპექტაკლის ჩატარებას (პეტერბურგის) კონსერვატორიის დარბაზში და თითო სპექტაკლში 1500 ლირას აღმოთქვამდა.

გავითვალისწინე რა, რომ ის 12.000 ლირა, რომელსაც თეატრი „სანკარო“ მოთავაზობდა, მოითხოვდა ექვსი თვის მუშაობას, რუსეთში კი ამავე თანხას ორი კვირის განმავლობაში მივიღებდი, მაშინვე ვუპასუხე წერეთელს, რომ თუ 3000 ლირას დაუყოვნებლივ ავანსად გამომაგზავნიდა, წინადადებას დავთანხმდებოდი, ექვსი წარმოდგენის შემდეგ წერეთელმა შემომთავაზა კიდევ ათ სპექტაკლში მიმეღო მონაწილეობა. უდიდესი სიამოვნებით დავთანხმდი. პეტერბურგში ყოფნის პირველ თვეს თითხმეტყვერ ვიმღებო.

როცა პეტერბურგში წარმოდგენები დავათავრე, დაიწყო საგასტროლო მოგზაურობა იმავე წერეთლის ინიციატივით. წერეთელს ეს გასტროლები დიდ შემოსავალს აძლევდა. მე ვმღეროდი დასასთან ერთად, რომელიც მხოლოდ რუსი მომღერლებისაგან შესდგებოდა, ჩვენ მოვიარეთ ხარკოვი, კიევი, მოსკოვი, თბილისი და სხვა შეორეხარისსოვანი ქალაქები, რომელთა სახელები აღარ მახსოვს.

<sup>1</sup> «Парабола моей жизни. Воспоминания». Москва, 1966.

ერთხელ წერეთელმა შემომთავაზა: შემდეგ კვირას ორჯერ იმღერეთო, დღითი „რიგოლუტოში“ კონსერვატორიის თეატრში, საღამოთი კი „დემონში“ საიმპერატორო თეატრის სცენაზე, თითო გამოსვლაში 1000 მანეთს მოგცემთო, მე ჩემს ახალგაზრდულ ენერგიას ვენდე და მოხიბლული იმ აზრით, რომ ერთ დღეში თითქმის 5000 ლირის შოვნა შემეძლო, დავთანხმდი.

კვირა საღამოს, მას შემდეგ, რაც ორი სპექტაკლი ჩავატარე, დავიწყე ჩემი შემოსავლის დათვლა... რუსეთში ექვსი თვის ყოფნის და ჩატარებული სამოცდაექვსი წარმოდგენის შემდეგ ასი ათასი ლირა დავაგროვე, პირველი ასი ათასი, მაგრამ უეცრად ვიგრძენი, რომ ძალა მელეოდა, ვეღარ ვიტანდი ამ მძიმე ჰავას, ასეთ მძიმეს, უფერულსა და მოსაწყენს, ძარღვებაშლილი გაგებდა და დაუფარავად ვუთხარი თავად წერეთელს, რომ ჰაერის გამოცვლა და დასვენება მჭირდებოდა. მან ჩემი სურვილი სრულად დასაბუთებულად სცნო და მაშინვე გააკრა აფიშები ჩემი უკანასკნელი გასტროლების თაობაზე. შემდეგ კი უთვალავი მსმენელის თანდასწრებით საბოლოო წარმოდგენის დროს საოცარი სიუბრიზი მომიშალა. „რიგოლუტოს“ მესამე აქტის შემდეგ სცენა ყვავილებით აივსო და ოცდაათექვსმეტმა კაბელდინერმა, რომელთა შორის იყო მათ ფორმაში გამოწყობილი იტალიური სიმღერის დიდი თავყანისცემელი რამდენიმე სტუდენტი, მომართვა ოცდაათექვსმეტ ძვირფასად ჩაქარგი ბალიში, რომელზედაც იღო ამღენივე ძვირფასი საჩუქრიათი ყუთი. რადგან ვიცოდი, რომ ზოგიერთი მსახიობი აკეთებდა ასეთ რამეს, ვიფიქრე, ეს რეკლამური ჭისათის მიზანსცენა-მეთქი, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ გამოდგა. მე თავს ვუკრავდი ალტაცებულ ხალხს, და რადგან წერეთელი იყო ხელოვნების ამ ნამდვილი დღესასწაულის ორგანიზატორი, შევთავაზე ჩემთან ერთად გამოსულიყო სცენაზე. იგი მეტისმეტად მორიდებული აღამიანი იყო, ყოყმანობდა. მაშინ ხელი მოვიკიდე და შეუაღულ სცენაზე გავიყვანე, მყუდრებელთა ალტაცებას საზღვარი არ ჰქონდა“.



# მრავალხრივი შემოქმედი

აკაკი გეგაძე

ეს ამბავი ომის დროს მოხდა, 1942 წელს.

დილის ბინდ-ბუნდში გახვეულა მთების გალავანში ჩამჭდარი პატარა ქალაქი. კაკის ქაქანება არსადაა. ამ სიმყუდროვეში უფრო გარკვევით ისმის მუხლდაუღლეი, მარად გიჟმაჟი რიონის შხვილი.

ქუჩაში მიაბიჭებს ფაშისტი გენერალი. უკან თოფმომარტვებული წითელარმიელი მოჰყვება. თითქოს მიწიდან ამოძვრენო, ტყვე გერმანელ გენერალს და მის ბაღრაგა ჯარისკაცს გზაზე ორი საბჭოთა მილიციელი გადაუდგა, სერჟანტი და ეფრეიტორი.

— შეჩერდით! თქვენი საბუთები! ჩქარა — მოითხოვა სერჟანტმა.

— რა საბუთები?! — დაიბნა ბაღრაგი. — ჩვენ საბუთები არა გვაქვს...

— ვისთან გაქვთ ჯაშუშური პაემანი დანიშნული?

— რა ჯაშუშური პაემანი?!

— ექვი რომ არავინ აიღოს, ერთი ტყვედ ასაღებთ თავს და მეორე — ბაღრაგად, არა? ასე უფრო ადვილია, გაპრომა, არა? ჩვენ ვერ გავაცურებთ, ბატონო დივერსანტებო! ზედვე გეტყობათ, ვინც ბრძანდებით. აბა, ჩამოყაქეთ, ვისთან უნდა გამოცხადდეთ? რა დავალება გაქვთ?

ბაღრაგა ახლა უფრო დაიბნა და ენა აუბოროძიკდა:

— ჩვენ... ჩვენ... შინ მივლივართ...

— შინ, არა! ეს ჩანჩურა გენერალი აქვე დახვრიტე! ჯარისკაცს მე წაიყვანე! — გასცა განჯარგულება ერთ-ერთმა და უმაღვე შემართა შახსანა.

გენერალი უცებ კატასავით გადახტა ყორზე და რიყის მიაშურა. სერჟანტიც უმაღვე შეხტა ყორზე და გაქცეულს ესროლა. გენერალი დილის ბინდბუნდში გაუჩინარდა. სერჟანტმა ვარაუდად კიდევ დაადევნა ორიოდ ტყვიან...

— ეჰ, ის დილა კინალამ სამულამოდ დამიღამდა, — იგონებს გიგა ჯაფარიძე. — მთის შორეულ სოფელში წარმოდგენა ჩავატარეთ. სამიოდ საათს იქვე მოვატყუეთ თვალი და მამლებმა რომ იყიდეს, მე და ჩემმა მეგობარმა, ოთარ გამყრელიძემ შინისკენ გამოვწვიეთ, ონში. წარმოდგენაში მე გერმანელ გენერალს ვთამაშობდი, ოთარი კი — წითელარმიელს. ციოდა და ეს სამოსელი არც გავიხლიდა. ონს

რომ მოვუახლოვდით, ოთარის ვუთხარი, ქალაქში ისე გამატარე, ვითომ მართლა დატყვევებულ გენერალი ვარ, ვნახოთ, ხალხი რას იტყვის-მეთქი. ოთარმა თოფი მოიმარჯვა და ბადრიგასავით გამოჟყვა... და, აი, აქ მოხდა ის გაუგებრობა, რომელიც კინალამ ჩვენდა სახედისწროდ დამთავრდა. ეტყობა, ისინი ღამის მორიგეები იყვნენ. უცებ გადაგვიდგნენ და... ვიდრე ოთარი დამტყვევული რუსულით რაიმეს გააუბინებდა, ჩვენმა არტისტობამ კინალამ დაგვლუპა. ერთ-ერთმა რომ თქვა: ეს დახვრეტო, არ ვიცი რა მომივიდა, გონიოუცმაღად გადავევლე ყორეს. მორიგეებმაც, ალბათ იფიქრეს ნამდვილი დივერსანტი რომ არ იყოს, არ გაიქცეოდაო, დამაყარეს ტყვიები. იმ ღამეს ვილაცას ულოცინა ჩემთვის, ბეწვეზ გადვარჩი, ბედად ყველა ტყვია ამცდა. ონში ყველა ბილიკი ხუთი თითვით ვიცოდი, რიყეს გავყვი, ამ ფორმის გადაქიდე, კიდევ რაიმე ხიფათს არ გადავეყარო-მეთქი, გენერლის მორთულ-მოკაშუმულობა უმაღვე მოვიშორე, მდინარის პირას დავმალე და შინ ფეთხანით მივკადაგუნდი. მოგეხსენებათ, ომის დროს ექვს იმხელა თვალები ჰქონდა, სულაც არ მიკვირს, იმ მილიციელებს მე დივერსანტი რომ ვეგონე. აი, ასე: კინალამ შევეწვიე 18 წლის კაცი არტისტობას...

ამ ამბის შემდეგ ოცდათორმეტი წელიწადი გავიდა და გიგა ჯაფარიძეს ამ ხნის განმავლობაში ერთი დღეც არ უტხოვრია უთეტაროდ თავის თეტარზე ფიქრით იძინებს და თავის თეტარზე ფიქრითვე იღვიძებს. შუასაღწა, თავისი წვილის დაბადების დღე დაავწყნდეს, თეტარის საწრუნავი კი არასოდეს ავიწყდება.

ახლა ის „ჩანჩურა გენერალი“ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეა და ონის სახალხო თეტარს ხელმძღვანელობს.

მაისის მიწურულში იგი ორმოცდაათი წლისა გახდა.

სწორედ ამავე დღეებში მისმა თეტარმა მაცურებელს რამდენჯერმე უჩვენა „ურთელ აკოსტა“. წარმოდგენა დადა და მხატვრულად ვაფორმა გიგა ჯაფარიძემ. მთავარი როლიც თვითონვე შეასრულა. ივლითის როლის სათამაშოდ კი საქართველოს სახალხო არტისტი მედეა ჯაფარიძე მიიწვია.

ამ ამბავში, როგორც წვეთში ზღვა, ჩანს გიგა ჯაფარიძის მოღვაწეობის უმთავრესი ნიშანთვის-





სება. იგი მხატვარიც არის, რეჟისორიც, მსახიობიც, გრიმორიც და... ზოგჯერ სცენის მუშაც. მის სპექტაკლებში თამაშს არც ერთი გამოჩენილი პროფესიონალი მსახიობი არ თაკილობს. ვ. კანდელაკის „მთა წყნეთელში“ მეფე ერეკლე საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვასო გოძიაშვილმა განასახიერა, ლ. გოთუას „მეფე ერეკლეში“ ანოს როლი ითამაშა კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობმა დოლო ჭიჭინაძემ.

დღეს შეუძლებელია სახალხო თეატრების მიღწევებზე ლაპარაკო და გიგა ჭავჭავაძე პირველ რიგში არ ახსენო. მასთან ერთად კი არ გაიხსენო ამ რეჟისორის დადგმული საინტერესო სპექტაკლები: „მუნჯები ალაპარაკდნენ“, „ზოია“, „მელა და ყურძენი“, „აფროდიტეს კუნძული“, „უამთაბერის ასული“, „მარუხის ტრაგედია“, „ხალისიანი მეგობრები“, „ნატერვალი“, „რღვევა“, „იკვიძი“, „ბარათაშვილი“, „ლეგენდა რუსთაველზე“, „ისისხლის ცრემლები“, „ლატაკი მილიონერი“, „შამლეტი“, „ოიდიპოს მეფე“ და ვინ მოთვლის... იგი ხომ ასამდე სპექტაკლის დამდგმელია და უმრავლესობა მხატვრულ-მუსიკალურადაც თვითონვე გააფორმა. აქვე შეუძლებელია არ გაიხსენო გიგა ჭავჭავაძის მიერ სცენაზე გაცოცხლებული მრავალი

სახე: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვასილ ბრძენი შოთავაძეავე ეზოზე, მეფე ერეკლე, შოთა რუსთაველი, ოიდიპოსი...

ამდენ საქმეს ერთი აღამიანის წუთისოფელი როგორ ეყოფაო, იკითხვთ.

გიგა ჭავჭავაძე ქვეშარტიც შემოქმედი აღამიანის ორმაგი სიცოცხლით ცხოვრობს, დაუსრუტელია მისი უნარი და, რაც მთავარია, ერთუზონაში. ამიტომაც ძალიან ბევრს ასწრებს.

გიგა მთელ თავის შეგნებულ სიცოცხლეს ხელგუნების სამსახურს წირავს. ნიჭის გარდა ბუნებამ მას სხვა ზეგარდმო მალდიც მინაჭა — შრომისმოყვარეობა და გულმოდგინება, თავისი საქმის არა მხოლოდ სამსახურებრივ-მოვალეობრივი შესრულების უნარი, არამედ ქვეშარტი და გულითადი სიყვარული.

მრავალმხრივმა დაუღალავმა შემოქმედმა თავისი გული მთლიანად მისცა საყვარელ საქმეს და სამაგიეროდ მიიღო ყველაზე დიდი ჭილდო, ყველაზე დიდი საჩუქარი — ხალხის სიყვარული და ამაგის დაფასება.

ამბობენ, ლექსით დალოცვას სხვა მადლი აქვსო. ჰოდა, მეც მინდა ჩემს მეგობარს ნახვარსაუქუნოვან ზღურბლზე ფეხის გადდგმა ლექსით მივულოცო.

## წინ ისევ დიდი სავალი გელის

ვიწრო ბილიკით შენს მთაზე ახველ ორმოცდაათი წელია უკვე, მიჰყვები მთისკენ მიმავალ აღმართს, არ ემოწები ცხოვრების ღრუბელს და ელტივი მუდამ იდუმლად ლაქვარდს. ორმოცდაათი რა არის წელი... დიდი ჭიდილის, დეღვის და ეღვის, წინ გზა სავალი კვლავ დიდი გელის... ორმოცდაათი რა არის წელი! შენს წინ მარულით გარბიან დღენი, მძაფრი ჭიდილით მოჰყვები დრო-ყამს, წინ გიძღვის დროშა ნათელი რწმენის და შენი სულის სბეტაკი დროშა. ამ გზაზე შეგხვდა ავკარგი ბევრი, ჩხავილი ყორნის, ჭიკჭიკი მერცხლის, მაგრამ შენს გულში ჩააქრო ვერვინ შემოქმედების უქრობი ცეცხლი. ცივ ყინულს გულის ცეცხლით ადნობდი, ამ შენს სიცოცხლეს გამრობა ჰქვია. ასე მგონია, ნიშნად მადლობის დღეს შენს წინ მთებზე თავებსა ხრიან. გზაზე შემოგხვდა გარამი ბევრი და ვერ გაჯობა მაღალსულიანს. სიმძიმე იგი აწონოს ვერვინ, რასაც შენს გულზე გადაუფლია.

გულზე სამშობლოს შუქი გვეჩნია, ეს არის შენი დმერთი მარადი, შენი ქველობა ბევრჯერ გვსმენია, მაგრამ არასდროს — საქმის ღალატი. ბევრჯერ მომსკდარა, მოდიდებულა, შემოქმედების შენი ქვერულა და სასიკეთოდ, განა ბოროტად, ხალხის წრფელ გულში აზვირთებულა. ვიწრო ბილიკით შენს მთაზე ახველ, ვეძახის შენი კავკასიონი... შენს ჭირსა და ლხინს სცენაზე ამხელს შემოქმედების შენი რიონი. რაჭული სცენის შენ ხარ თამადა, შენი რაჭული პატოსნებით... გზაზე წინ კვლავაც ივლი თამამად, უფრო და უფრო გასხიგონსდები. ორმოცდაათი ვალეე წელი, დრო-ყამის ახალ მთაზე ახველი, წინ ისევ დიდი სავალი გელის, ბევრი ახალი გადასახედი. კვლავ გელოდება დიდი გზა აწი, უხილავ ხიდი, ხილული ხიდი... დღეს გიდღევრძელებ ამ ლექსის ყანწით გზას, უფრო მაღალ მთისკენ რომ მიდის!



# სახალხო თეატრის ამაღლარი

## ბაიოზ იაპაშვილი

**60 წელი** შეუსრულდა ცაგერის თეატრის დაწარმოებულ მსახიობთა და რეჟისორის, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს გრიგოლ მდივანს.

გრიგოლ მდივანმა 15 წლისამ დაუკავშირა თავისი ცხოვრება სახალხო თეატრს და 45 წელი მის უანგარო სამსახურს შეაღია.

ლენინქმსაც აქვს თავისი თეატრალური ტრადიციები. თავის დროზე ქართული თეატრის ექო აქაც მისწვდა. იმდენად დიდი იყო ინტერესი თეატრისადმი, რომ სცენისმოყვარეთ სათეატრო ნაგებობის უქონლობა ვერ აბრკოლებს და წარმოდგენებს მართავდნენ ყველანა, სადაც კი შესაძლებელი იყო, — ღია ცის ქვეშ, საბძლებში, აივნებზე.

1905 წელს ლენინქმელებმა ცაგერულ სცენისმოყვარეებს წარმოდგენების გასამართავად ბერების ყოფილი სამოსახლო დაუთმეს. აქედან იწყება საფუძველი ცაგერის თეათროქმედ დრამატულ კოლექტივს, რომლის მსახიობთა რიცხვი იმ დროისთვის 20 კაცისაგან შედგებოდა. შენობის მიღების პირველსავე სეზონში (1905-1906 წ.) განახორციელეს ოთხი დადგმა: მოლი-ნობა — „სკაპენის ოინები“, ა. წერეთლის — „მატარა კახი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ვ. ვუნიას — „ღა-მამა“. ამ დღიდან მოყოლებული აღარ განუღებულა თეატრალური ხელოვნებისადმი ინტერესი. მაგრამ სცენისმოყვარენი ყოველთვის გრძნობდნენ, რომ სრულყოფილი თეატრალური დადგმების მისაღებად თბილისის ავ. ფალავას სტუდიიში მიავლინეს გრიგოლ მდივანი, მან მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა. 1935 წელს გრიგოლი ამთავრებს სათეატრო სტუდიას და ცაგერში ბრუნდება.

თეატრალურ ცოდნას დაუფლებული და დიდი ქართველი რეჟისორების კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო აბრეტელის შემოქმედებას ნაზიარები ახალგაზრდა ფართო შემოქმედებით მუშაობას იწყებს, იმისათვის, რომ სცენისმოყვარეთა პრაქტიკული შემოქმედებით მუშაობა უფრო ნაყოფიერი იყოს, პარალელურად სტუდიური მუშაობასაც ეწევა, სცენისმოყვარებს ასწავლის მართლმეტყველებას, სასცენო ოსტატობის ელემენტებს.

1936-1937 წლებში გრიგოლ მდივანი ქვემო სვანეთის კულტურის სახლთან არსებულ თეატრალურ კოლექტივს ხელმძღვანელობს. 1938 წლიდან იგი ხულოს სახალხო თეატრში მოღვაწეობს, როგორც მსახიობი და რეჟისორი. 1942 წლიდან იგი საბჭოთა არმიის რიგებშია, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას და ამავდროს ყოველ თავისუფალ წუთს საყვარელ საქმეს ანდომებს — ხელმძღვანელობს თეთითქმედებას, მართავს სველე კონცერტებს.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ იგი კვლავ თეატრშია. ამ პერიოდში დადგმულ სპექტაკლებსა და შექმნილ სახეებში თვალნათლივ იგრძნობა რეჟისორისა და აქტიორის შემოქმედებითი სიმწიფე. სწორედ ამ პერიოდში ევლინება იგი მაყურებელს, როგორც მრავალმხრივი, მრავალფანოზობრივი მოღვაწე. გრიგოლ მდივანი, როგორც მსახიობი საუცხოოდ ფლობს გარდასახვის ხელოვნებას. ყურადღებას იმსახურებს მის მიერ შექმნილი სახეები; ახმა — ს. შანშიაშვილის „ზნობრივი“, კიკვიძე — ვ. დარასელიას „კიკვიძეში“, ყვარყვარე — პოლიკარბე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში“, ტარბე — დ. ქიანთელის „ტრაიელ გოლუაში“, ხევისბერი — ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩაში“, მეფე ერეკლე — ვ. კანდელაკის „მიაა წყნეთელში“ და მრავალი სხვა.

45 წლის მოღვაწეობის მანძილზე გრიგოლ მდივანს შექმნილ-მესრულებული აქვს 180-ზე მეტი როლი და დადგმული აქვს 120 სპექტაკლი. რესპუბლიკურ დათვალეობებზე სხვადასხვა დროს მიღებული აქვს 6 პირველი და 3 მეორე ხარისხის დიპლომი.

1965 წელს, ქართული თეატრის დღეს — 14 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით, სათეატრო ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ამისწინამ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, რესპუბლიკის თეატრალურმა საზოგადოებამ, ცაგერის რაიონის პარტულმა და საბჭოთა ორგანოებმა შემოქმედებითი საღამო მოუწვეეს სახალხო თეატრის ამაღლარს. გრიგოლ მდივანი საინტერესო ანგარიშით წარსდგა მაყურებელთა წინაშე. მაღლიერმა მაყურებელმა და დღევანდელმა და შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს სახალხო თეატრის მოჭირანახელეს.

# უანგარო მუშაკი

## ზანზანვ კასრაძე

1910 წლის მისია. ცხინვალის სასწავლებლის ეზოში ფარდული მოუწყვიათ და სცენაც გაუმართავთ. უნდა დაიდგას ა. სუმბათაშვილის დრამა-ლეგენდა „ლალია“. ბიესაში მონაწილეობს ცხინვალის მოწინავე ინტელიგენცია. დადგამს ხელმძღვანელობს და თთარბევის როლს ასრულებს ძველი ქართული თეატრის ერთ-ერთი ვეტერანი ზალიკო მაჩაბელი.

სცენაზე გენერალური რეპეტიცია მიდის. ამ საშხადისს და მოსარობას დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს მოსწავლეები, მაგრამ მათ ახლოს ვინ მიუშვებს. ერთ-ერთ ვაკევილიზე მასწავლებელს ეთხოვება 12 წლის ბიჭუნა და გარეთ გამოდის. მისი სული და გინება ეზოში დადგმული ფარდულსენაა, უნდა გაიგოს, რა ხდება იქ. და აი, შეპყრო თავი ფარდულში. რეპეტიციაზე თთარბევის და ზეინაბის ცნობილი სცენა მიდის. როლებს ასრულებენ ზალიკო მაჩაბელი (თთარ ბევი) და ეკატერინე კასრაძე (ზეინაბი). ბიჭუნას ხიზლავს ეს სანახაობა.

რეპეტიცია დაშთავრდა. ბიჭუნას კლასში შესვლა აღარ მიშგონებია, შინ გაიქცა. საღამომდე ფიქრში ვატარა. მერე აიღო კალამი და მაგიდას მიუჯდა. ბავშვმა ბიესის წერა დაიწყო იმ მოსაზრებით, რომ მანაც მოაწყოს ასეთი ფარდული სახლის აივნის ქვეშ და გამართოს მსგავსი სანახაობა. ასე გადადგა სასცენო მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები გრიგოლ მეტურნუთოვმა, რომელიც 55 წელი უანგაროდ ემსახურება ქართული თეატრის საქმეს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

პატარა გრიშამ ბიესა დაამთავრა. მასში ასახული იყო მჩავერელთა და დაჩავერულთა ბრძოლა. დაჩავერულებს ემხრობოდა არსენას მაგვარი ყაჩაღი, რომელსაც ბოლოს კლავდნენ. ამის შემდეგ გრიშა აფრთვეს უბნის ბიჭებს: ვანო ბეთუშვილს, ალექსი თედიამვილს, სტოპა ხაზინოვს, გიორგი ცერაძეს და სხვებს და იწყებს ბიესის მზადებას. პატარა სცენისმოყვარე ტანსაცმელს თვითონ შოულობენ. გრიშა სიმინდის ქუჩიჩით პარიკებს ამზადებს და სადურგლო წებოთი სახეზე იყრავს. ყაჩაღის სიკვდილის საილუსტრაციოდ სისხლის გამოდენაა საჭირო. გრიშა ქათმის ბუშტში ალუბლის წვეს ასხამს და ახალუხის შიგნით იღებს. „მკელელებს“ აფრთხილებს. ხანჯალი როგორ ატყავს, რომ ბუშტი გაიხეს და გამოსული ალუბლის წვენი სისხლი ეგონებათ, წარმოდგენას მთელი უბანი ესწრება. მოვიდა ყაჩაღის სიკვდილის სცენაც. გრიშას დანიშნულ ადგილას ხანჯლის წვერს

ატაკებენ, ალუბლის წვენი გადმოსახამს, გრიშა ვაშოტოლა ძირს ეცემა.

— სისხლი, — ყვირის ვიდაცა.

— ვიამე, შვილო! — იწვილა იქ დამსწრე გრიშას დედამ. გრიშა არ ინძრევა. ხალხი ექითან ვარბის. გრიშა მიხვდა, რაშიც იყო საქმე. უცბად წამოხტა და დედასთან მიიბრუნა. გულ-შეწუხებულ დედა ძლივს მოაბრუნეს.

ყოველივე ეს სანტერესო დასამახსოვრებელი ამბავია. 12 წლის ბავშვის ფანტაზიამ შექქნა სანახაობა, რომელიც მაყურებელში ასეთი რეაქცია გამოიწვია.

გრიშა კვლავაც აგრძელებს ასეთი წარმოდგენების მართვას თანატოლ ამხანაგებთან ერთად. ეს სცენისმოყვარება ჯგუფი შეუნიშნავი არ დარჩა ცხინვალის მუსიკალურ-დრამატულ სცენისმოყვარება დასს, რომელიც 17 წლის გრიგოლ მეტურნუთოვი მიიწვია თავისთან სამუშაოდ. კარგი სასცენო მონაცემების ახალგაზრდა, რომელსაც ამ დარგში საყუთარი გამოცდილება ჰქონდა, ბიესებში მთავარ როლებს ასრულებს და ცხინვალის მაყურებლის ერთ-ერთი საყვარელი სცენისმოყვარე ხდება. ამ პერიოდში გრიშამ ცხინვალის სცენაზე მრავალი პასუხსაგები როლი შეასრულა, რომელთა შორის აღსანიშნავია: ერეკლე — (ა. სუმბათაშვილის „ლალიაში“), სიმონი (გერგეცის „ნიღბქვეშ“), ვახტანგი (ა. ცაგარლის „ქართლის დედა“) და სხვა. დასის გამგეობის რჩევით 1922 წელს გრიგოლ მეტურნუთოვი მიდის საქართველოს პროლეტკულტის დრამატულ სტუდიაში — თბილისში თეატრალური განათლების მისაღებად. აქ მან დაპყო სამი წელი, 1924 წელს ჩარიცხეს თბილისის წითელი თეატრში მსახიობად, სადაც მან ორი სეზონი იმუშავა. ამ პერიოდში რამდენიმე როლი განასახიერა, მათ შორის მინისტრი — ემილ ვერჰარნის „განთიადში“. რეცენზენტკ, მწერალი იონა ვაკელი მაღალ შეფასებას აძლევდა გ. მეტურნუთოვის თამაშს ამ როლში. აქვე განასახიერა პეტრია („ჯანყი გურიში“), რილუევი („დეკაბრისტებში“) და სხვა.

წითელ თეატრში მუშაობის პარალელურად გრ. მეტურნუთოვი მიიწვიეს ტრამეის მუშათა კლუბში რეჟისორად, სადაც მისი ხელმძღვანელობით დაიდგა „გაჭირვების ტალკეისი“ და საყუთარი ბიესა „რინოდა“. აღნიშნულ ბიესის დაწერამდე გრიგოლმა კარვად შეისწავლა ტრამეის მუშათა ცხოვრება. ბიესის დადგამა დიდი ინტერესი გამოიწვია და მაღალი შეფასება მიიღო.

ამის შემდეგ გრ. მეტურნუთოვი მიიწვიეს თბილისის ცენტრალურ მუშათა კლუბში, სადაც რამდენიმე თვე იმუშავა, ხოლო 1926 წელს ზაფხულში კვლავ დაბრუნდა ცხინვალში. საკმაო ცოდნით და გამოცდილებით შეიარაღებული, სამხრეთ ოსეთის კულტოლოგთაგან მანათიულბო განყოფილებასთან ცხინვალში აარსებს მუშათა დრამატულ დასს. დასის რეპერტუარი ძირითადად აგებული იყო ახალი ცხოვრების ამსახველი პიესებით. ამ დასმა გრ. მეტურნუთოვის ხელმძღვანელობით 1929 წლის აგვისტომდე იარსება და მრავალი პიესის დადგმა განახორციელა, მათ შორის: ტრ. რამაშივილის „გაპირების ტულკვისი“, პ. ირეთელის „ქრისტინე“, ნ. შიუკაშვილის „სულელი“, ს. წერეთლის „მალარია“, ი. იმედაშვილის „ხელოვნება და კაცარა“, უ. ჰაჭიბეგოვის „არშინ-მალ-ალან“, „მამტი-იბად“ და „აშუდ ყარბი“, „სამი ფუტეღური“, „გამფლანგველები“, გრ. მეტურნუთოვის ოინზაზები“ და სხვ. დასში მონაწილეობდნენ: ვ. ქურთოშვილი, თ. ანანაშვილი, ირ. ცხოვრებელი, ვ. საძაგლოშვილი, ს. შველოხოვი, ნ. ცერაძე, მ. ცერაძე, ევ. აღასიაშვილი, ელ. ბაციკაძე, ლ. ასანიძე, მ. შახპართოვა და სხვები. ამათგან შემდეგში ზოგი პროფესიონალი მსახიობი ვახდა.

1928-29 წლების სეზონში გრ. მეტურნუთოვი საქართველოს ალკ სამხრეთ ოსეთის საქალაქო კომიტეტის თხოვნით ქმნის მოხარდმაყურებელთა დრამატულ დასს. აღსანიშნავია, რომ ცხინვალში ყველა ჩამოთვლილ სამუშაოს გრ. მეტურნუთოვი ასრულებდა საზოგადოებრივ საქონისგზე.

1929 წელს გრ. მეტურნუთოვი მიდის ქ. მოსკოვში და ლექციებს ისმენს ზავაძისკის დრამატულ სტუდიაში, საიდანაც სამი წლის შემდეგ ბრუნდება ისევ ცხინვალში და ებრძაღთა ლარბკომის კლუბთან აყალიბებს დრამატულ დასს, რომელშიაც ძირითადად აერთიანებს ებრატულ ახალგაზრდობას. აქ მან განახორციელა

პ. ირეთელის „ქრისტინე“ დადგმა, რომ შემდეგ, 1934 წელს დანიშნეს ცხინვალის სახელმწიფო ოსურ თეატრთან ჩამოყალიბებული ქართული არაპროფესიული დასის რეჟისორად. 1935 წელს გადდის ლენინგოტში და ხელმძღვანელობს რიყელტვანყოფილებასთან არსებულ დრამატულ დასს. 1938 წლიდან ლენინგოტის რაიონული კლუბის მხატვრული ხელმძღვანელი და რეჟისორია.

1941 წელს დრამატული თეატრში მუშაობის რესპუბლიკურ დათვლიერებაზე ლენინგოტის რაიონულმა თეატრმა გრ. მეტურნუთოვის ხელმძღვანელობით სხვა ხუთ კოლექტივთან ერთად პირველი ადგილი დაიკავა და დაცილოვებულ იქნა სიგელით. მან აქ აწვეა ორი დადგმა — ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“ და ა. ცაგარლის „ხანუმა“.

1942 წლის აგვისტოდან გრ. მეტურნუთოვი გადმოჰყავთ ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ქართული დასის მორიგ რეჟისორად, სადაც 1944 წლის თებერვლამდე უხდება მუშაობა და დადგმა: ა. ცაგარლის „ხანუმა“, ვ. მდივინის „პარტიზანებს“ და რ. ერისთავის „ვერ დი-ხოცნენ. მეგრე იქორწინეს“.

ამის შემდეგ გრ. მეტურნუთოვი ისევ თავის საყვარელ ლენინგოტშია და მთელი მონდობით ემსახურება თეატრის საქმეს. მისი ხელმძღვანელობით თვალსაჩინოდ ამაღლდა ლენინგოტის დრამატული დასის პროფესიულობა მისმა დადგმებმა აქ საყოველთაო მოწონება და აღიარება დაიმსახურეს.

ღაწლმოსილ რეჟისორს და ქართული რაიონული თეატრების უანგარო მოამავეს გრიგოლ მეტურნუთოს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა, მაგრამ იგი ვერ მოესწრო მადლიერ საზოგადოებას მისი დაბადების საიუბილეო თარიღი სთანადოდ აღენიშნა. იგი გარდაიცვალა 1966 წელს და დაკრძალულია თავის საყვარელ ლენინგოტში.

## ნახუარი სუქუნე ხალხის სამსახურში

მარგარიტა გოგოლაშვილი, მისილი გოლიამე

როდესაც მსახიობს დაბადების და შემოქმედებითი მუშაობის რაიმე თარიღი უხრულდება, თვალს ვავლებთ მის მიერ გავლილ გზას და სიამოვნებით ავლიწნავთ იმ ბედნიერ შემთხვევებს, რომლებსაც დაუვიწყარი კვალი დაუტოვებიათ მყურებლის მეხსიერებაში და თვითონ მსახიობისათვისაც სიხარული მიუწიქებიათ. ბედნიერია მსახიობი, რომელიც შემოქმედებით

თი ცხოვრების მანძილზე მყურებელთან მუდმივ კონტაქტშია.

ახეთთა რიცხვს ეყოფენის ა. წუწუნავას ხახ-მახარამის თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რომან სერგის ძე ლომინაძე, რომელსაც მიმდინარე წლის აპრილის დამდეგს დაბადებიდან 70 და სასცენო მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.



დაბადების დღეს რ. ლომინაძე ო. ოსელია-ნის პეისის „როცა ურემი გადაბრუნდებას“ გმი-რის აგაბოს როლში შეხვდა და როლის მალა-მხატვრული შესრულებით კიდევ ერთხელ და-ატკბო თავისი მაყურებელი.

რ. ლომინაძემ თეატრალური ნათლობა რუს-თველის თეატრში მიიღო, იქ ეზიარა კ. მარ-ჭანიშვილისა და ა. ახმეტელის ნიქის ძალას და დეუფლო პროფესიონალიზმს, რომელიც მას დღემდე მოსდევს. მართალია, ამ თეატრში მხო-ლოდ ორი წელი დაჰყო, მაგრამ ეს ორი წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ აღარ ჩამო-შორებოდა თეატრს.

1924 წლიდან დღემდე რ. ლომინაძე ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია ჯერ მაშინდელი მუშათა თეატრის, ხოლო შემდეგ ა. წუწუნავას სახ. მა-ხარაძის სახელმწიფო თეატრისა.

რ. ლომინაძის მსახიობური ინდივიდუალობა იმთავითვე გამოიკვეთა. იგი სცენაზე მუდამ გულწრფელი და მართალია. მის მიერ განსახიე-რებული სახეები ყოველთვის რეალისტური ხერხებითაა გადაწყვეტილი და გარკვეულ ლო-გიკურ მოქმედებას ექვემდებარებიან.

1928-24 წლებში მუშათა თეატრში რ. ლომი-ნაძეს როგორც მუსიკალური ნიქით დაჯილდო-ებულს, მუსიკალური ნაწილის გამგეობაც დაე-კისრა. ამ თეატრში ოპერეტებიც დაიდგა, რომ-ლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და მუსი-კალური ხელმძღვანელი რ. ლომინაძე იყო. აქ განხორციელდა „არშინ მალ-აღან“, „აშულ-ყა-რიბი“. აღსანიშნავია, რომ თეატრს „არშინ მალ-აღანით“ თავის დროზე მთელი გურია შემო-უვლია და რაიონების ხელმძღვანელობის მად-ლობა დაუმასხურებია.

„სულთა და გულით ენთუზიასტები ვიყა-ვით, შემოქმედებითი ძიებისა და ბრძოლის უნა-რიც ვაგვარჩნდა. აბა, სხვანაირად როგორ უნდა დაგვეძლია ის დაბრკოლებები, რაც მაშინ ჩვენი მუშაობაში ვხვდებოდა“ — იგონებს რომანი.

ასეთი ბრძოლით განვდილმა წლებმა გამოაწ-რთეს და მრავალფეროვანი გაზადეს მსახიობის შემოქმედება. იგი ერთნაირი სიძლიერით ანსა-ხიერებს სახსიათო და დრამატულ სახეებს;

დაკისრებულ როლებს საოცარი სიყვარულია და პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება მუდამ.

რ. ლომინაძეს თეატრმა სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“ ორი როლი გაუერთიანა ლუკაია ფოცინიშვილი და მეწისკვილე. მსახიობის სასა-ხელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდა. რ. ლომინაძემ ლუკაია ერთ დიდ დასრულებულ მხატვრულ სახედ წარმოსახა, რომელიც საკვიროებისამებრ დიდი და ღრმა სევდიანი ემოციებითაც დატვირთა.

საკმარისია ვავიხსენოთ „პეპოში“ რ. ლომინა-ძის ზიზიშვილი და ის მაღალი შეფასება, რომე-ლიც მას გაუთომა „სოვეტიკან ვრასტანა“ მის-ცა, (რეჟისორი — გიორგი ვასაძე); ამ როლის შეფასებით გასაგები გახდება მსახიობის შემოქ-მედებითი დიპაზონი.

რ. ლომინაძის მიერ შექმნილ სახებიდან რე-ცენზენტები განსაკუთრებით გამოიყოფენ და მა-ღალ შეფასებას აძლევენ ქაჩალ ზოჯას გ. ნა-ხუცრიშვილის „შაითან-ხიხი“-ში (რეჟისორი — გ. აბესაძე), ეგორ ბულიჩივის გ. გორკის „ეგორ ბულიჩივი და სხვები“-ში (რეჟისორი — გ. აბე-საძე). აგრეთვე მოხუცი გლახუნას (გ. ბერძენი-შვილის „დაჭრილი არწივი“), ბესთოლის (პლიე-ვის „ჩერმენი“, რეჟისორი — ო. თალაკვაძე) და ბოლოს აგაბოს („როცა ურემი გადაბრუნდება“, რეჟისორი — ვ. რცხილაძე), რომელზეც „ლე-ნინის დროა“ წერდა: „აგაბო — რ. ლომინაძე სპექტაკლის დედაბოძია, ბერმუხაა, ქართული მიწის შვილია, მაგრად რომ უღვას ფესვები მაღლიან მიწაზე; აგაბო მთელი სპექტაკლის, მისი ყველა კომპონენტის სუნთქვაა“.

ჩვენ კი დავუმატებთ, რომ აგაბო მსახიობის მე-200 როლია, და რ. ლომინაძე მახარაძის თეატრის კოლექტივშიც ბერმუხაადა აღმართუ-ლი, იგი ამ თეატრის ერთ-ერთი დედაბოძია და მაგრად უღვას ფესვები ქართულ თეატრში. ვუსურვოთ კვლავ მრავალი შემოქმედებითი მო-სავალი მოემქას თავის კოლექტივს, ამ ალალ-მართალ მსახიობს!

## ანა პარლიამელი ანა ლინიაშვილი

საკვირველია კახეთის ამ მშვენიერ სო-ფელს, სადაც ჩვენი მომღერალი დაიბადა, რა-ტომ ჰქვიან საბუე, როცა მის არემარეს განუწ-ვეტლივ ბულბულების სტვენა ახმინავს.

იქნებ ამ ბულბულების სტვენამ დაანათლა

ვარდაშვილების მთელ გვარს იშვიათო ხმა და მუსიკალობა.

ჯერ ვავიხსენოთ ანას მამა — დიმიტრი, გა-ლობის მასწავლებელი დიდუბის ეკლესიასთან არსებულ სკოლაში, დედა — ოღლა, მშვენიე-რი მომღერალი, უფრო კი ჩინებული ხნით და-

ჭილდობეული მამიდა ქეთევანი, რომლის სიმღერის იშვიათმა შესრულებამ და ოჯახში ხალხური საკრავების უღრამ გაღვიძა პატარა ანას გულში სიმღერისა და მუსიკის დიდი ტრფიალი. ანას გარე მასწავლებელი მწყემსი ანდრია ვარდიაშვილი იყო, მთელ კახეთში, უფრო კი მეცხვარეებში (ანაც მთელ ზაფხულს მათთან ატარებდა) განთქმული მეფანდურე და საუცხოვო მომღერალი.

\* \* \*

ახალგაზრდა ანამ, რომ იტყვიან, სცემის მტვერი პირველად თელავის თეატრში იყნოსა. მან ფანდურე დაამღერა ქართული ხალხური სიმღერები „ივანანა“, „გუთნური“, „შაირები“ და დამწერნი მოხიბლა არა მარტო საამურმა ხმამ, არამედ იმ პატარა ფანდურეც, რომელიც სცენიდან პირველად მოისმინეს.

ეს იყო მხოლოდ დასაწყისი!

ანას თეატრი იზიდავდა, თბილისს მოაშურა, შევიდა დრამატულ სტუდიაში, რომელიც 1931 წელს დაამთავრა. სტუდიაში სწავლის პერიოდში იგი რუსთაველის სახ. თეატრში სცენაზეც გამოჩვენდა.

ანა ვარდიაშვილი პირველად ვნახე „ლაკაზარში“ მწყემსი მეომარი ქალის როლში. მას, როგორც მახსოვს, მეტად მეტყველი თვალები, ხან აღვხეხებულ, როცა ესპანეთის ხალხის გამარჯვება შემოგმოდდა, ხან კი საოცრად სევდიანი გამოხედვა ჰქონდა. ეს იმიტომ დამახსოვდა, რომ ჩვენს ბინაზე ხშირად მოდიოდა თავის მეგობარ მსახიობებთან ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის თეატრში თითქმის 12 წელი იმუშავა, ვერ ვიტყვი, რომ თუნდაც ერთხელ ისეთ როლში გამოვეყვანათ, რომელშიც თავის შესაძლებლობას მთლიანად გამოავლენდა... ეპიზოდურ, ხშირად უსიტყვო როლში, ცხადია, დაკმაყოფილებას ვერ იგრძნობდა, თუმცა ამ როლებშიც რეცენზენტებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. პრესაში ამოიკითხავთ: „... ანა ვარდიაშვილს თითქმის უსიტყვო როლი რგებია (ლაპარაკია „ფოლადურში“ საბედოს როლზე), მაგრამ მსახიობს მოუხერხებია მისი დანამახსოვრებლად განსაზღვრება, რაც იმის მიქმედია, რომ ნიჭი და უნარი პატარა როლშიც არ დაიკარგება“.

სულ მალე სხვა მოწოდება იგრძნო, მის არსებაში სხვა სტიქიამ გაიღვიძა. — ეს იყო ესტრადა, მან გადასწყვიტა ქართული ხალხური სიმღერების ფართოდ გატანა ჭერ ფანდურის, შემდეგ კი მედუღუკეთა ანსამბლის თანხლებით.

\* \* \*

ჯერ კიდევ აკაკი წერეთელს გონივრულად უთქვამს: ჩვენში ახალ საქმეს ბუკი და ნალარა ესაქიროებაო. მაგრამ, ბუკსა და ნალარას კი

არა, ანა ვარდიაშვილს იმ დროს მუსიკის მხარდაჭერაც კი არ ჰქონია.

გავისვენოთ ფანდურით მომღერლის პირველი გამოსვლა ჩვენი რადიოთი, კიევი, განსაკუთრებით მოსკოვის რადიოთი, ევროპის ქალაქებსაც რომ გადაეცა, მას ყველგან დიდი წარმატება და მოწონება ხვდა წოლად. ამ გამოსვლებმა სახელი მოუხვეჭეს როგორც მომღერალს, ისე ამ პატარა ქართულ ინსტრუმენტს.

მაგრამ მედუღუკეთა ანსამბლზე დამღერება გაძნელდა, გაძნელდა არა იმიტომ, რომ ანა ვარდიაშვილმა დუღუკს ხმა ვერ შეუწყო, არამედ მაშინ სადაო გახადეს დუღუკის ქართულობა!

დღეს რომ ჩვენმა გამოჩენილმა კომპოზიტორებმა ორკესტრისთვისაც კი გამოიყენეს დუღუკის ჰანგები, იმ დროს, ე. ი. 30-იან წლებში ამის გატანა ესტრადაზე, რადიოში ძალიან ძნელი იყო, რომ არ ყოფილიყო მედუღუკეთა ანსამბლის ხელმძღვანელის, აწ განხვეწებული ტოლგოუკოვის მინდომებაც, შეიძლება ანა ვარდიაშვილის საქმე ასე არ დაგვირავინებულყო.

თუ დღეს შემოგვჩნა მომღერლის ფირფიტებზე ჩაწერილი სიმღერები, ამას კი უნდა ვუმაღლოდეთ აგრეთვე ანას მეუღლეს — ვანო ყიფიანს, დიდი ყიფიანების ჩამომავალს. ვანო ანას კონცერტებს თან დაჰყვებოდა, საგანგებოდ დუღუკზე დაკვრაც ისწავლა, მოწაფეებიც აღზარდა და მათი შემწეობით გააკეთა ეს საშვილოშვილო საქმე.

და აი... 1939 წელი...

საკვირველი ის არის, რომ ანა ვარდიაშვილის პირველი დიდი კონცერტი მედუღუკეთა ანსამბლის თანხლებით გაიმართა არა თბილისში, არამედ კიევიში. წარმოდგენაც კი ძნელია იმ დიდი წარმატებისა, რაც იქ დაიმსახურა ანამ და ანსამბლმა.

აღბათ ეს გახდა საწინდარი, რომ იმავე წელს ჩვენს რადიოკომიტეტს ანა ვარდიაშვილი მედუღუკეთა ანსამბლის სოლისტად მიეწვია. ამ დღიდან ჩვენი მომღერლისათვის ფართო ასპარეზი გაიხსნა. იმდენად სწრაფად მოითხოვა პოპულარობა და საზოგადოების სიყვარული, კონცერტებით დატვირთულ ანას, სიმღერისა და ხალხური საკრავების მასწავლებლად იწვევენ სკოლებში. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, კულტურის სახელებში...

მეტად თვალსაჩინო იყო ანა ვარდიაშვილის მუშაობა დიდი სამამულო ომის პერიოდში, მომღერალი ქალი ჭარის ნაწილებში გამოდის და თავისი გამარჯვების სიმღერებით აზნუნებდა მათ. ბევრი კონცერტი აქვს ჩატარებული სამხედრო კლუბებში, ჰოსპიტლებში.

მაგრამ ანა ვარდიაშვილმა ყველაზე დიდი შრომა ქ. ქლუხორში გასწია 1948 წელს. იგი მთავრობის მიერ გაიგზავნა მივიღინებაში. იგი



თავდადებულად მუშაობდა სწორედ იმ საბავშვო სახლებში, სადაც სამამულო ომში დაღუპულ ქართველთა ბავშვები იზრდებოდნენ.

\* \* \*

ძალნიან მნელია ამ მოკლე წერილში აღინიშნოს მისი არქივის სიმდიდრე, აუღელვებლად შეუძლებელია გადაკითხვა იმ დასტა წერილებისა, რაც მომდერაღს მიუღია ახლო მეგობრებისაგან, ახალგაზრდა მომღერლებისაგან, უამრავი თავჯანსმცემლებისაგან.

მასთან დიდი მიმოწერა ჰქონდა უვავილების მესაიდუმლის მიხ. მამულაშვილს, სიტყვის დიდოსტატს სოსო გრიშაშვილს და სხვა საპატიო პირებს, განსაკუთრებით კი მის ახლო მეგობარს ივანე მაჩაბელის ქალს ელენე ჩერქეზიშვილისას.

აი რამდენიმე ნიმუში:

მიხეილ მამულაშვილის ვრცელ წერილში ნათქვამია: „...რა ბედნიერება არის შორიდან მაინც რომ გაისმის არაჩვეულებრივი ხმა, რომელიც სიცოცხლეს გაძლევს! კიდეც გინდა იცოცხლო, რომ მოისმინო ასეთი ნეტარება“...

ელენე ჩერქეზიშვილის წერილები სიუვარულითა და აღტაცებით არის აღსავსე. ერთ წერილში ქალბატონი ელენე წუხს, რომ ვერ დაესწრო კონცერტს ა. წერეთლის ხსოვნის საღამოზე, სადაც ანა ვარდიაშვილიც იღებდა მონაწილეობას. მარგალიტა მუსხელიშვილს კი მიუწერია ელენესათვის — იმ საღამოს მიღებული აღფრთოვანებული შთაბეჭდილების შესახებ, რომ ვარდიაშვილი „... საოცრად კარგი იყო, გარეგნულადაც მშვენიერი: გრძელი შავი მზნინავი კაბა ძალზე უხდებოდა. უველაზე მეტი აპლოდისმენტი მას ერგო, ერთთავად გაიძახოდნენ „ბის“, მხოლოდ მას უძახდნენ“...

ერთ წერილსაც მოვიტან:

„...უველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ა. ვარდიაშვილის ლაღღმა არწივზე.

ვგონებ არ გადავჯარბებ გითხრა, რომ ვაჟა-ფშაველა თავის საფლავში უნდა იღებდეს, რომ ქართველმა ერმა არა თუ ჭკუით შეიგნო მისი თხზულება, არამედ სიმღერითაც; ღმერთო, რაოდენ დიდი უნდა იყოს ის ერი, რომელიც ასე უმწიკვლოდ ითვისებს თავის მეობას... სიხარული და სიამაჟე როგორც ა. ვარდიაშვილის დედ-მამას, ისევე იმას ვინც ის მუსიკა შესთხზა“...

\* \* \*

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, ანა ვარდიაშვილის პოეტობაზე, მის ხელსაქმიანობაზე ხალიჩების, ხურჩინების და ოთახის ათახი სხვა სამკაულის ქსოვა-ქარგვაზე.

ანა ვარდიაშვილის სახე ჩვენი მხატვრების დიდ უურადლებას იქცევდა არც ერთ ხელოვანს არა რგებია იმდენი მიძღვნილი მეგობრული შარვი, რამდენიც ანა ვარდიაშვილს, თუ დაბეჭდილი თუ კონცერტების დროს სახელდახელოდ შესრულებული და მიართმული.

ხოლო მათ შორის უველაზე საუკეთესოა გამოჩენილი მხატვრის ელენე ახვლედიანის მიერ დახატული პორტრეტი, რომელიც ხელოვნების მუზეუმის კუთვნილებია. ეს პორტრეტი რაღაც ისეთ იერსახეს გამოხატავს, თავისებური ფერებითა და მანერით, რომ მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს, მხატვარმა მასში შემოქმედებითად შთაგონებული ხელოვანი აღბეჭდა.

ანა ვარდიაშვილის ხანგრძლივი მოღვაწეობა ხელოვნებისა და პედაგოგიურ სარბიელზე სათანადოდ შეაფასა ჩვენმა მთავრობამ და მომღერალს 1960 წელს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის წოდება მიანიჭა.



ამირბაპასანის ფედერაციის 10 წლისთავის გახვდებულ ვეშაღებოლო. ეს ხალხთა მეგობრობის ზეიმი იყო. ამ დიდ საქმეში ყველას თავისი წვლილის შეტანა სურდა. ქართულმა მოზარდმაურებელთა თეატრმა გადაწყვიტა ამ დღისთავის დაწერილი ჩემი პიესის „სამი ამხანაგი“-ს დადგმა. პიესაში გამოყვანილია სამი ობოლი ბავშვი — ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი... პიესა ძველი თბილისის ცხოვრებაზე იყო აგებული. პიესის დადგმა მე დამეკალა. დადგმისთვის მოვიწვიეთ ცნობილი მხატვარი ელენე ახვლედიანი, მუსიკის დაწერა მიენლა ჩვენი თეატრის მუსიკალური განყოფილების გამგეს ვასო შავერზაშვილს. ძველი თბილისის უნიკალური კუთხეები რომ უკეთესად გავცენო, მხატვარი, კომპოზიტორი და რეჟისორი წავივით შეთანხმებულ, ხარფხის ოკრო-ბოკრო ქუჩების, მინიატურული მეჩეთის და სხვა დამახასიათებელი ადგილების სანახავად.

მე, როგორც ისინი უბანში დაბადებული, მასპინძლის როლში გამოვდიოდი. მაგრამ ჩემი ახსნა-განმარტება ძველი თბილისის ქუჩებზე მხოლოდ ვასო შავერზაშვილს სჭირდებოდა, რადგან ქალბატონი ელენე ახვლედიანი ჩემზე ნაკლებად როლი იცნობდა თბილისს.

მიხედვად ამისა, სამივემ დიდი სიამოვნებით დავათვალიერეთ ძველი თბილისის ქუჩები. როცა მუსლუმანთა კლუბს მივუახლოვდით, ვუთხარი რომ ამ კლუბში 1924-1926 წლებში ზოგჯერ ქართული წარმოდგენებიც იმართებოდა და მეც მიმიღია მათში მონაწილეობა-მეტი. ქალბატონ ელენე ახვლედიანმა გაკვირვებით შემოხედა და მითხრა:

— შენ ძმაო!... აკენიდან ხომ არ დაიწუე არტისტობა?

— რატომ აკენიდან — ქალბატონო ელენე, მე რომ მურაშკოს თეატრში პატარა კახის როლი ვითამაშე 1921 წელს, 16 წლისა ვიყავი, 1924 წელს კი, ალბათ, უფრო დიდი ვიქნებოდი.

როცა ელენემ „შეითან ბაზრის“ რანდენიმე კონტრა გააკეთა, — მომიბრუნდა და მითხრა:

— სად არის ის შენი მოლა, რომელიც უროჟინით ხალხს თავს აბეზრებს.

— დღეს, ქალბატონო ელენე, მოლას დასვენების დღე ჰქონია.

— დასვენების დღე?! ალბათ ადგილკომის თავმჯდომარეც ეყოლებათ, — წაიხუმრა.

— მაგათ უფრო დიდი თავმჯდომარე უავთ. გამოეხმაურა მოხუცი, რომელიც მანადის უხმოდ იყო და უურს უდებდა ჩვენს საუბარს.

ეს მოქალაქე დაბახანის მუშა ყოფილიყო, თეატრი უყვარდა და ლექსებსაც წერდა. ელენე ახვლედიანიც კარგად სცნობია.

—მე, სოსო გრიშაშვილის ახლო მეზობელი ვარ. — გვიხსრა მან — მისი მამა ჩემი კარგი ძმაცაი იყო. როცა გრიშა გურიიდან ჩამოვიდა თბილისში, ჩემს ოჯახში მიიღო პირველად თბილისური პურმარილი.

ჩვენ ყველანი დავინტერესდით გრიშაშვილის მამის წარსულით და ელენე ახვლედიანმა რამდენიმე შეკითხვა მისცა ძველ თბილისელ მუშას. მან თავისი ენაწულიანობით მოგვხიბლა, ხალისით ყვებოდა ძველ ამბებს.

როცა მას მადლობით დავცილდით... ქალბატონ ელენემ კიდევ ერთხელ შეხედა მეჩეთს და კომპოზიტორს უთხრა: იცი რა, ვასო, მე ის მოლა არ მჭირდება...

აი, თუ გინდათ იმ რესტორან „არშინ მალალაში“ შევიდეთ, იქნებ ფიროსმანის ნახატი ვნახოთ. წინადადება უსიტყვოდ მივიღეთ.

როგორც-კი რესტორანში შევედით, ყველა ფეხზე ადგა. ეს ხენსაცია იმან გამოიწვია, რომ ახალგაზრდა ელენე ახვლედიანი თავისი ჩაცმულობით საზღვარგარეთელად მიჩნეეს.

როცა ქალბატონმა ელენემ კედლებს ცქერა დაუწყო და ფიროსმანის ნახატებს ეძებდა, რესტორნის თანამშრომლები გაფიცდებოდნენ მისჩერებოდნენ. მითუმეტეს დაიძახნენ მამის, როცა ელენე ახვლედიანი ერთ დიდ სურათთან მივიდა, ქვემოთ მტვერს ხელო გადაუსვა რომ მხატვრის გვარი ამოცნო. გვარი ვერ ამოიკითხა, თითზე კი უამრავი მტვერი აშუვა... ელენე მივიდა დახლოდართან და თითი უჩვენა... ეი, მამა ტყიბია, ეს ქუჩუკი როგორ მოვიცილო, მომეციოთ რამე!... სვერ დაიბნენ, მერე მიხვდნენ, რაც იყო საჭირო და რამდენიმე სუფთა ჩაის ტილო გამოუტანეს... ამას მოყვა წყალი, საპონი, ტაშტი, მოწინებთ ახანებდნენ ხელს.

„სამი ამხანაგის“ პრემიერა შესდგა 1931 წელს თებერვლის ბოლოს. სექტაკლმა მასურებელთა ინტერესი გამოიწვია და პრესაც დადებითად გამოეხმაურა.

ამ დადგმის შემდეგ, განათლების კომისარიატმა ერთი თვის სამტრედიის მიმავლითა რეჟისორად, მაგრამ ორი თვე დავრჩი და სამტრედიის სახავშვო თეატრი ჩამოვაყალიბე.

მე დიდი მოხარული დავრჩი, როცა 30 წლის შემდეგ სამტრედიის ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა ცნობა ჩემი იქ მოღვაწეობის შესახებ და დავით სტურუამ თავის საიუბილეო საღამოზე მახსენა, რომ მე ვიყავი მისი პირველი რეჟისორი.



# შალვა ღაღინის უხმოი ნაჩილაბი

ლაშარა ხელაქმ

სინტარმს ლიტერატურულ ფაქტებს და ლიტერატურულ ცხოვრებას ეხება გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შალვა ღაღინის დღემდე უცნობი წერილები, მიწერილი თავისი მეგობრის — მწერლისა და პუბლიცისტის ნიკო კურდღელაშვილისადმი.

შალვა ღაღინის მიერ ნ. კურდღელაშვილისადმი გაგზავნილი, 1915 წლით დათარიღებული წერილი ეხება მისი მოთხრობის „საგარაკო საკითხავის“ გამოცემის საკითხს. წერილში იგი გახეი „სახალხო ფურცლის“ თანამშრომელს ნ. კურდღელაშვილს თხოვს გამოაქვეყნოს ეს ნაწარმოები. წერილიდან ჩანს, რომ შალვა ღაღინის ნაწარმოები რედაქციაში ადრე უოფილა გაგზავნილი, იგი ნ. კურდღელაშვილს მოუხანავს და დაბეჭდვას დაპირებია.

„ძმამ ნიკო!

აი, ზაფხულიც დადგა და თუმცა დროც არის და ცუდი დარიც, მაგრამ საგარაკო სეზონი დაწყებულია. მაშ რა უშავს ჩემი „საგარაკო საკითხავი“ უკვე გამოაქვეყნოთ? შენ აკი დამპირდი — რა კი მოვხახე, დაბეჭდავო. ან შეიძლება მართლაც გამოუსადეგარია, მაშინ მომწერე და კიდევ უფრო ხანგრძლივ დაჭეუმდე...

სალამი რედაქციის წევრებს. ჩემი ადრესი მაინც და მაინც ესეთია:

Бакурцихе Д-ру Илье Андроникову

შენი შალვა

1915 წ. 19 ივლისი

ს. ბაკურციხე“

მეორე წერილი, რომელიც 19 დეკემბრით არის დათარიღებული და რომელშიც მოსკოვში ქართული კულტურის სახლის გახსნის შესახებ არის ლაპარაკი, 1924 წ. უნდა იყოს დაწერილი, რადგან ოპერის სექტორი სწორედ ამ წელს დაარსდა.

„ძმამ ნიკო“

სალამი, გამარჯობა.

ჩვენი საქმე აქ თანდათან გვარდება, მგონი იმდენი მოვახერხე, რომ თუ აქამდე სრულიადაც არ იცოდნენ, რომ ქართული კულტურის სახლი არსებობდა მოსკოვში, ამაჲმდ უკვე საკმაოდ დავაინტერესე ჩვენი მთავრობის და ადგილობრივი საქირო წრეები.

ამგვარად უკვე მიღებულია ზომები, რომ მთელი სახლი, საცა ვიმუოვებით, თავის მადანიებით და ზემოსართულით ვადმოგვეცეს, რაიც საშვალებას მოგვეცემს გავფართოოვოთ ჩვენი მუშაობა და ცოტადენი შემოსავალიც გაუჩინოთ ხალხს.

დრამატული სტუდია ხომ გვაქვს, უკვე დავარსე ოპერის სექტორი და იანვრიდან შექნება სრულიად გამოწუხობილი კინოსტუდია, მთავრობა ფულს მაძლევს და მსურველებს მიგზავნის საქართველოდან 10 კაცამდე. დეკემბერში დაიწყება ციკლი ლექციებისა (კინეკლოსი) ქართული ლიტერატურიდან და ისტორიიდან რუსულ ენაზე აქაური საზოგადოებისათვის. ლექტორებიდან გამოგზავნილი იქნებიან ჩვენი პროფესორები „ნარკომპროსის“ მიერ — კეკელიძე, ჭავჭავიძე. აგრეთვე გამოგზავნილი იქნება არაუიშვილი ქართული მუსიკის დემონსტრაციისათვის. ვაზაფხულზე კიდევ გამართული იქნება გამოფენა ქართველი მხატვრებისა.

უველა ესენი ჩაწერილი აქვს ნარკომპროსში კანდელაკს, მაგრამ შენი მოვალეობაა, როგორც ჩვენი სახლის ფარისის, შეახსენო და დაუჩქარო მათი მორიგეობით ჩამოსვლა. ერთი სიტყვით, შენ უნდა გააბა კავშირი „ნარკომპროსის“ და პროფესორებს შორის, მუსიკოს და მხატვართა შორის. პროგრამა, დრო, ხარჯი და უველი მხარე საქმიანობისა შენ მიერ უნდა იქნას ორივე მხარესთან გათვალისწინებული, განსაზღვრული და ნარკომისაგან დანტიციებული.

ამას გარდა „ნარკომს“ ჩემი მიერ აქვს მოცემული განცხადება ჩემი ნაწარმოების მეორე ტომის შესახებ და ესეც შენთვის დამივალეობა, უთუოდ გაახსენე, რომ სარედაქციო კოლეგიას შეატანინოს მომავალ წლის გამოსაცემ წიგნთა სიაში. აგრეთვე გამოიგე „ახალი კავკასიონის“ და „უბედური რუსის“ ბედი. ელო მწერდა უნდა ინგოროუცასა...

როგორც შეიტყო. ეს წერილი იწერება სხვადასხვა დროს და განზრახულია დიდის „დაქურკვლით“, მაგრამ ამაჲმდ ამის წამომღებს ეჩქარება და მეც შეეწუვებე აქა.

იცოცხლეთ, იუავით კარგათ უველანი. მიიღეთ

ჩემი გულითადი სალამი

მეგობრები მამიკითხე. შენი შალვა

19/XII

1 სსსმ 18. 114

2 სსსმ 18. 115.



როგორც ცნობილია, 1923 წელს სახელგამის დავალებით ნიკო კურდღელაშვილი ხელმძღვანელობდა შ. დადიანის რომანის „გიორგი რუსისა“<sup>3</sup> და პიესების კრებულის გამოცემას. ეს გამოცემები მიეძღვნა შ. დადიანის მოღვაწეობის 30 წლისთავს.

1938 წლის ავგისტოში შალვა დადიანს აბასთუმანში უხდება ცხოვრება. სწორედ ამ ხანებში უნდა გამოსულიყო შ. დადიანის პირველი ტომი. იგი წუხს, რომ იმჟამად თბილისში არ იმყოფება და წიგნის გამოცემას თვალუურს ვერ ადევნებს. აი რას წერს ნ. კურდღელაშვილს:

„საუვარელო ნიკო“<sup>3</sup>

მოდის ჩემი მეგობარი, შეიძლება შენიც, პატრივტეული ნიკოლაიშვილი და მინდა აბასთუმნიდან ხმა მოგაწვდინო. აქ კარგა მოვეწყეთ, საკურორტო სასტუმროში. მე უკველდღე გამაღებული ვმცადინებო (ამას, იმას, ვაწესრიგებ უბედურ რუსსაც. მალე განვავარძობ კიდევ), მაგრამ ჩემი ფიქრი მაინც ჩემი პიესების კრებულისაკენ მიჰქრის.

ფაქსიმილეს გადმოცემა რომ დამავიწყდა?.. შეიძლება მანდ ჩემს ნაწერებში აარჩიო ხელის მოწერა, მაგრამ მე ერთი ორიგინალური ხელის მოწერა მაქვს და ის მინდოდა ყოფილიყო აღბეჭდილი.

შეიძლება დავვიანებული იყოს, მაგრამ მაინც გიგზავნი ხელის მოწერის ორ ნიმუშს. ეგრევე

გიგზავნი შრიფტის ნიმუშს, რომლითაც მსუბუქი და აწყობილი ყოფილიყო სათაური წიგნისა.

როგორი გამოვიდა ნეტა ჩემი სურათები, რომლის იქნება წიგნი მზად?

აქ კი კარგია, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, მე არ მომწონს. ვერ შეუთვისდი. ეს ერთი უშველებელი საავადმყოფო ყოფილა, მთელი აბასთუმანი, ხეობაც ვიწრო, სულის შემხუთავი, და მე კი ჩემი თავი ჭანსალი ადამიანი მეგონია.

მაინცდამაინც ერთია კარგი: სამუშაო დრო ბევრი მაქვს და არც არავინ ხელს არ მშლის, უმთავრესად კი თვით მე არ ვუშლი ჩემ თავს ხელს... არაფრით არა ვარ გატაცებული გარდა ჩემი ნაწერებისა, ქართლის ცხოვრებისა, ჯავახიშვილისა და ვეფხისტყაოსნისა.

შენ თქმა არ გინდა კარგათა ხარ. ეგრეც იყავ ხანგრძლივით. ელომ დიდი საღამო.

შენი შალვა დადიანი  
1938 23. IX<sup>4</sup>

როგორც წერილიდან ჩანს, შალვა დადიანი 64 წლის ასაკში დიდი ენერგიით მუშაობს თავის ნაწერებზე. ხეწს და საკირო შესწორებები შეაქვს მათში. იგი ბოლომდე ინარჩუნებს შემოქმედებით შთაგონებას, მხნეობასა და დაუღალავი შრომის უნარს.

<sup>3</sup> სსმ 18. 113.

## იოსებ გრიშაშვილის უხნოზი ნარილაში დავით შულღიაშვილი

1914 წლის 23 აპრილს ქართულ თეატრში გამართა იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული საღამო.

მაშინ ჩვენი სასიქადულო პოეტი სოსო გრიშაშვილი 25 წლის ქაბუკი იყო, უკვე სამწერლო და საზოგადო ახარაზეზ გამოსული, როგორც შესანიშნავი ლირიკული ლექსების ავტორი და თეატრალური მოღვაწე.

გრიშაშვილის ეს საღამო სანტერესო იყო მით უფრო, რომ მასში მონაწილეობდა დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი. აკაკი ქაბუკ პოეტს დაპირებია შეეს სულამოზე „მოვალ და პატარა სიტყვასაც ვიტყვიო“.

აკაკიმ თავისი „პირობა შეასრულა და სცენიდან მართლაც პატარა და სათუთი სიტყვა წარმოსთქვა საღამოს გამმართველზე. იგი შეეხო სიუვერალის საკითხს, წაიკითხა ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“ შემდეგ გადავიდა ახალ პოეზიაზე და სანიშნულად პარალელისათვის სამი ავტორის ლექსი მოიყვანა: — ალექსანდრე ქავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და თავისი. შემდეგ თქვა: — „ეხლა მე წაიკითხავ გრიშაშვილის ლექსს“ და წაიკითხა მისი ერთი სატრფიალო ლექსი, — „რომანსი“, რომელიც მხცო-

ვან პოეტს თავისი ხელით გადაეწერა და ზეპირად დაეწავლა\*.

„იმ საღამოს, — დასძენს გრიშაშვილი, — ერთიორად გავიზარდე, თითქოს სიმაღლედ მომემბატა... ეს „ჩემი“ საღამოც „მისი“ იყო, პოეტის ტრიუმფად გადაიქცა“.

გრიშაშვილის საღამოს შესახებ შესანიშნავი რეცენზია მოათავსა შიო დავითაშვილმა გაზეთ „კავკაზში“ 1914 წლის № 43-ში.

მართალია, გრიშაშვილის საღამოები 1910 წლიდან იმართებოდა, მაგრამ ამ საღამომ განსაკუთრებით სახელი გაუთქვა იოსებ გრიშაშვილის, არა მარტო საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც. ყველგან თხოულობდნენ გრიშაშვილის საღამოს გამართვას.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგებობას მოსდიოდა წერილები: სოსუმოდან, ზუგდიდიდან, ქიათურიდან, ოსურგეთიდან, ხონიდან და სხვა მარტებიდან, რომ ჩატარებინათ იქ გრიშაშვილის საღამო. და ჩვენი სოსოც ხშირი სტუმარი შეიქმ-

\* გრიშაშვილის „რომანსი“ აკაკის ავტოგრაფითა დატულია ი. გრიშაშვილის არქივში. დ. შ.



ნა აღნიშნული მსჯერებისა, მართლად საღამო — წარმოდგენებს, კითხულობდა თავის ახალ, გამოუქვეყნებელ ლექსებს, დამსწრენი აღტაცებაში მოდიოდნენ და ახალგაზრდა შემოქმედს ოვაციებით აჯილდოვებდნენ. (საღამოს შემოსავალი, რა თქმა უნდა წერა-კითხვის საზოგადოებას ეგზავნებოდა საქველმოქმედო საქმისათვის).

გრიშაშვილის საღამოების შესახებ საინტერესო რეცენზიები იწერებოდა ქართულ და რუსულ პრესაში.

სწორედ იმ ხანებში, როსტოვში მცხოვრები დღიად შემდგომი ქართველი მეცენატი და ქველმოქმედი სტეფანე ელიაძე თბილისში ყოფილა, ყურადღება მიუქცევია ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტისათვის და უთხოვია, — მასთან ჩასულიყო როსტოვში, სადაც მიაღებინებდა თავისი ხარკით უმაღლეს განათლებას, შეასწავლიდა უცხო ენებს და ყოველ-მხრივ დაეხმარებოდა, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას.

აი, სწორედ ამ პერიოდს ეხება ის საინტერესო ხუთი ღია ბარათი, რომლებიც იოსებ გრიშაშვილს 1915 წელს გაუგზავნია კავკავში, — ცნობილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ნათაძისათვის.

ეს წერილები დაეწერა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში და წარმოადგენს საყურადღებო, მნიშვნელოვან დოკუმენტებს იოსებ გრიშაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

სოსო გრიშაშვილი 26 წლის ქაბუჯი იყო და ჭერ კიდევ მოსკოვი არ ენახა. ამიტომაც, რომ ცდილობდა ეგებ კავკავში გამართულ თავის ლიტერატურული საღამოს შემოსავლით შესძლებოდა დიდი ხნის სურვილის ასრულება.

1915 წლის 7 აპრილს თბილისიდან იგი ღია ბარათსა სწერს გიორგი ნათაძეს: „ღრმად პატივცემილო მამაო გიორგი! ამას წინათ პატარა ბარათი მოვეწერე იოსებ შვილიყეს... და არ ვიცი მანდ არის თუ არა? — ჭერ კი პასუხი არ მიძლია. ვთხოვდი მას (და საზოგადოდ ყველას), რომ ერთი საღამო გაემართა ჩემის მონაწილეობით. აპრილის ბოლო რიცხვებში მიხდა წასვლა მოსკოვს, ჭერ მოსკოვი არ მინახავს, ახალი შთაბეჭდილება და ახალი სურათები, მწამს, იმოქმედებს ჩემზე და მსურდა, რომ გზად გავჩერებულიყავ თქვენს კავკავში, გამეძარბა საღამო, რომელშიაც წვავითხავდი თბილისში წაკითხულ, ახალ, ჭერ დაუბეჭდავ ლექსებს და ცოტა საგზაო ფულიც დამრჩებოდა. ეხლა მე გთხოვთ უმორჩილესად, — მომწეროთ თქვენი აზრი: თუ არა და, ჩანს ვერ წავალ მოსკოვს. მომწერეთ „სახალხო ფურცელში“.

თქვენი პატივისცემელი ი. გრიშაშვილი.

მისი მეორე წერილი დათარიღებულია 1915 წლის 14 ივნისით. (სწერს კისლაველსკიდან, სტეფანე ელიაძის აგარაკიდან, რადგან იოსებ გრიშაშვილი 1915 წლის აპრილში, მოსკოვის მაგივრად როსტოვში ჩასული ელიაძისთან, ხოლო ელიაძეს თავის ცოლშვილთან ერთად გაუგზავნია საყურადღებო აგარაკზე კისლაველსკი (დ. შ.). აი ეს წერილიც: „ღრმად პატივცემილო გიორგი! აშუამად ვიმყოფები კისლაველსკი და ვმეცადინებო ფრანგულ ენაში... ჩვენი ძვირფასი მამულიშვილის სტეფანე ელიაძის ხელმ-

ძღვენილობით. მართლაც და ჩინებულთ კაცად და ოჯახობაც ჩინებული მყავს. ისე ვარ დავსაღებული, რომ პირდაპირ, არ ვიცი როგორ გადავუხადო მადლობა ასრულდა ჩემი ნატვრა: — რუსეთში ვეღარ წავალ და აქ მოვხვები. თქვენც არ შეგაწუხეთ ჩემის „საღამოთი“. აქ ვიქნები სექტემბრამდე, მამაო გიორგი, და შემდგომ კი, სექტემბრის პირველ რიცხვებში თბილისში მოვსვამ დასასვენებლად; და რადგან ბარათის იტომისაკენ არ ვყოფილვარ, მიხდა და ბურღულის წინადადებით ვისარგებლო და თბილისში საქართველოს სამხედრო გზით ჩამოვიდე... მამო კარგია სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩანდ ვიქნები და დაწვრილობით პირისპირ. მომიკითხე ბურღული, შვილიყე და „ისინი“! ნახავთის თქვენი ი. გრიშაშვილი“.

ეს „ისინი“; როგორც იოსებ გრიშაშვილის ხელნაწერ მოგონებიდან შევიტყვე, ყოფილან კავკავის ქართული სკოლის მასწავლებელი ქალები, რომლებსაც დღიად მოსწონებოდა გრიშაშვილის ლექსები და სთხოვდნენ რომ კავკავში გამეძარბა თავისი საღამო. ბარათზე, ბოლოს მიწერილი ყოფილა, — ნაცვლად ადრეუბის სახელისა და გვარისა, — „ჩვენ“. ამის საპასუხოდ სოსოს მიუწერია:

მსურს ვიცოდე ეგ სიტყვები,  
თუ ვინ გათქმევინა,  
მსურს ვიცოდე ვინ ბრძანდებოთ  
ვინ ხართ, ნეტა, ვინა?

მაღე კავკავიდან მოსვლია პასუხი:  
გვსურს ვიცოდეთ მაგ სიტყვებთან  
თუ ვინ მოგვეჩვენა,  
ჩვენ ვინც უყავთ, ისევ ის ვართ  
„ჩვენ“ გახლავართ, ჩვენა!

როგორც შემდეგ (1915 წლის 9 აგვისტოს) წერილიდან ჩანს, კავკავის ქართული სკოლის მასწავლებლობას განუზრახავს გრიშაშვილის საღამოს ჩატარება 23 აგვისტოს, მისი ორგანიზაცია მიუღწევიათ ამავე სკოლის მასწავლებელ გიორგი ნათაძისათვის. ამიტომაც, რომ ი. გრიშაშვილი სწერს:

„კაცო, რატო ისე ვარკველივით მეჩვენე და ვარსკველივით ჩაშქირე?... ძმავო გიორგი, არ ვიცი, რა ექნა, გამოურკვეველ მდგომარეობაში ვარ... არ ვიცი 23 აგვისტოს იმართება საღამო კავკავს თუ არა? და თუ იმართება, მე ვიღებ მონაწილეობას თუ არა? სიტყვით „უნდა წამოხვიდეთ!“ მერე კი ვეღარ განახებ... რასაკვირველია, ეს ჩემი შეიკთხვა უსაფრთხოვლა, ვინაიდან, თუ მართლა საქორს ვარ თქვენთვის, შემატყობინებთ, მაგრამ გიორგისათვის ვითქვამთ: „ციმბირელი“ გამოიწეროს... მე სწორედ გითხრათ, არ ვიცი საიდან უნდა გამოვიწერო... ჩემი „დათვის ბუნავი“ (ე. ი. ჩემი სახლი) დაეკეთილა და პიესაც შუა მაქვს დაწვრილდული... ოქნება ამ პიესის იმედით ხართ? ოქნებ, ვიღებ მეც მონაწილეობას... ამისათვის ადრევე უნდა ვიცოდე, რომ პატივცემულ ჩემს მამობად (სტეფანე სვიმონის-ძე ელიაძისგან) ნებართვა ავიღო. თუ მიპასუხებ დაგიმადლებ. პატივისცემით ი. გრიშაშვილი“.

ბარათს აქვს მიწაწერი: „აღდგენა ვგზავნი წერილით თბილისში ერთ ნაცვლად და ვთხოვ, რომ „ციმბირელი“ მესამე მოქმედება დაგაწეროს და გამომიგზავნოს. თქვენც ეცადეთ.“

საინტერესოა აგრეთვე კოსმოვოლკიდან განოგზავნილი 12 ავვისტოს წერილი იმავე ადრესატით, მაგრამ ეს წერილი იმითი განსხვავდება, რომ სოსო ახლა წერილს ფრანგულად იწუებს და ქართულად ამთარგმნებს. აი ეს ბარათი: „მონ სერ ამი უიორუეს! ჰიერ უ, აი რეკუ ეკირიჲ (რაც სიტყვა სიტყვით ნიშნავს: ჩემო საყვარელო, მეგობარო გიორგი! გუშინ მქონდა ბარათის ერთადერთი წერაო) კმარა ასსტე (გამოთქმა დ. შ), ეხლა საქმეზე. შენ, ეი, მართლა ვაფრანგებული კი არ გეგონო! ისე რაღა — ვჩალიჩობ ტოუტ დეუკეტეტ (ისე რაღა. დ. შ.), — და დასძენს, —

ქართულ ენას ისე მქიდროთ შეეთვისა მგონის ბული, რომ ჩემს ქართულს ვერ დასცხანის უცხოური ენ ფრანგული!..

ეხლა საქმეზე: ძმაო გიორგი, მე აქედან გამოვალ 22-ს (ავვისტოს) საღამოთი და კავკავს ვიქნები 27-ს, მაგრამ იცი რა? იწერები, — ჭერ დრამა, მერე ვოლდეილი, მერე „ციმბირელი“ და მერე ლექსებიც! პროგრამა ჩინებულია, მხოლოდ ჩემის აზრით რომ გადავსხათ განყოფილებები — უმჯობესი იქნება! მაგალითად: ჭერ დრამა, მერე „ციმბირელი“, მერე ვოლდეილი და მერე „დევერტისმენტი“. ამას იმიტომ გწერ, რომ ტანისამოსის გამოსაცვლელად დრო დამრჩება და დავისვენებ კიდევ, ეს ჩემი აზრია და თქვენ კიდევ გონების საცერში ვასცხრილიეთ ეს ჩემი ნაფიქრი.

მოკითხვებს ქალებმა, სტეფანეც აქა გყავს, ნინას კი დღეს ვისტუმრებთ, დაწვრილებიო პირისპირ. შენი Sussu“.

1915 წლის 2 სექტემბრის (წალვერიდან მწერილ) ბარათიდან ირკვევა, რომ იოსებ გრიშაშვილს, საღამო ჩაუტარებია თუ არა, კავკა-

ვიდან მაშინვე წამოსულა თბილისში, თბილისიდან წალვერში, საიდანაც სწერს: „სალამი ძმაო გიორგი. თბილისში დავყავი სამი დღე. თბილისში მეტისმეტად უშინაარსო იყო ჩემი ყოფნა და მოვუსვი აქ წალვერს. მინდა სულიერად დავისვენო. ო, სული, სული დაქრული მაქვს, დაძინძილი, დაისრული, დაკოდილი და. . . ვცდილობ მოვისვენო — თორემ ამდენმა ფიქრებმა ლამის კეჟაზე შემარყიოს. ო, როგორი იმედი ღვიოდა გულში და როგორ ჩვეულებრივად გათავდა ყოველივე ეს?.. მამაო გიორგი, ნუ გამიჭავრდებით, რომ მაღლობა ვერაფრით გადაგიხადეთ, ნურც იმაზე დამენდურებით, რომ

„საღამოზე“ არ დავრჩი.. მიზეზი თქვენ ძალიან კარგად იცით... მინდა ვიმეცადინო თბილისში, მაგრამ თბილისში, რა წყალში ჩავარდე, არ შეიძლება სერიოზული მეცადინეობა. საღამოთიდან მგონი ვავნთავისუფლი და შეიძლება, რომ რუსეთში წავიდე — ე ოხერი რუსული მინც შევისწავლო კარგად — აი, ერთ რუსის ოჯახში რომ მოვხვდე, დარწმუნებული ვარ, გავიკეთავ კარგად რუსულს, ეს მე სტეფანე ელიამეს ოჯახმა დამარწმუნა... მაგრამ „ფოდ ჩკა“, რომ ერთი ლოთიანად ვიმეცადინო, ან ვიმგზავრო. ემ, სისულელეა,, ვნახოთ, ვნახოთ! ჩემი წიგნები უნდა გამოემგზავნა და თბილისში ჩავალ თუ არა, მუისევ ვადმოგიგზავნით. (თბილისში მე ვიქნები ან თვის 10-12-ში). მოკითხვა ბურდულს, „იოსებ მშვენიერს“, ვასოს, გრიშას, თქვენს ბარტუქებს და სხვადასხვას თუ ვასოვართ კიდევ:..

არ დაივიწყო შენი მოშაირე სოსო“. ასეთი არის იმ ხუთი ღია ბარათის შინაარსი, რომლებიც დაწერილია თითქმის სამოსი წლის წინათ და ჩვენი სასიკადლო მწერლის ცხოვრების საინტერესო ცნობებს შეიცავს.

## სიკო ვანჩაძის ხელოვნება

ხსენიერებდა და მძიმე ავადმყოფობამ 66 წლის ასაკში სიცოცხლეს გამოასალმა ქართული საბჭოთა თეატრის დაუღალავი მუშაი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამახსოვრებული მოღვაწე სიკო (სიკო) გიორგის ძე ვანჩაძე.

სიკო ვანჩაძე ეკუთვნოდა ხელოვნათა იმ რიცხვს, რომელთაც ბედნიერება ჰქონდათ ემუშავნათ საბჭოთა თეატრის ისეთ გამოჩენილ რეჟისორებთან, როგორებიც იყვნენ ქ. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი, რაც თავისთავად დიდი პროფესიული სკოლის გავლას ნიშნავდა.

1928 წელს ს. ვანჩაძემ დაამთავრა ლენინგრადის მასობრივ სანახაობათა და ზეიმთა სტუდია და მაშინვე დაიწყო მუშაობა საქართველოს კინოსტუდიაში. მის ხელოვნების სურათში „ახალგაზრდობა იმარჯვენს“, ასრულებდა იუსუფის როლს.

1930 წ. ს. ვანჩაძე თავს ანებებს კინოს და მუშაობას იწყებს ბათუმის თეატრში რეჟისორის თანაშემწედ, ხოლო 1933 წელს რეჟისორ დ. ნაკაშიძესთან ერთად მარჯანიშვილის თეატრში დგამს „ჯო-სტრიკს“.

ამის შემდეგ ს. ვანჩაძის ცხოვრებაში დგება ფრიალ მნიშვნელოვანი პერიოდი — იგი იგზავნება ქ. ბაქოში ქართული თეატრის ხელმძღვანელად, სადაც განახორციელა შემდეგი დადგმები: ქ. კალაძის „ხატოვე“, პ. კაკაბაძის „უცარკვარე თუთაბერი“, გ. მდივნის „ბრმა“, შ. დადიანის „გუშინდელი“, ა. ცაგარლის „ხანუმა“, ვ. ანტონოვის „შვის დაბნელება საქართველოში“ და სხვა.

ბაქოში ქართული თეატრის დახურვის შემდეგ ს. ვანჩაძე ხელმძღვანელობდა ხაშურის თეატრს, ხოლო შემდეგ გორის თეატრის რეჟისორად ინიშნება.

1953 წელს ს. ვანჩაძემ დაამთავრა ა. ოსტროვის სახ. ლენინგრადის თეატრალური ინსტიტუტის თეატრების ხელმძღვანელობის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და ინიშნება გორის თეატრის დირექტორად და მთავარ რეჟისორად, სადაც იმუშავა 1957 წლამდე.

1957-60 წ. წ. ს. ვანჩაძე საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე და მონაწილეობს 1958 წ. ქ. მოსკოვში ჩატარებული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის ორგანიზაციის საქმეში.

1960-64 წ. წ. ს. ვანჩაძე მუშაობდა რუსეთის მეტალურგთა კულტურის სახელის დირექტორად

და სამხატვრო ხელმძღვანელად და რუსეთის სახალხო თეატრის რეჟისორად. იქ მუშაობის პერიოდში კულტურის სახელმძღვანელოდა საკავშირო პროფსაბჭოს პირველი ხარისხის დიპლომით.

ამის შემდეგ ს. ვანჩაძე ცოცხა ხანს მუშაობდა ქ. ხეთაგუროვის სახ. ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ქართული დასის მთავარ რეჟისორად, ხოლო 1969 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორად.

ოთხ ათეულ წელზე მეტი დამყო ს. ვანჩაძემ ქართულ თეატრში, ბევრი მისი სექტაკლი თეატრალურმა საზოგადოებრიობამ და პრესამ კარგად შეაფასა. სიკოს რეჟისორული მუშაობა განსაკუთრებით მკვეთრად გორის თეატრში გამოჩნდა. აქ მის დადგმებს შორის არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ა. უაზბეგის „არსენა“, გ. ქელბაქიანის „შესაფერი ჭიღოლო“, მ. გორკის „ვასილ-ვლადიმერ“ და „ზიცოვები“, სუხოვო-კობილინის „ერინისკის ქორეობა“ და სხვა. ქუთაისის თოჯინების თეატრში კი მისი მხატვრული ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

ს. ვანჩაძე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ მუშაობაში. იგი იყო გორისა და რუსეთის საქალაქო საბჭოების დებუტატი, თეატრალური საზოგადოების წევრი 1945 წლიდან, დაჯილდოებული იყო მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „შრომითი მშაბობისათვის“. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით ქართული თეატრის 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ს. ვანჩაძე იყო სკკპ წევრი 1946 წლიდან.

ს. ვანჩაძე მთელი მოწოდებითა და ენერგიით ემსახურებოდა თავის საყვარელ ქართულ თეატრს, ბევრი კარგი ჩანაფიქრი დარჩა მას განუხორციელებელი, მის პირად არქივში ბევრია მოგონება, რეცენზია, საქმიანი თუ პირადი მიმოწერა ცნობილ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან (შ. დადიანი, ი. გრიშაშვილი, ვ. ანჯაფარიძე, ს. გერსამია და სხვები), რომლებიც დალაღებენ სიკო ვანჩაძის ფართო საზოგადოებრივ ინტერესებზე.

ს. ვანჩაძე იყო უწყინარი, კეთილშობილი, კაცთმოყვარე, კარგი მეგობარი და ამხანაგი, ამიტომ მწელია შეგუფო იმ აზრს, რომ იგი ჩვენს შორის აღარ არის.

## „ფიქრიანი გზები“ გურამ ბათიაშვილი

მეოცე საუკუნის ინტელექტუალური სამყაროსათვის ურნალიტიკა სუფთა ჰაერი და მაცოცხლებელი წყალია. ძალზე სასარგებლოდ შენიშნავ ვლ. ალფენიძე: ჯერ კიდევ ძველმა ბერძენებმა თქვა ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალა.

ჩვენი ცხოვრება დიდი სოციალური მდინარეა და მასში ადამიანის ცხოვრების არცერთი წამი, არცერთი ტალღა არ მეორდება“.

სრული ქვეშაობა! თანამედროვე რიტმული ყოფის არცერთი წამი, არც ერთი ტალღა არ მეორდება, არსებობს ერთადერთი საშუალება მისი გამეორებისა — ეს არის ზუსტი ფიქსირება იმისა, რაც ამჟამად, ამ წუთში ხდება. ამის გაკეთება ურნალიტიკისა და ურნალიტიკის საქმეა. და განა პატარა პასუხისმგებლობა — გვეპოვებოდეს ფიქსაცია გაუკეთო დროისა და ყოფის მთავარ მომენტებს?

ვლადიმერ ალფენიძის წიგნი კიდევ ერთი დღესასწაულია აღიარებული ქვეშაობებისა — ურნალიტიკისათვის არ არსებობს დახურული კარი, იგი უნდა შევიდეს იქ, სადაც პრემიერ-მინისტრები ვერ შედიან, სიტყვა უნდა დაადგინოს ყველაზე უთქმელ კაცსაც კი, რათა ხვალ იმ კაცის მოსაზრება ხალხს ამცნოს. მე რომ უბრალოდ ჩამოვთვალო ის ადამიანები, ვისთანაც „ფიქრიანი გზების“ ავტორს უსაუბრობ, ვგონებ, ურნალის ერთ გვერდს გავავსებ. ხოლო ისიც რომ ჩამოვთვალო, თუ სად ყოფილა, რა უნახავს და რაზე გაუმახვილებია ყურადღება, ალბათ, ერთი ასეთივე წიგნი გახდება საჭირო. ურნალიტიკისთვის ეს ბევრს ნიშნავს.

ურნალიტიკის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი ისიცაა, თუ ვის შეხვდი, რაზე ინაუბრე და რა ათქმევინე. თუ ამასთან ერთად ღვთისგან მომადლებული ხეირიანად წერის უნარიცა გაქვს, ყველაფერი რიგზეა. ვლ. ალფენიძის წიგნი მოზაიკას ჰგავს, იგი იმდენი რჯულის, რწმენის, ხასიათის, ეროვნების, შემოქმედებითი მისწრაფებების, პროფესიის ადამიანს შეხვედრია იმდენი ქვეყანა, მთა, ტბა, ზღვა, ქალაქი უნახავს, რომ ერთ წიგნში მწელიც კი ხდება ყველაფრის ზუსტად აღქმა. მაგრამ მთავარი ამოცანა მიღწეულია. იგი ყოველგვარი საქმის შუაგულშია, ასწრებს ყველგან ყოფნას და მოკლედ, სხარტად, სახოვნად აცნობს მკითხველს ნახასა და გააჩინოს!

ვლადიმერ ალფერიძე ხშირად მიმართავს დიალოგის ფორმას და ამ დიალოგით მკითხველისათვის ბევრ რამეს ცხადყოფს. უწინარესად კი იმას, თუ რა განწყობილება, სულიკეთება ამოძრავებს ამა თუ იმ პიროვნებას. ამ დიალოგში არც თუ იშვიათად იგრძნობა სარკაზმი, მსუსხავი სარკაზმი, უმად რომ გაგრძნობინებთ თემისადმი ავტორის დამოკიდებულებას (ეგვიპტეში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, თურქეთში გატარებული დღეები და სხვ.)

ამ წიგნის მეოხებით საქმეში ჩახედული კაცი ადვილად დარწმუნდება, რომ ვლ. ალფენიძეს იტაცებს (და სავსებით სამართლიანადაც) კონსტანტინე გამსახურდიას პროზა, არასფერს დამამცირებელს არ ხედავს იმაში, რომ მის ფრაზაში კ. გამსახურდიას სტილის ნიავი უბერავდეს.

ამ წიგნში ბევრ საინტერესოს იპოვის თეატრის კაციც. ვლადიმერ ალფენიძე შეხვედრია და უსაუბრნია ცნობილ მსახიობებთან, მწერლებთან, იგი წერს პოლ რობონსა და მოუბინ ფირტერზე, იმა სუმბაკზე, „მეოცე საუკუნის ვენერა მილოსელზე“, „კიმ ნოვაკზე“ და სხვ.

ქართველ მკითხველს ავტორი ერთ-ერთი პირველი გაესაუბრა ჯორჯ ბლანჩინზე და ისიც გაესაუბრა ცნობილი ამერიკელი მოცეკვავე ქალების ლუჩია ჩეიზისა და მარია ტოლფიჩის პირობით, წერს ფრანგული ბალეტის ვარსკვლავების კლოდ ბესისა და ატილია ლაბისის თაობაზე. ძალზე საინტერესოა ვლ. ალფენიძის „მეფისტოფელის მეტამორფოზების“ ერთი პატარა თავი „ეშმაკის თეატრი“, რომელშიც ფრიდრიხ



მაქსიმალიან კლინგერის რომანის „ფაუსტის ცხოვრება, მოღვაწეობა და მოგზაურობა ჯოჯოხეთში“ ინსცენირებას ეხება. აქ დაქვერილია და გადმოცემული ის შთაფარი, რაც ნიშნულია დღევანდელი ევროპის თეატრის ერთი მიმდინარეობისათვის.

ამ წიგნში არის ბევრი ისეთი რამ, რაც ვლ. ალფენიძის ფართო ინტერესებზე მეტყველებს. მხედველობაში მაქვს ის წერილები, რომლებიც ქართველ მამულეთა უოფას ასახავენ. მართლაც და, არ შეიძლება საზრიანი კაცი ეგვიპტეში ჩავიდეს, საამისო საშუალება ჰქონდეს და მამულეთა ნაკვალევს არ დაუწყოს ძებნა. ხოლო ერთი სტატია „მარგალიტის ხე-შაჯარ-ად-დურ“ ინტერესს იწვევს მეცნიერული დაკვირვებით. ღრმა პარალელები, ანალოგიების ძიება, საკითხში წვდომა — აი რა ახასიათებს ამ წერილს.

არა გვგონია ქართველ ორიენტალისტთა რადღება არ დაიმსახუროს წერილმა „საქართველოს მეზობე არაბი პოეტი“. აი, რას ნიშნავს ნამდვილი უურნალისტიკა — ავტორი იყო სირიაში და, როგორც იტყვიან, „ცინცხალი მასალა“ ჩამოიტანა, რითაც ქართული ორიენტალისტიკისთვისაც საინტერესო გახადა თავისი წიგნი.

ამ პაწია რეცენზიის ავტორს კარგად ახსოვს ვლ. ალფენიძის მიერ ქართულ პრესაში დაბეჭდილი პირველი კორესპონდენციები, ინტერვიუები, როცა იგი საქართველოს გაზეთების კორესპონდენტად მუშაობდა მოსკოვში. ეს იყო 10—15 წლის წინათ და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ამ საგაზეთო მასალებს დღესაც არ დაუკარგავთ ღირებულება, დღესაც ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც მაშინ იკითხებოდა.

## СО Д Е Р Ж А Н И Е

### У ТЕАТРАЛЬНОЙ АФИШИ РЕСПУБЛИКИ

Важа Дзигуа — Ненапольняющийся сосуд . . . . .	3
Мира Пичхадзе — Кваркваре на сцене театра музыкальной комедии . . . . .	5
Нана Кобешавидзе — «Платон» в Кутанском театре . . . . .	8
Арчил Давитиани — «Такси... Такси...» . . . . .	10
Павле Джорбенадзе — Начало большого пути . . . . .	12
Василий Кикнадзе — Сандро Ахметели о молодежи . . . . .	14
Нино Швангирадзе — Статьи Владимира Месхишвили . . . . .	18
Шалва Квасхадзе — Искусство Михаила Чиковани . . . . .	21
Вилен Мардалеишвили — Один час в мире Шекспира . . . . .	23
Олекса Новицкий — Мать и сын (стихотворение) . . . . .	25

### В НАРОДНЫХ ТЕАТРАХ

Вано Мchedlishvili — Два народных театра . . . . .	26
Нуну Гомелаури — Театр кукол перед судом Тбилисского зрителя . . . . .	27
Леван Шенгелиа — Хорошо, хорошо! . . . . .	28
Нацуна Церетели — Воспоминания Титта Руффо об Алексии Церетели . . . . .	30

### НАШИ ЮБИЛЯРЫ

Акакий Гецадзе — Многосторонний творец . . . . .	31
Гайоз Якашвили — Рачитель народного театра . . . . .	33
Вахтаंग Касрадзе — Бескорыстный работник . . . . .	34
Марго Гоголашвили — Полвека на службе народу . . . . .	35
Анна Гвиниашвили — Анна Вардиашвили . . . . .	36
Георгий Дариспанашвили — Страница воспоминаний . . . . .	39

### НАША ПУБЛИКАЦИЯ

Ламара Хеладзе — Известные статьи Шалвы Дадлиани . . . . .	40
Давид Шуглиашвили — Известные письма Иосифа Гришашвили . . . . .	41

### ПРОЩАНИЕ

Памяти Сико Вачнадзе . . . . .	44
--------------------------------	----

### КНИЖНАЯ ПОЛКА

Гурам Батиашвили — «Пути раздумий» . . . . .	45
--	----



ВЕСТНИК  
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ  
(на грузинском языке)

Тбилиси — 1974

№ 3 (79)

ფასი 25 კობ.  
Цена 25 коп.

ვალდებულ წარმოებას 14/VI-74 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VII-74 წ.

შეკვეთა 2138

უე-05770

ტირაჟი 1.000

---

საქართველოს თეატრალური საზ-პის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3  
Типография Театрального Общества Грузии, ул. Горького № 3